ყოველი ბოლოსა, „ვერსიას“ ერთი

ვერსია

№50 (806) 3 - 9 მაისი, 2013 წელი

ორშაბათი ოთხშაბათი პარასკევი

20 გვერდი
40 თეთრი

შემდეგი ნომერი გამოვა პარასკევს, 10 მაისს

კონფიდენციალური წყარო „ვერსიას“ სოფლის მეურნეობის სამინისტროს სკანდალის გაუხმაურებელ ფაქტებს აწვდის

გვ. 3

სქემა, რომლითაც დავით კირვალიძეს საბოტაჟი მოუწყვეს

ჩემი ინფორმაციით, წინა წლებში ჩატარებული ტენდერების შედეგად, თითოეული ტენდერის შემდეგ, დაახლოებით, 5 000 000-დან 6 000 000 აშშ დოლარამდე რჩებოდათ. ამ ტენდერებში, ერთი და იგივე კომპანიები ფიგურირებდნენ. სწორედ ამას უკავშირდება ახლანდელი სკანდალიც, რადგან, როგორც ჩანს, გარკვეული ჯგუფი უკვე ვარდება საქართველოს ბაზრიდან და დღევანდელი სიტუაციით, წარსულის გადაფარვა სურთ, რომ ვინმემ სატენდერო დოკუმენტები არ გამოიძიოს. თუ ჩვენ სამართლიანობის აღდგენა გვინდა, ხელისუფლებას მოვუწოდებ, ამ სამინისტროში ჩატარებული ყველა ტენდერი შეისწავლოს.

„ნუგეში“ მოსახლეობას საალდგომოდ დიდ სიურპრიზს უმზადებს!

გვ. 11

ნუგეში
დაზოგეთ მეტი

„5 მაისამდე, ქათამი, ზეთი, პასკა, კვერცხი... ფასდაკლებით გაიყიდება“

ექსკლუზიური ინტერვიუ კახი კალაძესთან

როგორ აფასებს ვიცე-პრემიერი მთავრობის ეკონომიკური გუნდის მუშაობას?

გვ. 5

სასწრაფო დახმარების მონიტორინგის სამსახურის თანამშრომლები სამსახურიდან დაითხოვეს

სასწრაფო-სამედიცინო დახმარების სამსახურის მონიტორინგის სამსახურის ათეულობით თანამშრომელი სამსახურიდან გაათავისუფლეს, — ამის შესახებ ინფორმაციას ერთ-ერთი გათავისუფლებული თანამშრომელი, ეკა ალიხანაშვილი ავრცელებს.

მისი განმარტებით, 1 მაისს, 15:00 საათისთვის უთხრეს, რომ 18:00 საათზე ტესტირება უნდა გაევლოთ: **„30 აპრილს გაგვაცნეს ბრძანება, რომ მიმდინარეობდა რეორგანიზაცია. 1 მაისს კი გვითხრეს, დაახლოებით 3 საათში, ტესტური გამოცდა გვაქვს ჩანიშნულიო. წინასწარ არაფერი ვიცოდით, რაც კანონდარღვევაა. 49 თანამშრომლიდან ტესტირება წარმატებით ჩააბარა მხოლოდ 13-მა, თუმცა დანარჩენებიც მხოლოდ უნარჩვევებში ჩაიჭრნენ. ჩვენ მოუმზადებელნი ვიყავით, რადგან ტესტირების შესახებ წინასწარ არ გაგვაფრთხილეს. დღეს კი გამოგვიცხადეს, რომ ყველა, ვინც გამოცდა ვერ ჩააბარა, სამსახურიდან გაათავისუფლეს“.**

მონიტორინგის სამსახურის უკვე ყოფილი თანამშრომლის ინფორმაციით, გათავისუფლებულებს მუშაობის 10-წელზე ნაკლები სტაჟი არ აქვთ: **„რამდენიმე თვის წინ, სამსახურის ხელმძღვანელობამ, როგორც თავად თქვეს, კადრების დეფიციტის გამო, სამთვიანი ხელშეკრულებებით რამდენიმე გოგონა აიყვანა და ხაზი მინდა გავუსვა, რომ არც ერთს სამედიცინო განათლება არ აქვს. მე, რომელსაც მუშაობის 24-წლიანი სტაჟი მაქვს, დღეს გამათავისუფლეს, ისინი კი დატოვეს. ჩემს მდგომარეობაში არიან სხვებიც – არც ერთ მათგანს მუშაობის 10 წელზე ნაკლები სტაჟი არ აქვს“.**

ალიხანაშვილი იმასაც ამბობს, რომ ისინი ადვოკატის აყვანასა და სასამართლოში სარჩელის შეტანას აპირებენ და, შესაძლოა, საპროტესტო აქციებიც დაგეგმონ.

„ინტერპრესნიუსი“

ცხინვალის რეგიონში დაკავებული ბავშვები თავისუფლები არიან

შსს-ს ანალიტიკური დეპარტამენტის, შიდა ქართლის სამხარეო მთავარი სამმართველოს, იმერეთის, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის სამხარეო მთავარი სამმართველოს და საქართველოში ევროკავშირის მონიტორინგის მისიის წარმომადგენლების მიერ, „ცხელი ხაზის“ მეშვეობით, ოკუპირებული ცხინვალის რეგიონის დე ფაქტო ხელისუფლების წარმომადგენლებთან ინტენსიური მოლაპარაკების შედეგად, უკანონოდ დაკავებული 5 მოზარდი გათავისუფლდა.

რუსმა სამხედროებმა, ოკუპირებული ცხინვალის რეგიონის ე. წ. ადმინისტრაციული საზღვრის „უკანონო კვეთის“ ბრალდებით, საჩხერის რაიონის სოფელ კორბოულში ჯონჯოლის საკრეფად წასული 11 მოქალაქე ოკუპაციის ხაზის მიმდებარე ტერიტორიაზე დააკავეს. ოსური მილიციის თანამშრომლებმა ისინი ჯერ ზნაურში გადაიყვანეს, ხოლო შემდეგ ცხინვალის იზოლატორში მოათავსეს.

ინტენსიური მოლაპარაკებების შედეგად, 1 მაისს უკანონოდ დაკავებული ხუთივე მოზარდი ოკუპირებული ცხინვალის დე ფაქტო ხელისუფლების წარმომადგენლებმა 2 მაისს, დილით გაათავისუფლეს. მიმდინარეობს მოლაპარაკებები დანარჩენი დაკავებული მოქალაქეების გასათავისუფლებლად.

„ინტერპრესნიუსი“

პარლამენტის საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტის ხელმძღვანელად ნიკო ნერგაძე დაინიშნა

ეს თანამდებობა ვაკანტური მას შემდეგ იყო, რაც დეპარტამენტის ყოფილმა ხელმძღვანელმა მაკა გიგაურმა თანამდებობა დატოვა და საბურთალოს გამგებლის მოადგილედ დაინიშნა.

საზოგადოებასთან ურთიერთობისა და ინფორმაციის დეპარტამენტის ახალი ხელმძღვანელი თანამშრომლებს უკვე შეხვდა.

ნიკო ნერგაძე არის რადიო „თავისუფლების“ ბლოგერი, კითხულობს ლექციებს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტში. იყო ქართული „ფლეიბოის“ რედაქტორი, „ჯეოსტარის“ ჟიურის წევრი.

„ინტერპრესნიუსი“

პატიმარმა თავი გაიგუდა

ქუთაისის №2 პატიმრობისა და დახურული ტიპის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში მსჯავრდებულმა, სავარაუდოდ, თავი საკუთარი ზეწრით გაიგუდა. სასჯელაღსრულების სამინისტროს Facebook-ის ოფიციალურ გვერდზე გამოქვეყნდა ინფორმაცია, რომლის მიხედვითაც, პატიმარი ქუთაისის ციხეში 1 მაისს გარდაიცვალა: **„სასჯელაღსრულების სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის პირველადი ვერსიით, ადგილი ჰქონდა თვითმკვლელობას. (საკუთარი ზეწრის გამოყენებით — ასფიქსია). მსჯავრდებული კ.ა. სასჯელს იხდიდა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 180-ე მუხლით.**

როგორც სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურისთვის გახდა ცნობილი, 2013 წლის 1 მაისს მსჯავრდებულმა, კუჭის ტკივილი მოიმიზეზა და უარი განაცხადა სეირნობაზე. სეირნობიდან დაბრუნებულმა თანასაკნელებმა მსჯავრდებული კ.ა. გარდაცვლილი იპოვეს“. საქმეს იძიებს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახური.

„ინტერპრესნიუსი“

დაცვის პოლიციის დეპარტამენტი საკონტრაქტო სამსახურში მიღებას აცხადებს

125 დაცვის პოლიცია SECURITY POLICE

SECURITY POLICE 125

SECURITY POLICE 125

www.125.ge

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სსიპ დაცვის პოლიციის დეპარტამენტი აცხადებს 18-იდან 27 წლის ასაკის მოქალაქეთა მიღებას საკონტრაქტო სამსახურში.

სამხედრო აღრიცხვაზე მყოფი მოქალაქეები სამსახურში მიიღებიან ერთი წლის ვადით. დაცვის პოლიციაში სამხედრო სავალდებულო სამსახურის მოხდა, წვევამდელების გარდა, შეუძლიათ სტუდენტებს, ოჯახში ერთადერთ შვილებს, 27 წლამდე მამაკაცებს, რომლებსაც ჰყავთ ცოლ-შვილი. სამხედრო სავალდებულო სამსახურის მოხდის შესახებ კანონმდებლობის მიხედვით აღნიშნული კატეგორიის მოქალაქეები შეღავათებით სარგებლობენ, თუმცა თუ მათ სამომავლო კარიერისთვის სურვილი აქვთ, გაიარონ სამხედრო სამსახური, შეუძლიათ მიმართონ შსს-ს დაცვის პოლიციის დეპარტამენტს.

საკონტრაქტო სამსახურის პირობები:

ვადა: 12 თვე

გრაფიკი: სამ დღეში ერთხელ 24 საათიანი რეჟიმი (შესაძლებელია სწავლის შეთავსება).

ჯანმრთელობისა და სიცოცხლის დაზღვევა;

ყოველთვიური ანაზღაურება: 90 ლარი;

სამსახურში ჩასარიცხად საჭიროა:

1) კანდიდატი მობრძანდეს დაცვის პოლიციის დეპარტამენტში მისამართზე: აღმაშენებლის ხეივანი მე-11 კმ.

2) დაასახელოს/წარმოადგინოს შინაგან საქმეთა სამინისტროს, ან სხვა ძალოვანი უწყების თანამშრომლის რეკომენდაცია;

3) გაიაროს გასაუბრება და ჯანმრთელობის კომისიის შემოწმება;

წარმატებული კანდიდატები ორი კვირის განმავლობაში გაივლიან სპეციალური მომზადების კურსს. სამხედრო ფიცის მიღების შემდეგ ჩაირიცხებიან შინაგან საქმეთა სამინისტროს საკონტრაქტო სამსახურში და დაცვის პოლიციის დეპარტამენტის სხვადასხვა ქვედანაყოფებში გადანაწილდებიან.

დაინტერესებულ პირებს დამატებითი ინფორმაციისთვის შეუძლიათ დარეკონ ნომერზე: 125 (ზარი უფასოა).

სქემა, რომლითაც დავით კირვალიძეს საბოტაჟი მოუწყვეს

რატომ გადადგა თანამდებობიდან და 2006 წლიდან დაწყებული რომელ სკანდალს „შეეწირა“ დავით კირვალიძე

მაია მიშელაძე
593-51-90-12

შინაგან საქმეთა სამინისტროს ანტიკორუფციული სააგენტოს თანამშრომლებმა, სახელმწიფოს კუთვნილი, დიდი ოდენობით თანხების გაფლანგვის, სამსახურებრივი გულგრილობისა და ექსპერტებზე ზეწოლის ფაქტზე, საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროსა და სახელმწიფო შპს „მექანიზატორის“ მაღალი თანამდებობის პირები დააკავეს. მეორე დღეს, 2 მაისს, სოფლის მეურნეობის მინისტრმა დავით კირვალიძემ უფლებამოსილების შეჩერების თხოვნით მთავრობას მიმართა. მისი თქმით, სამინისტროში მიმდინარე პროცესებთან დაკავშირებით, პოლიტიკურ პასუხისმგებლობას გრძნობს და მთავრობას უფლებამოსილების შეჩერება ამიტომაც სთხოვა. კირვალიძის ინფორმაციით, პრემიერ-მინისტრმა ბიძინა ივანიშვილმა მისი თხოვნა დააკმაყოფილა და გამოძიების დასრულებამდე, უფლებამოსილება შეუწყვიტა. „ვერსია“ დიდი ხანია, ჟურნალისტურ გამოძიებას ატარებს სახელმწიფოს კუთვნილი შპს „მექანიზატორის“ სკანდალურ ფაქტებთან დაკავშირებით. რამდენიმე დღის წინ, პრემიერ-მინისტრმა განაცხადა, რომ ერთ-ერთი სამინისტროს ხელმძღვანელის მიმართ გარკვეული კითხვები დაუგროვდა. ჩვენს ხელთ არსებული კონფიდენციალური ინფორმაციისა და კარგად ინფორმირებულ წყაროზე დაყრდნობით, პრემიერი სოფლის მეურნეობის მინისტრს, დავით კირვალიძეს გულისხმობდა, თუმცა იმის გამო, რომ ხელთ საკმაოდ დელიკატური ინფორმაცია გვქონდა, არ ავჩქარდით და მხოლოდ წყაროზე დაყრდნობით, სტატია არ გამოვაქვეყნეთ. ჟურნალისტური ძიება განვაგრძეთ, მაგრამ 1 და 2 მაისს, მოვლენები ისე განვითარდა, რომ „ვერსია“ ამ სკანდალის როგორც ოფიციალურ, ასევე კონფიდენციალურ და უკვე გადამოწმებულ ფაქტებს გთავაზობთ.

სკანდალის ოფიციალური ვერსია

„სამინისტროს თანამშრომლების უმრავლესობა, ძალიან წესიერი და კეთილსინდისიერი ხალხია. მათ შორის, ბევრი ჩემი მეგობარია. დარწმუნებული ვარ, სიტუაცია მალე გაირკვევა, რადგან სიმართლე აუცილებლად უნდა დადგინდეს. პროცესის დასრულებამდე, პოლიტიკურ პასუხისმგებლობას საკუთარ თავზე ვიღებ და გადადგომის გადაწყვეტილება ამიტომაც მივიღე“, — განაცხადა დავით კირვალიძემ 2 მაისს გამართული მთავრობის სხდომის დასრულების შემდეგ.

ამიერიდან, სოფლის მეურნეობის მინისტრის მოვალეობას მისი მოადგილე, შალვა ფიფია შეასრულებს. მოგვიანებით, შინაგან საქმეთა სამინისტრომ ოფიციალური ინფორმაცია გაავრცელა, რასაც „ვერსია“ უცვლელად გთავაზობთ:

„2012 წლის 24 დეკემბერს, საქართველოს მთავრობამ, სოფლად მცხოვრები მოსახლეობის დახმარების მიზნით, სახელმწიფო ბიუჯეტიდან 54 000 000 ლარი გამოყო, რაც მოსახლეობის კუთვნილი მიწების ხვნა-თესვას უნდა მოხმარებოდა. ამ პროექტისათვის, მთავრობის მიერ გამოყოფილი თანხიდან, 50 000 000 ლარის ღირებულების სასოფლო-სამეურნეო ტრაქტორებისა და სხვადასხვა საჭირო აგრეგატის შეძენა შპს „მექანიზატორს“ დაევალა. შესყიდვის კონტროლისთვის, სპეციალურად შეიქმნა შესაბამისი კომისიები, რომლებშიც შედიოდნენ როგორც შპს „მექანიზატორის“, ასევე საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს ხელმძღვანელი თანამდებობის პირები.

სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის შერჩევისა და შესყიდვის დროს, სხვადასხვა მწარმოებლის მიერ შემოთავაზებულ, პრაქტიკულად, თანაბარი სპეციფიკაციების მქონე ტრაქტორებს შორის, დანაშაულებრივად მიენიჭა უპირატესობა უარესს, რის შედეგადაც ერთ ერთეულ ტრაქტორში, დაახლოებით 10 000 ევრო გაიფლანგა.

2013 წლის იანვარში, ტრაქტორები და საჭირო ტექნიკა შეიძინეს, რა დროსაც თანამდებობის პირებმა, დანაშაულებრივი ქმედებით, მოსახლეობის დასახმარებლად სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი 2 500 000 ლარი გაფლანგეს. მხილებულმა პირებმა, დანაშაულის დასაფარად, ზეწოლა მოახდინეს სისხლის სამართლის საქმეზე მომუშავე ექსპერტთა ჯგუფზე, რათა მათთვის სასურველი დასკვნა მიეღოთ და სისხლის სამართლის პასუხისმგებლობისათვის თავი აერიდებინათ.

ჩატარებული საგამოძიებო და ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებების შედეგად მხილებულნი და დაკავებულნი არიან: სოფლის მეურნეობის სამინისტროს სამმართველოს უფროსი ომარ თედორაძე, სოფლის მეურნეობის მექანიზაციის ინსტიტუტის დირექტორი ზაზა მახარობლიძე, შპს „მექანიზატორის“ დირექტორი ვაჟა ნახუცრიშვილი და მისი ორი მოადგილე — მამუკა ივანიაძე და ბესიკ თეთვაძე, აგრარული უნივერსიტეტის სრული პროფესორი ოთარ ქარჩავა.

სახელმწიფო სახსრების განსაკუთრებით დიდი ოდენობით მითვისება-გაფლანგვაში მონაწილე სხვა პირების დადგენა-დაკავების მიზნით, გამოძიება გრძელდება“.

სამართალდამცველებმა 1 მაისს, ღამით, კიდევ ერთი პირი დააკავეს. დაკავებულია „ტექ-აგრო-სერვისის“ წარმომადგენელი გივი ქაიხოსროშვილი, რომელსაც ექსპერტზე ზეწოლა ედება ბრალად, რათა მას ყალბი დასკვნა გაეცა.

რატომ უნდა გაუქმდეს შპს „მექანიზატორი“?

ვიდრე ეს სკანდალი გახმაურდებოდა, ათიოდე დღით ადრე, „ვერსიას“ კარგად ინფორმირებული, საქმეში ჩახედული და კომპეტენტური პირი დაუკავშირდა, რომელმაც სახელმწიფოს კუთვნილი შპს „მექანიზატორის“ შესახებ დეტალური ინფორმაცია მოგვაწოდა, მაგრამ ვინაობის გამხელა არ მოისურვა.

წყაროს ინფორმაციით, 2011 წლის სექტემბერში, სახელმწიფოს კუთვნილმა შპს „მექანიზატორმა“ ტენდერი ჩაატარა, რომლის ერთ-ერთი ლოტი, „ჯი თი გრუპმა“ მოიგო. სატენდერო პირობების მიხედვით, მოთხოვნილი იყო სასუქის მომყრელი ბუნკერი, რომელიც უჟანგავი ლითონისგან უნდა ყოფილიყო დამზადებული. წყარო გვიამბობს, რომ სატენდერო პირობები დაარღვიეს და მოთხოვნილი ტექნიკის, ანუ უჟანგავი ლითონის ნაცვლად, ჩვეულებრივი, შეღებილი ლითონის ბუნკერი შემოიტანეს.

„რაც შეეხება 2012 წლის ტენდერს, რის გამოც შინაგან საქმეთა სამინისტრომ გამოძიება დაიწყო, მინდა გითხრათ, რომ მაშინ ტენდერი საერთოდ არ ჩატარებულა! შპს „მექანიზატორის“ წარმომადგენლებმა, სწორედ იმ კომპანიების ხელმძღვანელებს გაუგზავნეს წერილები, რომელთა გამარჯვებაც სურდათ და იმ ტექნიკის ჩამონათვალიც, რაც უნდა შეეძინათ. ზუსტად ვიცი, რომ ერთ-ერთმა იტალიურმა კომპანია „ნარდმა“ შესთავაზა მის მიერ წარმოებული ტექნიკა, უფრო სწორად, ტრაქტორები და მთლიანობაში, 13 600 000 ევრო მოითხოვა. სამწუხაროდ, ტრაქტორები ორი კომპანიისგან — „მასკიო გასპარდოსა“ და „კუნისგან“ შეიძინეს. „მასკიო გასპარდოს“ წარმომადგენელი საქართველოში „მსოფლიო ტექნიკაა“, რომელსაც ზვიად ბრეგვაძე ხელმძღვანელობს, ხოლო „კუნის“ წარმომადგენლობა „ჯი თი გრუპია“. საბოლოოდ, საჭირო ტექნიკა ამ ორი კომპანიისგან, გაცილებით ძვირად — 22 000 000 ევროდ შეიძინეს. ეს იმას ნიშნავს, რომ მხოლოდ ერთი ტენდერის ერთ ლოტზე, დაახლოებით, 8 400 000 ევრო დარჩათ. აი, სწორედ ეს ხალხი იბრძვის დღეს იმისათვის, რათა საკუთარი წარსული დაფაროს. „კუნის“ ტექნიკაზე პრეტენზია არ გვაქვს, მაგრამ „მასკიო გასპარდოს“ შემოტანილი ტექნიკა უხარისხოა და გაფუჭებული ყრია რეგიონებში“, — გვიამბობს წყარო.

დასასრული მე-4 გვერდზე

კანონპროექტს „ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ“ პარლამენტმა კენჭი ვერ უყარა

„ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ“ კანონში შესატანი ცვლილებების პროექტი, კომიტეტებში ხმაურიანი განხილვების შემდეგ, 2 მაისს, პირველი მოსმენით, სასესიო განხილვაზე გავიდა. მთავრობის საკანონმდებლო ინიციატივა, ოკუპირებულ ტერიტორიებზე შესვლის წესების დარღვევისთვის სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობის ლიბერალიზებას გულისხმობს.

ცვლილებების თანახმად, უცხო ქვეყნის მოქალაქე ან მოქალაქეობის არმქონე პირი, რომელიც ოკუპირებულ ტერიტორიებზე კანონით დადგენილ წესს დაარღვევს, თავისუფლების აღკვეთის ნაცვლად, 400 ლარით დაჯარიმდება. შესაბამისად, პირველ ჯერზე ოკუპირებულ ტერიტორიებზე შესვლის წესის დარღვევისთვის პასუხისმგებლობა, სისხლის სამართლებრივი სანქციის ნაცვლად, ადმინისტრაციული წესით განისაზღვრება, სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობა კი იმ შემთხვევაში დადგება, თუ ასეთი ქმედება პირმა ადმინისტრაციული სახდელის შეფარდების შემდეგაც ჩაიდინა. ასეთ შემთხვევაში, კანონის განმეორებით დამრღვევი სისხლის სამართლის კოდექსის საფუძველზე დაჯარიმდება ან შეეფარდება ერთ წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთა.

მთავრობის ეს საკანონმდებლო ინიციატივა პლენარულ სხდომაზე ხმაურიანი კამათის საფუძველი გახდა. ოპოზიციამ კი კანონპროექტს, პროცედურული მეთოდების გამოყენებითაც გამოუცხადა ბრძოლა. საპარლამენტო უმცირესობის წევრებმა, სხდომათა დარბაზში ყოფნის მიუხედავად, რეგისტრაცია არ გაიარეს. შესაბამისად, შეიქმნა ქვორუმის პრობლემა და პლენარული სხდომა ვერ გაიხსნა.

რეგისტრაცია კი ორჯერ ჩატარდა. თავდაპირველად, ქვორუმს ერთი ხმა დააკლდა. შემდეგ კი, რა დროსაც პარლამენტს უფრო მეტი დეპუტატი შეემატა, ეს პროცედურა სულ 58-მა პარლამენტარმა გაიარა.

უმცირესობის ერთ-ერთმა ლიდერმა გოკა გაბაშვილმა დაადასტურა, რომ რეგისტრაციას შეგნებულად, პოლიტიკური გადაწყვეტილებით არ გადიან: **„მიგვაჩნია, რომ ამ კანონის განხილვა სამარცხვინოა და ყველა მეთოდით შევეცდებით, განხილვა გადაიდოს. ფაქტია, რუსეთის მოთხოვნით უნდა შესუსტდეს და ძალა გამოეცალოს „ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ“ კანონს, მაშინ როცა დეოკუპაციის მიმართულებით არც ერთი ნაბიჯი არ გადადგმულა. ეს არის სამარცხვინო“.**

„პროცედურული ომის“ შემდეგ, განხილვა დაიწყო, რაც მწვავე პოლემიკაში გადაიზარდა. მომხსენებელს, რეინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის მოადგილეს ქეთევან ციხელაშვილს სიტყვა არაერთხელ გააწყვეტინეს. მოგვიანებით კი, მას ნაციონალების კითხვებზეც მოუწია პასუხის გაცემა და მათ მიერ წამოყენებულ ეჭვებსა თუ ბრალდებებსაც გამოეხმაურა, რომელთა არსიც, ძირითადად, ასეთი იყო — ცვლილებები რუსეთის დაკვეთით ხდება, რაც საქართველოს სახელმწიფოებრიობას საფრთხეს უქმნის. „ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ კანონს“ საფრთხე არ ემუქრება, ამ კანონს არავინ აუქმებს და რუსეთს ან ლავროვს რა უნდა, ეს სხვა საკითხია — ასეთი იყო ციხელაშვილის პასუხი. მისი თქმით, მითია საპარლამენტო უმცირესობის წევრების განცხადება, თითქოს ამ კანონში ცვლილება რუსეთთან, რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრ, სერგეი ლავროვის იმ განცხადებასთან კავშირშია, რომლის მიხედვითაც, ეს კანონი უნდა გაუქმდეს.

პროცედურებთან დაკავშირებული დაპირისპირების ახალი რაუნდი კითხვა-პასუხის რეჟიმისა და დაზუსტებითი კითხვების დასმის პროცედურის დროს დაიწყო.

საინტერესოა ის, რომ აღნიშნულ კანონში ცვლილებების შეტანის აუცილებლობას ვერ ხედავს საპარლამენტო უმრავლესობის ერთ-ერთი ლიდერი კობა დავითაშვილი: **„გულწრფელად გეტყვით, ჩემთვის გაუგებარია ის ვნებათაღელვა, რომელიც ამ კანონპროექტის როგორც მომხრეების, ისე მოწინააღმდეგეების მხრიდანაა. ამ კანონპროექტის მიზანს ვერ ვხედავ და ვერც წინააღმდეგობის მიზანს, რომ ეს კანონპროექტი რაღაც თვალსაზრისით დაგვაქცევს ან აგვაშენებს. განცდა მაქვს, რომ ვერც დაგვაქცევს და ვერც აგვაშენებს. არის კამათი კამათის გულისთვის“.**

„კამათი კამათის გულისთვის“ და „რეპლიკები პიარისთვის“, კანონპროექტის განხილვა საბოლოოდ, ამგვარი ეპითეტებით შეფასდა. შედეგად, როგორც დეპუტატი ვახტანგ ხმალაძე ეჭვობდა, ნაციონალებმა „დრო გაწელეს“, ცვლილებების პროექტის განხილვის დასრულება და კენჭისყრაზე გატანა კი პარლამენტმა ვერ მოასწრო. პროექტზე მსჯელობა 15 მაისის პლენარული სხდომისთვის დაიგეგმა, თუმცა ამაზე გადაწყვეტილებას პარლამენტის ბიურო მიიღებს.

„ვერსიანიუსი“

„ვახტანგ ყოლბაიას დანიშვნით კანონი არ დარღვეულა“

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო ვახტანგ ყოლბაიას აფხაზეთის მთავრობის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებლად დანიშვნასთან დაკავშირებით ოპონენტების განცხადებებს ეხმაურება.

საბჭოს განცხადებაშია ნათქვამი, რომ საქართველოს კონსტიტუცია არ დარღვეულა იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ ქვეყნის ძირითადი კანონი აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის დანიშვნის საკითხს არ არეგულირებს.

რაც შეეხება მიღებულ გადაწყვეტილებას, იგი სამართლებრივად დასაბუთებულია და არ ეწინააღმდეგება ეროვნულ თუ ავტონომიური რესპუბლიკის კანონმდებლობას: **„სამწუხაროდ, ცალკეული პიროვნებები თავს უფლებას აძლევენ, ვ. არძინბასთან პარალელების გავლებით, შეურაცხყოფა მიაყენონ უმაღლეს საბჭოს და იმავდროულად, შეცდომაში შეიყვანონ საზოგადოების ნაწილი. ამჟღავნებენ რა არაკომპეტენტურობას აფხაზეთის იმჟამინდელი კანონმდებლობის ცოდნაში, ისინი ამტკიცებენ, რომ აფხაზეთის მთავრობის თავმჯდომარის დანიშვნას ვითომ ორი მესამედი სჭირდებოდა. ვ. არძინბამ კი თითქოს ამ ნორმის დარღვევით, მთავრობის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი დანიშნა, რაშიც მას, თურმე ნუ იტყვით, უმაღლესმა საბჭომაც მიბაძა?! ჩვენ ისღა დაგვრჩენია, ვურჩიოთ მსგავსი განცხადების ავტორს, მობრძანდეს უმაღლეს საბჭოში, სადაც მას ყოველთვის პატივს სცემდნენ და სადაც შეუძლია კვალიფიციური კონსულტაციის გავლა ძველ კანონმდებლობასთან დაკავშირებითაც.**

პატივცემულმა ოპონენტებმა იმის შესახებაც უნდა იცოდნენ, რომ საქართველოს პრეზიდენტი კი არ ამტკიცებს აფხაზეთის მთავრობის თავმჯდომარეს, არამედ იძლევა ან არ იძლევა თანხმობას მის დანიშვნაზე.

არიან ისეთი ადამიანებიც, რომლებიც აფხაზეთის უმაღლეს საბჭოსა და მთავრობის ლანძღვაში ერთმანეთს ეჯიბრებიან, ამასთანავე, არ იშურებენ შეურაცხმყოფელ ეპითეტებსაც.

უმაღლეს საბჭოს კანონმდებლობა დღემდე არ დაურღვევია და არც მომავალში აპირებს ამის გაკეთებას. ამავე დროს, გვსურს, ხაზგასმით აღვნიშნოთ, რომ უმაღლესი საბჭო, ბუნებრივია, არასოდეს დანიშნავს მთავრობის თავმჯდომარედ პიროვნებას საქართველოს მთავრობასთან წინასწარი კონსულტაციის გარეშე. ასეთი იყო, არის და იქნება უმაღლესი საბჭოს მყარი პოზიცია“.

„ინტერპრესნიუსი“

გორის გამგებელმა, შესაძლოა, ვანო მერაბიშვილს სასამართლოში უჩივლოს

გორის მუნიციპალიტეტის გამგებელმა პაპუნა კობერიძემ, შესაძლოა, ნაციონალური მოძრაობის გენერალურ მდივანს ვანო მერაბიშვილს სასამართლოში უჩივლოს. კობერიძე ვანო მერაბიშვილის მიერ გაკეთებულ განცხადებას გამოეხმაურა — მერაბიშვილის თქმით, სტიქიის შედეგად გორში მიმდინარე სარეაბილიტაციო სამუშაოებში ადგილობრივ ხელისუფლებას კორუფციული დაინტერესება გააჩნია და იმ კომპანიებისგან, რომლებიც სარეაბილიტაციო სამუშაოებს ასრულებენ 10%-იან წილში ზის.

გორის მუნიციპალიტეტის გამგებლის განცხადებით, მერაბიშვილის ეს განცხადება ყველანაირ საფუძველსმოკლებულია: **„რა მეთოდებითაც თავად მუშაობდნენ, ზუსტად იგივე განცხადებებს აკეთებენ. ფიქრობენ, რომ ამჟამინდელი ხელისუფლებაც ამგვარად იქცევა. ეს არის აბსურდული განცხადება, დარწმუნებული ვარ, რომ არავინაა ამგვარ გარიგებაში, თუმცა უფრო მეტი დამაჯერებლობისთვის მოვითხოვ, შეიქმნას სპეციალური ჯგუფი, რომელიც შეისწავლის სტიქიის შედეგად დაზიანებული სახურავების რეაბილიტაციაზე შესრულებულ სამუშაოებს და იმ შემთხვევაში, თუ ნაციონალური მოძრაობის გენერალური მდივნის განცხადებაში მოყვანილი ფაქტები არ დადასტურდება, მერაბიშვილს სასამართლოს წინაშე მოუწევს პასუხისგება ცილისწამებისთვის“.**

„ინტერპრესნიუსი“

სქემა, რომლითაც დავით კირვალიძეს საბოტაჟი მოუწყვეს



მე-3 გვერდიდან

„ვერსიის“ წყაროს ინფორმაციით, ეს კომპანიები საქართველოს ბაზარს კარგავენ და ეს სკანდალი იმიტომ აწყობთ, რომ მათ მიერ შემოტანილი, უხარისხო ტექნიკის გამო, პასუხი არ აგონ. წყარო გვიამბობს, რომ სოფლის მეურნეობის სამინისტროში, უკვე დიდი ხანია მოქმედებს ელიტური კასტა, რომლებიც ამ კომპანიებში არიან გადანაწილებული და მათ ახლაც ის ხალხი მფარველობს, რომლებიც წინა ხელისუფლების პირობებში მფარველობდნენ. წყაროს ინფორმაციით, ყველა დიდ ტენდერს, რომელიც მილიონობით დოლარს და ევროს ეხებოდა, შპს „მექანიზატორის“ ლობირების ქვეშ, „მსოფლიო ტექნიკა“ და „ჯი თი გრუპი“ იგებდა.

რა მოხდა სინამდვილეში, ან რას ნიშნავს სკანდალი, რომელსაც სოფლის მეურნეობის მინისტრს, დავით კირვალიძეს უკავშირებენ? სიტუაციაში უკეთ გარკვევის მიზნით, „ვერსია“ მთის სოფლის განვითარების საერთაშორისო პროექტების მენეჯერს ბალკანეთის ქვეყნებსა და თურქეთში, **ნოე ხოზრევანიძეს** დაუკავშირდა და წყაროს მიერ მოწოდებული ინფორმაცია გადაამოწმა:

— ბატონო ნოე, ვინ და რატომ შექმნა შპს „მექანიზატორი“ და რა იყო მიზეზი, რის გამოც ეს კომპანია ტენდერებს იგებდა?

— ჯერ იმას გეტყვით, რომ ევროკავშირის სივრცის ქვეყნებში, სოფლის მეურნეობის პროდუქცია 48%-ითაა სუბსიდირებული, თურქეთში — 37%-ით, კანადაში — 32%-ით, აშშ-ში — 23%-ით, იაპონიაში — 70%-ით, ავსტრალიაში — 9%-ით და ახალ ზელანდიაში — 3%-ით. რაც შეეხება ევროკავშირის ქვეყნებს, შვედეთის სოფლის მეურნეობა სახელმწიფოს მიერ სუბსიდირებულია 52%-ით, ავსტრიაში — 56%-ით, ფინეთში — 67%-ით, ნორვეგიაში — 76%-ით და შვეიცარიაში — 77%-ით. რაც შეეხება საქართველოს, სოფლის მეურნეობის სუბსიდირებას დიდი კითხვის ნიშანი ადევს. თუ ჩვენი ქვეყნის მომავალი ევროპული არჩევანია, მაშინ ამ ქვეყანაში, რომელიც აგრარულია, სად იკვეთება აგრარული სექტორის ევროპული ორიენტაცია? თუ აგრარული ქვეყნის აგროორიენტაცია გამოკვეთილი არ არის, კითხვას ვსვამ, წლების წინ, რატომ დააფუძნა სოფლის მეურნეობის სამინისტრომ სახელმწიფოს კუთვნილი შპს „მექანიზატორი“, ხოლო ეკონომიკის სამინისტრომ — შპს „სოფლის მეურნეობის კორპორაცია“? ყველაზე დიდ შეშფოთებას დღემდე ის ფაქტი იწვევს, როდესაც ვანო მერაბიშვილმა დააანონსა, რომ წინა ხელისუფლება მზად იყო, სოფლის მეურნეობის პროდუქტების დამზადების დარგობრივი სამინისტროები ჩამოეყალიბებინა, მაგალითად, ხილ-ბოსტნეულის, რძის, ხორცის პროდუქტებისა და ასე შემდეგ. სად არის აქ ევროპული ორიენტაცია, ან სად იყო მაშინ, ევროკავშირის წარმომადგენელი საქართველოში, ფილიპ დიმიტროვი და რატომ არ მისცა საჯარო შენიშვნა ამ ინოვაციის ავტორს, რომ დამზადების სამინისტროები და მსგავსი შპს-ები ევროპულ კონცეფციაში არ ჯდებოდა?

დღემდე არ მესმის, რატომ ჩამოყალიბდა სახელმწიფო შპს „მექანიზატორი“, როგორ შეიძლება, სოფლის მეურნეობის სამინისტრო, თვითონ ხნავდეს, თესავდეს და იმკიდეს მოსავალს? ევროპის არც ერთ ქვეყანაში არ არის მსგავსი შპს. ჩვენთან ეს ყველაფერი სახელმწიფომ ჩაიგდო ხელში და შპს „მექანიზატორის“ სახით, სახელმწიფო მონოპოლიის კლასიკური მაგალითი შექმნა. ეს არის მძიმე მემკვიდრეობა, რაც დღევანდელ ხელისუფლებას ერგო, მაგრამ ეს მოითხოვს ურთულეს, უმძიმეს და ხანგრძლივ რეფორმებს. არ შეიძლება, შპს „მექანიზატორი“ არსებობდეს, რადგან ეს შპს ამუხრუჭებს დარგს, სახელმწიფოს და ეს მძიმე ფინანსური ტვირთია საბიუჯეტო ორგანიზაციებისთვის. აღარაფერს ვამბობ წინა წლებში და თუნდაც, ბოლო დროს ამ შპს-ს წიაღში ჩატარებული ტენდერების ავ-კარგიანობასა და გაფლანგულ მილიონებზე, რაც სასწრაფოდ მისახედია. აი, ეს არის მიზეზი, რის გამოც დღევანდელ მთავრობას ვურჩევ, სასწრაფოდ გადახედოს შპს „მექანიზატორისა“ და შპს „სოფლის მეურნეობის განვითარების კორპორაციის“ საქმიანობას.

აგროსექტორში თანამედროვე, ცივილური, ევროსტანდარტების შესაბამისი სისტემა უნდა დაინერგოს და კარგი იქნება, თუ ამ პროცესში, ევროპის ქვეყნების ყველა ელჩი, პირველ რიგში კი, ფილიპ დიმიტროვიც მიიღებს მონაწილეობას. ვურჩევ ხელისუფლებას, 2006 წლის 1 იანვრიდან მოყოლებული ყველა ტენდერის მასალები შეისწავლოს, რაც სოფლის მეურნეობის სამინისტროში ჩატარდა.

> **ჩემი ინფორმაციით, წინა წლებში ჩატარებული ტენდერების შედეგად, თითოეული ტენდერის შემდეგ, დაახლოებით, 5 000 000-დან 6 000 000 აშშ დოლარამდე რჩებოდათ. უშუალო შეხება არ მქონია სამინისტროსთან, მაგრამ როგორც ფერმერს, პირდაპირი და ირიბი ინფორმაცია მქონდა, რომ ამ ტენდერებში, ერთი და იგივე კომპანიები ფიგურირებდნენ. სწორედ ამას უკავშირდება ახლანდელი სკანდალიც, რადგან, როგორც ჩანს, გარკვეული ჯგუფი უკვე ვარდება საქართველოს ბაზრიდან და დღევანდელი სიტუაციით, წარსულის გადაფარვა სურთ, რომ ვინმემ სატენდერო დოკუმენტები არ გამოიძიოს. თუ ჩვენ სამართლიანობის აღდგენა გვინდა, ხელისუფლებას მოვუწოდებ, ამ სამინისტროში ჩატარებული ყველა ტენდერი შეისწავლონ.**

— ჰქონდა თუ არა დავით კირვალიძეს რეალური ბერკეტი, რომ ეს კონკრეტული ჯგუფი გაეკონტროლებინა?

— ჩემი ინფორმაციით, ამ სამინისტროს 80% ძველი ხელისუფლების დროინდელი თანამშრომლები არიან. ტექნიკური პერსონალი არ შეცვლილა, ანუ ეს ის კატეგორიაა, რომელიც სერიოზულ ზეგავლენას ახდენდა კონკრეტული წინადადების, თუ გადაწყვეტილების მიღებასა და ინფორმაციის გატანაზე. როგორც ჩანს, მინისტრმა ვერ მოახერხა, თანამშრომლების ეს კატეგორია სამსახურიდან გაეშვა, არადა, სწორედ ისინი უნდა დაეთხოვა სამინისტროდან.

— თქვენი ინფორმაციით, რა სახის ტექნიკა შემოდიოდა საქართველოს სოფლის მეურნეობაში?

— შემოტანილი ტექნიკის დიდი რაოდენობა, ხშირ შემთხვევაში, გადაღებილი, ფერშეცვლილი, მაგრამ უკვე ნახმარი და უხარისხოა. არადა, ამ ტექნიკის შეძენაში მილიონებია გადაყრილი და ამას ნებისმიერი სპეციალისტი, ფერმერი თუ მეურნე დაგიდასტურებთ, ამიტომაც ვთხოვ ხელისუფლებას, რომ ეს ორი შპს სასწრაფოდ გააუქმოს.

— გამოდის, სკანდალი, რომელშიც სოფლის მეურნეობის მინისტრი, დავით კირვალიძე გაეხვა, წარსულის გადასაფარად, ამ ჯგუფის ინსპირირებულია?

— ბუნებრივია, ეს ტენდენცია არსებობს, თუმცა საბოტაჟის მცდელობასაც არ გამოვრიცხავ. ვიმეორებ, არც ერთ კომპანიას ან ჯგუფს არ უნდა ჰქონდეს გაბატონებული და მონოპოლიური უფლება, ეს ყველაფერი ახალ რელსებზე უნდა გადავიდეს, რასაც კონკურენტული გარემო ჰქვია.

— ჩემი ინფორმაციით, ბიძინა ივანიშვილს, დავით კირვალიძის მიმართ კითხვები შპს „მექანიზატორთან“ დაკავშირებით გაუჩნდა, მაგრამ ვაუჩერების სკანდალი რას ნიშნავს, რომელმაც ამ მოვლენებს ერთი დღით დაასწრო?

— ბუნებრივია, ასეთი ცდუნება ანუ სასოფლო-სამეურნეო ბარათების თანხაში გადაცვლის მცდელობა იქნებოდა, რადგან ეს საქართველოა, სადაც საკმაოდ დიდი ტერიტორია დაუმუშავებელია. ჩვენი ქვეყნის მოსახლეობის დიდი ნაწილი ფლობს საკარმიდამო მიწის ნაკვეთს, რომელსაც არ ამუშავებს და, რეალურად, არც კი სჭირდება, რადგან მემკვიდრეობით ერგო, ამიტომ, ბუნებრივია, რომ ამ ტიპის შეცდომები იქნებოდა, რადგან ამ პროცესთან გამკლავება რთულია. სამწუხაროდ, ვიდრე ერთი, კონკრეტული უწყების ხელში იქნება ხვნა, თესვა და მოსავლის მოყვანა, ამ ტიპის შეცდომებს ვერ ავცდებით. ეს არ არის არც შპს „მექანიზატორის“ და არც სოფლის მეურნეობის საქმე, ამიტომ ეს შპს უნდა გაუქმდეს!

ექსკლუზიური ინტერვიუ კახი კალაძესთან

როგორ აფასებს ვიცე-პრემიერი მთავრობის ეკონომიკური გუნდის მუშაობას?

მაია მიშელაძე
593-51-90-12

„სრული პასუხისმგებლობით ვაცხადებ, რომ გავრცელებული ინფორმაცია, ჩემი შესაძლო საპრეზიდენტო კანდიდატობის შესახებ, სიმართლე არ არის. პირობას გაძლევთ, რომ კოალიცია ნამდვილად ღირსეულ კანდიდატს დაასახელებს, რომელიც მისაღები იქნება ჩვენი მოსახლეობისთვის“, — განაცხადა საქართველოს ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრმა, ვიცე-პრემიერმა კახი კალაძემ ჟურნალისტებთან შეხვედრის დროს. მეტიც, კალაძეს პრეზიდენტობის ამბიცია არ აქვს, მართალია, ასაკით 35 წლისაა და შესაძლებელია, საპრეზიდენტო კანდიდატი იყოს, მაგრამ ამბობს, რომ ისედაც საპასუხისმგებლო თანამდებობა უკავია და პოლიტიკაში იმიტომ არ მოსულა, მინისტრობა ან თუნდაც პრეზიდენტობა სურდა. მას მხოლოდ ერთადერთი მიზანი ჰქონდა — დაესრულებინა 9-წლიანი მმართველობა, რამაც საქართველოს მოსახლეობა უკიდურეს გაჭირვებასა და წნეხში ჩააგდო. ჟურნალისტებთან გამართული 2-საათიანი შეხვედრის შემდეგ, „ვერსიამ“ ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრთან, ვიცე-პრემიერ კახი კალაძესთან ექსკლუზიური ინტერვიუ ჩაწერა.

— ბატონო კახი, უცხოური ინვესტიციები ისევ აქტუალურ თემად რჩება, რის გამოც თქვენი ოპონენტები გაკრიტიკებენ. სინამდვილეში, ინვესტიციები 2008 წლის მსოფლიო ეკონომიკური კრიზისის გამო შეჩერდა. მიუხედავად ამისა, ინვესტორებს საქართველოში ენერგეტიკა და ინფრასტრუქტურა აინტერესებთ, განვლილ 6 თვეში, კონკრეტულად, რა სახის ინვესტიციები განხორციელდა ენერგეტიკაში?

— გეთანხმებით. ინვესტიციების კუთხით, საქართველო საინტერესო ქვეყანაა და ყველაზე მეტი წილი ენერგეტიკაში მოდის. რაც შეეხება ბოლო თვეების მოვლენებს, საქართველოში უმსხვილესი ინდური კომპანია „ტატა ჯგუფი“ ჩამოვიდა, რომელმაც გადაწყვიტა, ინვესტიციები ენერგეტიკის გარდა, სხვადასხვა მიმართულებითაც განახორციელოს. ენერგეტიკა მათთვის მნიშვნელოვანია, მაგრამ აინტერესებთ სოფლის მეურნეობა, ტურიზმი... უმსხვილეს კომპანია „მინ ენერჯის“ უკვე დაწყებული აქვს სამუშაოები ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობასთან დაკავშირებით და სწორედ ამ კომპანიასთან აწარმოებს მოლაპარაკებას „ტატა ჯგუფი“. უახლოეს მომავალში, ხელი მოეწერება მემორანდუმს და უკვე ოფიციალურად ჩაერთვებიან ამ პროექტის განხორციელებაში. რამდენიმე კვირის წინ, გავაფორმე ხელშეკრულება „ანადოლუ ჯგუფთან“, რომელიც ფარავანჰესის მშენებლობას ახორციელებს. ახალი მემორანდუმი გავაფორმეთ, რომლითაც 600 000 000 აშშ დოლარის ინვესტიცია განხორციელდება და ეს იქნება ახალი, 300-400 მეგავატი სიმძლავრე ქვეყანაში. რა თქმა უნდა, ინტერესი დიდია და ჩვენ ყველანაირ პირობას შევუქმნით უცხოელ ინვესტორებს, რათა კარგად იმუშაონ. ჩვენი ქვეყანა გადასახადების კუთხითაც ძალიან საინტერესოა, რაც მნიშვნელოვანია ინვესტორებისთვის და ისინი ამას დიდ ყურადღებას აქცევენ. ამდენად, ჩვენი ხელისუფლების მხრიდან, მაქსიმალური ხელშეწყობა ექნებათ ინვესტორებს, რათა განახორციელონ ინვესტიციები და ადგილობრივი მოსახლეობა დაასაქმონ. ყველა ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობის შემთხვევაში, ხელშეკრულებაში ვალდებულებად ჩავუდეთ, რომ ადგილობრივი მოსახლეობა დასაქმდეს.

— ხუდონჰესთან დაკავშირებით ისეთი შთაბეჭდილება დამრჩა, რომ გარემოს დაცვის მინისტრი ხათუნა გოგალაძე მიზანმიმართულად ეწინააღმდეგება ამ ჰესის მშენებლობას, ჰოლანდიელი ექსპერტები კი, რბილად რომ ვთქვათ, საერთოდ არ იცნობენ ქართველი ექსპერტების დასკვნებს. როგორ ფიქრობთ, გვჭირდება ეს პროექტი თუ არა?

— ხუდონჰესის პროექტის ირგვლივ ვითარება გაბუქებულია, თითქოს საშიშია მისი განხორციელება ხეობაში სეისმოლოგიური და გარემოს დაცვის მიმართულებით, რაც სიცრუეა და სიმართლეს არ შეესაბამება. ჩვენი მიზანია, რაც შეიძლება მეტი ჰიდროელექტროსადგური აშენდეს, რათა არსებული ჰიდრორესურსი გამოვიყენოთ. ესაა მთავრობის მიდგომა და უნდა გაითვალისწინოს გარემოს დაცვის სამინისტრომაც. მეტიც, გარემოს დაცვის სამინისტრო, ჩვენთან ერთად უნდა იყოს მოწადინებული, რათა განხორციელდეს პროექტები და ხელი შეუწყოს ამ პროცესს. გარემოს დაცვის რეგულაციები მაქსიმალურად უნდა იყოს დაცული, რადგან როგორც ნორმალურ, განვითარებულ ქვეყნებში მიმდინარეობს ჰესების მშენებლობის პროცესი, სადაც ევროსტანდარტები დაცულია, ისე უნდა წარიმართოს პროცესი აქაც. არ შეიძლება, გარემოს დაცვის სამინისტროს ზოგიერთი წარმომადგენელი გამოვიდეს და ინტერვიუში განაცხადოს, კარგი იქნება, თუკი ხუდონჰესის პროექტზე, ორწლიანი მემორანდუმი გამოცხადდებაო.

— ნებისმიერი ჰესის პროექტს ახლავს გარემოზე ზემოქმედების შეფასების (გზშ) დოკუმენტი, სადაც ეს ყველაფერი გაწერილია და ხუდონჰესთან მიმართებაში, რა პრობლემაა, არ მესმის?

— რა თქმა უნდა, ასეა. შესაძლოა, დოკუმენტში შეცდომები ან ხარვეზები იყოს, მაგრამ გარემოს დაცვის სამინისტრომ კომპანიას უნდა მიუთითოს და დოკუმენტი ჩაასწორებინოს. რაც შეეხება ხუდონჰესის პროექტს, აქ ძირითადად, სოციალური, ადგილობრივი მოსახლეობის პრობლემაა. 30 წლის განმავლობაში, ამ ხალხმა ვერ გაარკვია, როგორ მოიქცეს, გადადიან თუ ადგილზე რჩებიან? ყველა ხელისუფლების დროს იყო საუბარი ამ პროექტის განხორციელება-არგანხორციელებაზე, მოსახლეობაც ვერაფერს აშენებს იმ მიზეზით, რომ ელოდება გადაწყვეტილებას — გადაასახლებენ თუ არა. სათითაოდ, კონკრეტულ ოჯახთან უნდა შეათანხმოს პირობები ინვესტორმა და ეს მისი ვალდებულებაა, რომელიც მსოფლიო ბანკის სტანდარტებს ეფუძნება და რაც ჩვენი მოთხოვნაც იყო. აი, ამ სტანდარტების მიხედვით უნდა დაელაპარაკოს ინვესტორი თითოეულ ოჯახს და განიხილოს მათი გადასახლების საკითხი. რა თქმა უნდა, ადგილობრივი მოსახლეობისთვის ეს მტკივნეული პროცესია და ძალიან კარგად მესმის მათი, მაგრამ ისინი აუცილებლად მიიღებენ შესაბამის ანაზღაურებას და შესაძლოა, უკეთეს პირობებშიც კი იცხოვრონ. მნიშვნელოვანია ისიც, რომ ამ პროექტის მშენებლობაზე 3 000-დან 3 500-მდე ადამიანი უნდა დასაქმდეს, რაც 8 წლის განმავლობაში, დამატებითი სამუშაო ადგილების შექმნას ნიშნავს. როდესაც პროექტი ექსპლოატაციაში შევა, გადასახადების სახით, ადგილობრივი მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში, ყოველწლიურად 20 000 000 ლარი შევა, საბოლოო ჯამში, საშემოსავლო და მოგების გადასახადების ჩათვლით, ეს იქნება 60 000 000 ლარი წელიწადში, რაც სერიოზული თანხაა. მიუხედავად ამისა, როგორ ვთქვა, რომ ხუდონჰესის პროექტი ბუნებას ზიანს არ მიაყენებს, რადგან რამდენიმე სოფელი უნდა დაიტბოროს! რა თქმა უნდა, ეს ცუდია, მაგრამ ხუდონჰესი მასშტაბური პროექტია. რაც შეეხება მოწვეულ ექსპერტებს, სიმართლე გითხრათ, ამ ადამიანების განცხადებებს ცოტა არასერიოზულად ვუყურებ. ხუდონჰესის პროექტზე ხალხი წლები მუშაობდა, ჰოლანდიელი ექსპერტები კი ჩამოვიდნენ და ორ-სამ კვირაში დადეს დასკვნა, რაც წარმოუდგენელია. ამასთან, სამუშაო შეხვედრა სამინისტროში სულ ორჯერ გაიმართა, ჩემს მოადგილეს ზუსტად 10-15 წუთით, ინვესტორს კი მხოლოდ ერთხელ შეხვდნენ. საინტერესოა, როდესაც ექსპერტი ხარ და ჩადიხარ ქვეყანაში, სადაც ინვესტორი ამ მასშტაბის პროექტს ახორციელებს, ხომ უნდა შეხვდე, რათა იმსჯელო, რა როგორ კეთდება?! მეტსაც გეტყვით, ინვესტორს ვუთხარი, რომ ზუსტად ის საბუთები და დოკუმენტაცია გადმოეცა ჩვენთვის, რაც ექსპერტებს მიაწოდეს. ეს საბუთები სრულყოფილი არ არის, რადგან კვლევები ჯერ არ დასრულებულა და ეს ჰოლანდიელმა ექსპერტებმაც კარგად იცოდნენ. ამის მიუხედავად, მაინც გაასაჯაროეს პროცესი და თქვეს, რომ ხუდონჰესის პროექტი ერთი წლით უნდა შეჩერდეს, რაც არასწორად მიმაჩნია. ყველაფერი დეტალურადაა შესასწავლი, რადგან იქნებ, ეს პროექტი ორი ან თუნდაც სამი წლით უნდა გაჩერდეს? ამიტომაც ვამბობ, რომ გამორიცხულია, ამ ტიპის დასკვნა ორ კვირაში მომზადდეს!

დასასრული მე-7 გვერდზე

გუდაურის მმართველობა ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს გადაეცა

როგორც თბილისის მერიის ოფიციალურ საიტზე გავრცელებულ განცხადებაშია ნათქვამი, თბილისის მერიამ გუდაურის განვითარების პირველი ეტაპი წარმატებით დაასრულა და ეკონომიკის სამინისტროს მმართველობაში 1 მაისიდან გადაეცა.

თბილისის მერიის მიერ გუდაურში განხორციელებულ პროექტებზე თბილისის მერმა გიგი უგულავამაც ისაუბრა. მისი თქმით, გაიზარდა ტურისტების რაოდენობა და შეიქმნა ახალი სამუშაო ადგილები: **„გუდაურის პოპულარიზაციისა და მისი საინვესტიციო პოტენციალის გაზრდის მიზნით, 2011 წლის გაზაფხულიდან, საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილებით, კურორტის მმართველობას თბილისის მერია ახორციელებდა. შედეგად, გაიზარდა ტურისტების რაოდენობა, შეიქმნა ახალი სამუშაო ადგილები და მოიმატა ადგილობრივი მოსახლეობის შემოსავლებმა. სრული დატვირთვით მუშაობს სპორტული სკოლები, განვითარდა ინფრასტრუქტურა, რაც საერთაშორისო ტურნირების ჩატარებას ხელს უწყობს. გუდაურში დამონტაჟდა კავკასიის მასშტაბით ყველაზე გრძელი გონდოლა, რომლის სიგრძე 2 450 მეტრია, თითოეული გონდოლა 10 ადამიანზეა გათვლილი. ის სწრაფია და დანიშნულების ადგილამდე 7 წუთზე ნაკლები დრო სჭირდება. კავკასიაში ყველაზე გრძელი სათხილამურო საბაგირო საათში 2 800 მგზავრს ემსახურება. ახალი გონდოლის მიმდებარე ტერიტორიაზე გაშენდა საინფორმაციო ცენტრი ტურისტებისთვის, სადაც ყველა დაინტერესებულ პირს, შესაძლებლობა აქვს საქართველოს მასშტაბით, ნებისმიერ ტურისტულ-სამოგზაურო ინფორმაციას გაეცნოს. გუდაურში აშენდა ასევე ახალი ავტოსადგომები, გზა და გვირაბი, რომელიც ძველ და ახალ გუდაურს ერთმანეთთან აკავშირებს“.**

უგულავასვე თქმით, სათხილამურო გზა 21 კმ-დან 57 კმ-მდე გაიზარდა: **„სპეციალურად დამწყებთათვის და ბავშვებისთვის დამონტაჟდა 400 მ სიგრძის ბიგელი და 3 მოძრავი ხალიჩა, სასრიალო მილები და გასართობი მოედანი. აშენდა ბენზინგასამართი სადგური და სუპერმარკეტი. კურორტის რეაბილიტაციის პროექტის ფარგლებში, რეკონსტრუქცია ჩაუტარდა სოფელ ქუმლისციხესა და დაბა გუდაურში 41 ნაგებობას, მათ შორის, ადგილობრივი მოსახლეობის საცხოვრებელ სახლებს, ასევე მცირე და საშუალო ზომის სასტუმროებს. თითოეული სახლი თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი ენერგოეფექტური მასალებით მოპირკეთდა, რაც მნიშვნელოვნად ამცირებს ზამთრის პერიოდში მოსახლეობის კომუნალურ გადასახადებს“.**

დედაქალაქის მერის ინფორმაციით, გუდაურში შენდება რამდენიმე ახალი სასტუმრო, გაიხსნა „ვისოლის“ ბენზინგასამართი სადგური: **„განხორციელებული და მიმდინარე პროექტებზე შეიქმნა სამუშაო ადგილები, დასაქმდა როგორც ადგილობრივი, ისე თბილისიდან ჩასული ადამიანები“.**

მოგვიანებით, ფაქტს გამოეხმაურა რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრი დავით ნარმანია. მან უცნაური უწოდა თავის დროზე, გუდაურის თბილისის მერიისთვის გადაცემის გადაწყვეტილებას: **„ის, რომ თავის დროზე, მიღებული იქნა გადაწყვეტილება და გუდაური, ტერიტორიულად მოშორებული ადგილი, თბილისის მერიას გადაეცა სამართავად ცოტა უცნაური იყო. ჩვენ არ შეგვისწავლია გუდაურის თემა და დეტალებში არ ვიცნობ ამ საკითხს. ცუდი არაა, რომ ინფრასტრუქტურა მოწესრიგდა, თუმცა ისიც ვიცით, რომ ხარვეზები იყო“.**

„ვერსიანიუსი“

ბიძინა ივანიშვილმა და ხათუნა გოგალაძემ ჰესებთან დაკავშირებით იკამათეს

მთავრობის სხდომაზე პრემიერ-მინისტრ ბიძინა ივანიშვილსა და გარემოს დაცვის მინისტრ ხათუნა გოგალაძეს შორის ჰესებთან დაკავშირებით კამათი გაჩაღდა. სხდომის შემდეგ გარემოს დაცვის მინისტრმა განაცხადა, რომ ეს იყო ზოგადად ჰესებთან დაკავშირებული საკითხები, თუ რა პრობლემებია და რა როგორ უნდა იყოს: **„იყო მიმოხილული ხუდონჰესთან დაკავშირებული საკითხები“.**

კითხვაზე, აქვს თუ არა პრემიერს შენიშვნები ხუდონჰესთან დაკავშირებით, გარემოს დაცვის მინისტრმა განაცხადა, რომ გარკვეული კითხვები ყველა საკითხთან დაკავშირებით არსებობს.

„ინტერპრესნიუსი“



ვახტანგ ძაბირაძე: „კირვალიძის გათავისუფლება პოლიტიკურ ელფერს იმის გამოც იძენს, რომ პრეზიდენტობის ერთ-ერთი სავარაუდო კანდიდატის, ვახტანგ ხმალაძის სიძეა“

ქვეყანაში მიმდინარე აქტუალურ საშინაო და საგარეო პოლიტიკის საკითხებზე „ინტერპრესნიუსს“ კონსტიტუციონალისტი და დამოუკიდებელ ექსპერტთა კლუბის წევრი ვახტანგ ძაბირაძე ესაუბრა.

— ბატონო ვახტანგ, არჩევნები კარგა ხანია, დასრულებულია, მაგრამ ფაქტია, რომ ორ ძირითად პოლიტიკურ ძალას — „ქართული ოცნებასა“ და ნაცმოძრაობას შორის ღია თუ ფარული შიდაპოლიტიკური ბრძოლა შინ თუ გარეთ გრძელდება. ამ თვალსაზრისით, ნაცმოძრაობა უფრო აქტიურობს. 19 აპრილის აქციისა და სამ ოლქში შუალედური საპარლამენტო არჩევნების შემდეგ პოლიტიკური პროცესი თითქოს უნდა ჩამცხრალიყო, მაგრამ ფაქტია, ასე არ მომხდარა. თქვენი აზრით, რატომ? და საერთოდ, როგორ დაახასიათებდით იმ პოლიტიკურ პროცესს, რომელზეც თვალის დევნება საზოგადოებას, ნებსით თუ უნებლიედ, უწევს?

— მოლოდინი, რომ 19 აპრილის აქციისა და, განსაკუთრებით, შუალედური არჩევნების შემდეგ პოლიტიკური პროცესი ჩაცხრებოდა, როგორც ჩანს, არ გამართლდა. ასეთი მოლოდინი საზოგადოებაში იყო და არ დაგიმალავთ, გარკვეულწილად, მეც მქონდა, მაგრამ ახლა საკითხავი ისაა, სად მიდის ეს პროცესი? საზოგადოებაში თუ მედიაში?

არჩევნებმა აჩვენა, რომ თბილისში ნაციონალების კანდიდატი მესამე ადგილზე გავიდა. კუკავამ ნაძალადევში ნაციონალები დაჯაბნა და მეორე ადგილზე გავიდა. რამდენადაც ვიცი, ოპოზიციას, გარდა ნაციონალებისა, არც სამტრედიასა და არც ბაღდათში თავისი კანდიდატი არ ჰყოლია. 1 ოქტომბრიდან დღემდე ნაციონალები ორგანიზაციული სტრუქტურის შენარჩუნებას ახერხებენ. ნაცმოძრაობას ორგანიზაციული სტრუქტურა და არჩევნებზე კარგად მუშაობის გამოცდილებაც აქვს... ამაზე ყურადღებას იმიტომაც ვამახვილებ, რომ კუკავა ვერ შეძლებდა ორგანიზაციულად მოეგო ნაციონალებისათვის. ლოგიკური დასკვნა ასეთი შეიძლება იყოს — თუ კუკავამ მათ ასეთ ვითარებაში მაინც აჯობა და მეორე ადგილზე გავიდა, ეს იმას ნიშნავს, რომ საზოგადოებაში ნაციონალებთან დამოკიდებულების საკითხი დასრულებულია. ფაქტია, რომ ნაცმოძრაობა დღეს თავისივე პარტიის რესურსის ხარჯზე არსებობს და საზოგადოებაში მხარდაჭერით არ სარგებლობს.

სხვა საკითხია, საგარეო ურთიერთობები, სადაც ჯერჯერობით, მაინც ინარჩუნებენ გარკვეულ პოზიციებს. გვინდა ჩვენ ეს თუ არა, საქართველოში ოპოზიციად დასავლეთი სწორედ ნაციონალებს განიხილავს და ეს გასაგებიც უნდა იყოს, ვინაიდან იქ ოპოზიციად ის პოლიტიკური ძალა განიხილება, რომელიც არჩევნებში დამარცხდება, მაგრამ სხვადასხვა დონეზე თავისი წარმომადგენლები ჰყავს. დასავლეთის მხრიდან ნაციონალების მხარდაჭერა სულაც არ ნიშნავს იმას, რომ ისინი ფსონს მხოლოდ მათზე აკეთებენ. რა თქმა უნდა, დასავლეთი მიესალმება საქართველოში არჩევნების გზით ხელისუფლების ცვლილებას, მაგრამ არ მიესალმებიან სამართლიანობის იმ ფორმით აღდგენას, რომელსაც მათ დღევანდელი უმრავლესობა სთავაზობს.

სხვა საქმეა, რამდენად აძლევს ეს ხელს „ქართულ ოცნებას“. სამწუხაროდ თუ საბედნიეროდ, როგორც ჩანს, „ქართული ოცნება“ არაა წინააღმდეგი, ნაციონალები ოპოზიციად მოიაზრებოდნენ. ეს სრულიად ბუნებრივია. ნაცმოძრაობა იდეურად გაკოტრებულია, მოსახლეობაში მას მხარდაჭერა არ აქვს, ამიტომ ასეთი ოპოზიციის ყოლა პრობლემას არ წარმოადგენს. ეს ჩვეულებრივი პროცესია, ამას საზოგადოება მტკივნეულად აღიქვამს, მაგრამ უნდა გვახსოვდეს, რომ პოლიტიკა პოლიტიკაა.

— „ქართული ოცნება“ და ნაცმოძრაობა საგარეო პოლიტიკურ კურსზე შეთანხმდნენ და ამ საკითხზე პარლამენტში ერთობლივი დოკუმენტიც მიიღეს, მაგრამ ნაცმოძრაობის ლიდერები განაგრძობენ მტკიცებას, რომ ივანიშვილისა და მისი გუნდის საგარეო პოლიტიკური კურსი გაუგებარია და სულაც არ გახლავთ პროდასავლური. არადა, პრემიერის სტრასბურგში გამოსვლითა და, თუნდაც, თბილისში ნატო-ს საპარლამენტო ასამბლეის სემინარზე გაკეთებული განცხადებების შემდეგ ამ თემაზე კითხვები არ უნდა არსებობდეს. თქვენი აზრით, რატომ რჩება საგარეო პოლიტიკური კურსის თემა ოპოზიციაში გადასული ნაცმოძრაობისთვის ბრძოლის ერთ-ერთ მთავარ არგუმენტად და თუ გნებავთ, სტრატეგიულ მიმართულებად?

— რა თემაზე შეუძლიათ დღეს ნაციონალებს ესაუბრონ დასავლეთს? ეს ის ერთადერთი თემა გახლავთ, რომლითაც მათ შეუძლიათ დასავლეთთან საუბარი, სხვა თემა არ აქვთ — ისინი დასავლეთს ვერც დემოკრატიაზე, ვერც სამართლიანობასა და ეკონომიკაზე დაელაპარაკებიან. ეს აისახება ქვეყნის შიგნითაც მათ ქცევაზე. იშვიათად შეხვდებით საზოგადოებაში ნატო-სა და ევროკავშირში გაწევრიანების მოწინააღმდეგეებს. მართალია, ამ ტიპის ადამიანები მოხშირდნენ, მაგრამ ნაციონალებმა იციან, რომ ამ თემაზე საუბარი თავისივე მოქალაქეებთან შეუძლიათ, იშვიათად ახსენებენ დემოკრატიული ინსტიტუტების ჩამოყალიბებას და უფრო მეტად საუბრობენ ნატო-ში გაწევრიანებაზე, ქვეყნის უსაფრთხოებაზე, რუსულ საფრთხეზე ანუ აქცენტი სხვა რამეზე გადააქვთ და ესეც ბუნებრივია, რადგან საქართველოში რუსეთის მიმართ შიში არსებობს. ესაა თემა, რომლითაც ნაცმოძრაობას შეუძლია, საზოგადოებას ელაპარაკოს და მოსახლეობასთან ამ თემაზე საუბარში ხანდახან ახსენებენ იმასაც, რომ სადღაც ხიდი აააშენეს, ასფალტი დააგეს და ასე შემდეგ.

— გავრცელდა ინფორმაცია, თითქოს რუხ კარდინალად შერაცხულმა, პრემიერ-მინისტრის მრჩეველმა ეკონომიკურ საკითხებში გია ხუხაშვილმა განაცხადა, რომ საქართველოს ნატო-ში გაწევრიანების შესახებ ქვეყანაში რეფერენდუმი უნდა ჩატარდეს. ამ ინფორმაციას ბატონი ხუხაშვილი მთელი დღე უარყოფდა და გაკვირვებას გამოთქვამდა. არ ვიცი, რამდენად ზუსტია, თითქოს ამ ინფორმაციის გამავრცელებლის უკან ტელეკომპანია „იმედის“ ყოფილი შეფი და ნაცმოძრაობის ყოფილი სახე გიორგი არველაძე დგას, მაგრამ საფუძვლიანი ეჭვი არსებობს, რომ ამ ტიპის აშკარა დეზინფორმაცია, ნაციონალების მონაწილეობის გარეშე, საინფორმაციო სივრცეში არ გაჩნდებოდა. რას შეიძლება ნიშნავდეს უკანასკნელ პერიოდში მომრავლებული, სააგენტოების აშკარად დესტრუქციული აქტიურობა, მით უმეტეს, იმ შემთხვევაში, თუ მათ უკან ყოფილი ხელისუფლება დგას?

— იმას, რომ ნაცმოძრაობას მხარდაჭერა აქვს არა მოსახლეობაში, არამედ მხოლოდ მედიასა და ვირტუალურ სივრცეში. მომწონს თუ არა, სხვა საკითხია, მაგრამ ობიექტურად რომ შევაფასოთ, უნდა ვთქვა, რომ ნაცმოძრაობა თავის სასარგებლოდ სწორად მოქმედებს. მათი ამოცანაა, დაიპყრონ მედიასივრცე და ისინი ორი მიმართულებით აქტიურობენ — მედიასა და არასამთავრობო სექტორში. აქ ისინი ძლიერებიც არიან და გამოცდილებაც აქვთ, ამ ორ ფლანგზე ნაცმოძრაობის აქტიურობა კი ქმნის შთაბეჭდილებას, თითქოს მათ საზოგადოებაში რეალური დასაყრდენი აქვთ.

ახლა ბატონმა ხუხაშვილმა უნდა ამტკიცოს, რომ ამგვარი არაფერი უთქვამს. ზნეობა და სინდისი ცალკე საკითხია, მაგრამ პოლიტიკური თვალსაზრისით და მათი ბუნებიდან გამომდინარე, ნაციონალები სწორად მუშაობენ. დღეს ერთხელ გაავრცელებენ ჭორს, ხვალ მეორედ, მესამედ... ყველაზე მეტად ის მაწუხებს, რომ „ქართულმა ოცნებამ“ ნაციონალებთან დამოკიდებულებაში სწორი სტრატეგია ვერ შეიმუშავა, ნაცმოძრაობას კი მშვენივრად ჩამოყალიბებული და გამოკვეთილი სტრატეგია აქვს, რომლის არსი მარტივია — ნებისმიერ სიტუაციაში აიძულოს ხელისუფლება, თავი იმართლოს. ცდილობენ, ხელისუფლება თავისმართლების რეჟიმში ჩააყენონ და ამისათვის, რაც მოესურვებათ, იმას იტყვიან. ამ სტრატეგიის საპირისპიროდ მედიასავრცეში, იგივე ვირტუალურ სამყაროში და სადაც გნებავთ, „ქართულმა ოცნებამ“ ვერაფერი მოიგონა.

— ხომ არ შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ამგვარი მტკიცების საფუძველს თავად პრემიერიც ხშირად იძლევა. საკმარისია მისი განცხადების გახსენება, რომელიც სამხედრო დოქტრინიდან რუსეთის, როგორც მტრის ამოღებას უკავშირდებოდა და რომელზეც განმარტებების გაკეთება თავდაცვის მინისტრს, ირაკლი ალასანიას მოუწია?

— ამას წინათ, ივანიშვილმა აღნიშნა, ერთ-ერთი მინისტრის გადაყენებაზე ვთქვი და ამას აჟიოტაჟი მოჰყვა, ალბათ სჯობდა, არ მეთქვაო. ეს იმიტომაც გამახსენდა, რომ ივანიშვილი პოლიტიკაში ცოტა ხნის წინ შემოვიდა და ვერ გეტყვით, ჯერჯერობით, ვერ აითვისა პოლიტიკოსისთვის საჭირო თვისებები თუ მათ ანგარიშს არ უწევს. ხშირად ამბობს იმას, რისი თქმაც არაა მიზანშეწონილი, უფრო სწორად, სიტყვა გაურბის ან ამას დიდ მნიშვნელობას არ ანიჭებს. ასე მოხდა ბაქოსა და ერევანში ვიზიტებისას და აფხაზეთის გავლით, რკინიგზის აღდგენაზე საუბრისას. შემიძლია ვთქვა, რომ უკეთეს შემთხვევაში, პრემიერს სიტყვა გაურბის, მაგრამ სერიოზული გამოსვლისას ყველა აქცენტს ზუსტად სვამს.

სტრასბურგში, თავის ძირითად გამოსვლაში, ყველა აქცენტი სწორად დასვა და ხინჯი ჩასაფრებულმა ნაციონალებმაც ვერ იპოვეს. კითხვა-პასუხებიც საკმაოდ კარგად წარიმართა... ასე რომ, ალბათ, საქმე მხოლოდ ისაა, რომ სიტყვა ხშირად გაურბის და არა ის, რომ იგი პოზიციას იცვლის. რა თქმა უნდა, დოქტრინაში ცვლილება არ შესულა, რაც ალასანიამაც დაადასტურა, მაგრამ, შესაძლოა, ამ თემის განხილვა მაინც იყო. ამ საკითხებზე მსჯელობა სრულიად ბუნებრივად მიმაჩნია. აქედან მოდის ის, რაც შემდეგ პრემიერ-მინისტრმა გაახმოვანა. ყოველ შემთხვევაში, ასეთი პირი უჩანს.

— პარლამენტმა პრეზიდენტის ვეტო უკვე მეორედ დაძლია. თუ პოლიტიკოსებს დავუჯერებთ, ნაცმოძრაობა სასამართლოზე კონტროლს დაკარგავს. თქვენი აზრით, შეიძლება გვქონდეს იმედი, რომ მიღებული კანონების შემდეგ სასამართლო უფრო დამოუკიდებელი გახდება? და კიდევ, პარლამენტში ძალთა განლაგება იმდაგვარია, პრეზიდენტს არ შეეძლო, არ სცოდნოდა, რომ პარლამენტი ყველა შემთხვევაში შეძლებდა ვეტოს დაძლევას, მაგრამ ამაზე მაინც წავიდა. თქვენი აზრით, რატომ?

— შესაძლოა, ვეტოს დაძლევის შემდეგ სასამართლო სისტემა, გარკვეულწილად, გაუმჯობესდეს, მაგრამ სასამართლოს, როგორც ხელისუფლების ცალკე შტოს დამოუკიდებლობა უფრო რთული თემაა. შეიძლება ჩაითვალოს, რომ იუსტიციის საბჭოს დაკომპლექტების წესი რაღაც დოზით გაათავისუფლებს მოსამართლეებს, მაგრამ არსებობს სხვა ფაქტორები, რომლებიც აუცილებლად უნდა იყოს გათვალისწინებული იმისთვის, რომ დამოუკიდებელი სასამართლო მივიღოთ; ამიტომ არ მგონია, სასამართლოზე საუბარი მხოლოდ ამ კანონების ამოქმედებით ამოიწუროს — ამ კანონების ამოქმედებით, არის შანსი, სასამართლო ნაკლებად იყოს დამოკიდებული ძველ ხელისუფლებაზე, ახალზე დამოკიდებული კი, უბრალოდ, ვერ იქნება, ვინაიდან მოსამართლეთა მთელი კორპუსი შერჩეული და დანიშნულია ნაციონალური ხელისუფლების მიერ.

რაც შეეხება პრეზიდენტს, რა თქმა უნდა, იცოდა, რომ პარლამენტი მის ვეტოს დაძლევდა, მაგრამ მან ვეტოთი, გარკვეულწილად, გააჯანჯლა პროცესი. თუ ხვალ და ზეგ სასამართლოში კარგად ვერ გაკეთდა ყველაფერი, მას ყოველთვის ექნება საშუალება თქვას — აი, ხომ ვამბობდიო და მეორე — ვეტოს დადებით იგი არაფერს კარგავდა.

— მას შემდეგ, რაც სოფლის მეურნეობის სამინისტროში ამ უწყების მაღალჩინოსნები დააკავეს, მინისტრი დავით კირვალიძე გადადგა. რას შეიძლება ნიშნავდეს სოფლის მეურნეობის სამინისტროში განვითარებული პროცესები. პრემიერი მხოლოდ კორუფციის ფაქტებმა გააღიზიანა, თუ იმან, რომ ახალი ხელისუფლების მიერ პრიორიტეტად გამოცხადებული სოფლის მეურნეობის სფეროში საქმე მთლად კარგად არ მიდის და კიდევ, კირვალიძის გათავისუფლებას სხვა პოლიტიკური მოტივიც ხომ არ ახლავს?

— არ გამაჩნია სტატისტიკური მონაცემები, რა ხდება რეალურად, სოფლის მეურნეობის სფეროში. მედიიდან კი ვიცით, რომ სასოფლო-სამეურნეო ვაუჩერები ყველგან არ დარიგებულა, ამიტომ სამინისტროს მუშაობის შეფასება გამიჭირდება. რაც შეეხება კითხვის კორუფციულ ნაწილს, თუ სამინისტროში 7-8 კაცი დააკავეს, სრულიად ბუნებრივია, მინისტრის გადადგომა, წესით, ასეც უნდა მოქცეულიყო, რადგან პასუხისმგებლობა სწორედაც რომ მის კისერზეა მიუხედავად იმისა, რა ურთიერთობა ჰქონდა თანამშრომლებთან.

ყველამ ვიცით, რომ პრემიერის დამოკიდებულება კორუფციისადმი ძალიან ნეგატიურია. ხშირად ვამბობ და ახლაც გავიმეორებ — ჩვენი საზოგადოების უდიდესი ნაწილი დაიბადა, გაიზარდა და ცხოვრობს კორუფციულ გარემოში მოყოლებული გასული საუკუნის 70-იანი წლებიდან. ეს არის ხან საყოველთაო, ხან ელიტური კორუფცია. მინისტრი უნდა წასულიყო, მაგრამ აქედან გამოსავალი მინისტრების ცვლა არაა, უნდა ვიფიქროთ, რა უნდა გაკეთდეს, საყოველთაო თუ ელიტური კორუფციული გარემოს შესაცვლელად.

მიშას შიშით, კონსტიტუციაში პატარა ცვლილება შევიტანეთ, სასამართლოში ცვლილებებს გავატარებთ, მაგრამ ვერავინ იტყვის, რომ კონსტიტუცია გახდა დემოკრატიული და ვერც იმას, რომ სასამართლო გახდება დამოუკიდებელი. ჩვენ ჭაობიდან ამოსვლას ვერ ვახერხებთ. დღეს გარანტირებულად შემიძლია ვთქვა, რომ კირვალიძის შემთხვევა ერთადერთი არ იქნება, თუ არსებული სისტემა დარჩება და ამას მხოლოდ დაჭერა-გათავისუფლებები ვერ უშველის.

ამ შემთხვევაში კორუფციასთან ბრძოლას მეორე მხარეც აქვს. იგი პოლიტიკის შემადგენელი ნაწილი შეიძლება იყოს. ბრალს არავის ვდებ, მაგრამ კირვალიძის გათავისუფლება პოლიტიკურ ელფერს იმის გამოც იძენს, რომ იგი „ქართული ოცნების“ პრეზიდენტობის ერთ-ერთი სავარაუდო კანდიდატის, ვახტანგ ხმალაძის სიძეა, ამიტომ ვახტანგ ხმალაძე პრეზიდენტობის კანდიდატი ვეღარ იქნება.

არ გამოვრიცხავ, ვიღაცამ დროზე ადრე იაქტიურა, რომ ვახტანგ ხმალაძე „ქართული ოცნების“ პრეზიდენტობის სავარაუდო კანდიდატთა შორის აღარ განიხილებოდეს. ამას არ გამოვრიცხავ, რადგან პრეზიდენტობის კანდიდატთა დასახელების დრო მოახლოებულია.

კობა ბენდელიანი, „ინტერპრესნიუსი“

იური ვაზაგაშვილი: „იმედია, ახალი ხელისუფლება საზოგადოების მოთხოვნას დააკმაყოფილებს, თუ არადა, ხალხი ამდენ უსამართლობას აღარ შეეგუება!“

ნინო კომახიძე
599-95-33-16

იუსტიციის სახლის შესასვლელთან, „პოლიტიკური რეჟიმის მსხვერპლთა მემორიალთან“, მოძრაობა „გადაარჩინე სიცოცხლისა“ და უფლებადამცველთა ინიციატივით, ზურაბ ვაზაგაშვილისა და ალექსანდრე ხუბულოვის მკვლელობის 7 წლისთავისადმი მიძღვნილი აქცია გაიმართა. თეა წულუკიანის მიერ გახსნილ მემორიალთან შეკრებილმა რამდენიმე ათეულმა ადამიანმა კიდევ ერთხელ მიაგო პატივი 2006 წლის 2 მაისს კორტებთან დაღუპული ბიჭების ხსოვნას.

იუსტიციის სახლთან, ზურაბ ვაზაგაშვილისა და ალექსანდრე ხუბულოვის მკვლელობის 7 წლისთავისადმი მიძღვნილი აქცია გაიმართა

ზუსტად 7 წლის წინ, 2006 წლის 2 მაისს, დედაქალაქის ცენტრში შემთხვევის ადგილზე ორი ახალგაზრდა — ზურაბ ვაზაგაშვილი და ალექსანდრე ხუბულოვი სპეცრაზმელების ტყვიით დაიღუპნენ, სიკვდილს კი სასწაულებრივად გადაურჩა მანქანაში მყოფი მათი მეგობარი ბუბა ფუთურიძე, რომელსაც დღემდე ჯანმრთელობის პრობლემა აქვს. შინაგან საქმეთა სამინისტრომ იმავე დღეს გამოაცხადა, რომ ძალოვნებმა სპეცოპერაცია კარგად ორგანიზებული ყაჩაღური ჯგუფის წინააღმდეგ განახორციელეს, ეს ჯგუფი კი თბილისის ცენტრში მცხოვრებ ერთ-ერთ ოჯახზე თავდასხმას აპირებდა. მთელი ამ წლების მანძილზე შვილმკვდარი მამა იური ვაზაგაშვილი საკუთარი შვილისა და ალექსანდრე ხუბულოვის სიკვდილში კონკრეტულ პირებს ამხელდა. იგი ლევან გვაზავას, ვანო მერაბიშვილის, ირაკლი ჭელიძის, ირაკლი ფირცხალავასა და ირაკლი კოდუას დასჯას ითხოვდა, რადგან ოჯახის მტკიცებით, მკვლელობა წინასწარგანზრახული იყო — საქმეში 20-ზე მეტი თვითმხილველი არ ფიგურირებდა. ვაზაგაშვილების ოჯახმა ვერანაირ შედეგს ვერ მიაღწია. 2012 წლის არჩევნების შემდეგ, სამართლიანობის აღდგენის იმედით, ვაზაგაშვილების ოჯახი თეა წულუკიანს შეხვდა და მისგან გამოძიების ბოლომდე მიყვანის პირობა მიიღო. დღეს, ტრაგედიიდან 7 წლისთავზე, **იური ვაზაგაშვილი** გამოძიების მიმდინარეობით არცთუ კმაყოფილი ჩანს: **„ჩვენ ახალი ხელისუფლება იმიტომ მოვიყვანეთ, რომ სამართლიანობის აღდგენას ვითხოვდით. 750 ადამიანი ციხეშია მოკლული, 150-ზე მეტი კი ქუჩაში დახვრიტეს. ახლა სწორედ ამ მემორიალთან ვდგავართ და ჯერჯერობით, არც ერთი საქმე ბოლომდე არაა მიყვანილი. საზოგადოების მოთხოვნა იყო, მკვლელებისა და მათი მფარველებისგან ხელისუფლების გათავისუფლება, მაგრამ მათი 80% ახლაც ისევ მაღალ თანამდებობებზე მუშაობს. ჩემი შვილის საქმე არათუ ბოლომდე, შუამდეც კი არაა მიყვანილი, არადა, მე ეს საქმე გამოძიებული მაქვს და სულ 10 დღე მჭირდება, ბოლომდე მივიყვანო და სასამართლოს გადავცე. იმედია, ახალი ხელისუფლება საზოგადოების მოთხოვნას დააკმაყოფილებს, თუ არადა, ხალხი ამდენ უსამართლობას აღარ შეეგუება! იმედი მაქვს, მოვახერხებთ, დაისაჯონ მკვლელები და მათი მფარველები. მე მაქვს ყველა მტკიცებულება, ვინ როგორ დაგეგმა ეს ოპერაცია, ვინ განახორციელა, ვინ იყო მისი უშუალო მონაწილე, ვინ გააკეთა საკონტროლო გასროლა და ა.შ. მყავს უამრავი თვითმხილველი, რომელთა შესახებ პროკურატურამ არ იცის. პროკურატურაში დავაყენეთ შუამდგომლობა და ისიც კი არ გაითვალისწინეს, არადა, სულ 10 დღე უნდა ამ საქმის დასრულებას. კი ბატონო, გვითხრეს, გვაცადეთო და ვნახოთ, რას შეისწავლიან. პროკურატურა თუ ჩვენთან, დაცვის მხარესთან და ოჯახთან ნორმალურად ითანამშრომლებს, სულ 2 კვირის საქმეა გასაკეთებელი და საქმე გაიხსნება! არ გამოუვა პროკურატურას უმოქმედოდ ჯდომა, რადგან ჩვენ საკმარისზე მეტი მტკიცებულება გვაქვს!“**

იური ვაზაგაშვილის გარდა, აქციაზე ადვოკატთა ასოციაციის თავმჯდომარე ზაზა ხატიაშვილი, უფლებადამცველი ლევან გოგიჩაიშვილი და ნანა კაკაბაძეც იმყოფებოდნენ. „ვერსიასთან“ საუბრისას **ნანა კაკაბაძე** ახალი ხელისუფლების უმოქმედობაზე ღიად საუბრობს: **„ახალი ხელისუფლების მოსვლის მერე ძალიან ცოტა რამ შეიცვალა. ერთადერთი, ციხეებში ცოცხები აღარ არის! ის ფაქტი, რომ დღეს ვაზაგაშვილის საქმე ისევ გამოუძიებელია, ზურაბ ჟვანიას მკვლელობის საქმეს ჯერ კიდევ არ ახდია ფარდა და ყველა ამ საქმეში წინა ხელისუფლების დანაშაულის კვალი პირდაპირ ჩანს, ძალზე სერიოზულ ეჭვებს ბადებს საზოგადოებაში. ამან შესაძლოა, საზოგადოებაში მალე არასასიამოვნო მოლოდინიც გააჩინოს, ამიტომ ასეთი საქმეების გახსნას საშველი უნდა დაადგეს. ჯერ შეიძლება ადრეცაა ადამიანის უფლებების კუთხით ცვლილებებზე დასკვნების გამოტანა, მაგრამ ნაბიჯები რომ არ იდგმება, უკვე ცუდია — ეს მიანიშნებს იმ პოლიტიკურ ნებაზე, რომელიც დღევანდელ ხელისუფლებას აქვს ან არ აქვს!“**

ექსკლუზიური ინტერვიუ კახი კალაძესთან

მე-5 გვერდიდან

— თქვენი მთავარი სტრატეგია ენერგოდამოუკიდებლობაა, მაგრამ ენერგეტიკაში მხოლოდ ჰესების მშენებლობა და ზაფხულში, ჩვენს მიერ გაყიდული ელექტროენერგია ხომ არ იგულისხმება. გაზის კომპანიები ისევ რუსეთის ხელშია და ამ ფონზე, ენერგოდამოუკიდებლობა რთული არ არის?

— გაზის მიმართულებით, „სოკარია“ ყველაზე დიდი სადისტრიბუციო კომპანია, რომელიც რეგიონებს, ხოლო „ყაზტრანსგაზთბილისი“ დედაქალაქს ემსახურება. დღეს ეს ორი კომპანია ახორციელებს დისტრიბუციას, მაგრამ ჩვენ იმის ფუფუნება არ გვაქვს, ბუნებრივი აირი საქართველოში მოიპოვებოდეს. გაზს აზერბაიჯანიში ვყიდულობთ, სატრანზიტო გაზიდან, რომელიც სომხეთში გადის 10%, ხოლო შაჰდენიზი-ერზერუმის მილსადენის პროექტიდან 5% გვრჩება, გარდა ამისა, დამატებით ოფციაც გვაქვს, რომ 500 000 000 კუბური მეტრი გაზი, იაფად შევიძინოთ. ჩვენ თუ ვიმსჯელებთ, რომ ბაზარზე ბევრი სადისტრიბუციო კომპანია იყოს და კონკურენცია გაუწიოს „სოკარს“, ეს ბაზარი ღიაა და თუ ვინმეს სურვილი აქვს, არ მგონია, პრობლემა შეექმნას, თუმცა ვეჭვობ, ეს მომგებიანი იყოს კომპანიებისთვის, რადგან, თუ დააკვირდებით, ბოლო დროს, „სოკარმა“ „იტერაც“ კი იყიდა. პატარა სადისტრიბუციო კომპანიებიდან, რომლებიც რეგიონებში მუშაობდნენ, ნაწილი გაკოტრდა, ნაწილი დაიხურა, რადგან მათი ბიზნესი არარენტაბელური იყო.

— მას შემდეგ, რაც „სოკარმა“ „იტერა“ ჩაანაცვლა, გვაქვს თუ არა გარანტია, რომ ენერგოუსაფრთხოების მხრივ, ჩვენს ქვეყანას პრობლემა არ შეექმნება?

— ეს ყველაფერი დამოკიდებულია პოლიტიკაზე, მაგრამ იმ ურთიერთობების ფონზე, რაც დღეს გვაქვს, ამ საშიშროებას ვერ ვხედავ. სამომავლოდ, დავიწყებთ მუშაობას, რომ რუსული გაზიც მივიღოთ და ამ მხრივ, გარკვეული სამუშაოები უნდა ჩავატაროთ, რათა მხოლოდ აზერბაიჯანზე არ ვიყოთ დამოკიდებული. ყველაფერი ხდება, შესაძლოა, ავარია ან აფეთქება მოხდეს, თან მილსადენს გარკვეული პრობლემები აქვს, რადგან აზერბაიჯანის ტერიტორიაზე ავარიული აფეთქებები ხშირია და ამის გამო, საქართველოში წნევა იკლებს ხოლმე. ამ მიმართულებით სამუშაო ნამდვილად გვაქვს, რომ მხოლოდ აზერბაიჯანზე არ ვიყოთ დამოკიდებული და არა იმიტომ, რომ ცუდი ურთიერთობა გვაქვს, პირიქით, აზერბაიჯანი ყოველთვის გვერდით გვიდგას.

— პრესკონფერენციაზე ბრძანეთ, რომ აღდგომის დღეასწაულის შემდეგ, ყაზახეთში ვიზიტს გეგმავთ, არადა, „ყაზტრანსგაზთბილისში“ შექმნილი სიტუაციის გამო, ყაზახები სამთავრობო კომისიის შექმნას ითხოვენ...

— დეტალურად განვიხილავთ, რა მიმართულებით უნდა წავიდეთ და რა ტიპის კომისია შევქმნათ. შესაძლოა, ეს პრობლემა კომისიის გარეშე, მოლაპარაკებების გზით გადაწყდეს. სადავო საკითხია და ყაზახებს გარკვეული კითხვები აქვთ მათ მიერ განხორციელებულ ინვესტიციებთან დაკავშირებით, ჩვენც გვაქვს ეს კითხვები, რადგან ვფიქრობთ, რომ ეს ინვესტიციები ვიღაცების ჯიბეებში ილექებოდა. კომპლექსური თემაა, რომელსაც სერიოზული განხილვა სჭირდება.

— „ყაზტრანსგაზთბილისის“ 20 000 000-ლარიანი დავალიანება, რომელიც სახელმწიფოს მიმართ ჰქონდა, 4 წელიწადში, 43 000 000 აშშ დოლარამდე გაიზარდა, მაგრამ დროებითმა მმართველმა, რომელიც 2007 წელს ამ კომპანიაში შევიდა, პირველ რიგში, სახელმწიფო დავალიანება რატომ არ გაისტუმრა?

— გეთანხმებით და მეტსაც გეტყვით, ტექნიკურ დანაკარგებს რომ გადავხედოთ, ბუნებრივი აირის ტექნიკური დანაკარგი 45% იყო. მას შემდეგ, რაც ამ კომპანიაში დროებითი მმართველი შევიდა, დანაკარგი 12%-ზე ჩამოვიდა და ეს საკმაოდ დიდი თანხაა. ჩვენ მზად ვართ, ყაზახებთან ვითანამშრომლოთ, რადგან გვინდა, რომ ყაზახური ინვესტიციები ისევ დავაბრუნოთ საქართველოში.

— როგორ გგონიათ, „ყაზტრანსგაზთბილისში“ შექმნილმა მდგომარეობამ, ყაზახური ინვესტიციები შეაჩერა?

— ნაწილობრივ, ამანაც იქონია გავლენა, რადგან 2007 წელს, როდესაც კომპანიაში დროებითი მმართველი შევიდა, ეს იყო სიგნალი ყაზახებისთვის, რომ კითხვები არსებობდა. თუ დააკვირდებით, ყველა საინვესტიციო ვალდებულება, რაც ყაზახურ კომპანიებს ჰქონდა, გაჩერდა. მაქსიმალურად ვეცდებით, ისევ შემოვაბრუნოთ ჩვენსკენ, რათა ყაზახური ინვესტიციები ისევ განახლდეს.

— მართალია, ბიძინა ივანიშვილმა უკვე გააკეთა განცხადება, ერთ-ერთ მინისტრთან დაკავშირებით, ავჩქარდიო, მაგრამ პრემიერი სოფლის მეურნეობის მინისტრს, დავით კირვალიძეს გულისხმობდა. სასოფლო-სამეურნეო ბარათების, თუ ვაუჩერების სკანდალს არ ვგულისხმობ, რადგან ჩემი ინფორმაციით, კირვალიძეს სულ სხვა რამის გამო ედავებიან... როგორც ვიცე-პრემიერს ისე გეკითხებით, რა ხდება მთავრობის ეკონომიკურ გუნდში?

— ჩვენი გუნდის თითოეული წევრი იმ ენთუზიაზმით მოვედით, რომ საქმე ქვეყნისა და ხალხის ინტერესების გათვალისწინებით გვეკეთებინა და არა პიროვნული მიღწევების გამო. თუ 6 თვის მანძილზე, რომელიმე სამინისტროს მიმართ გაჩნდა კითხვები, რა თქმა უნდა, ძალიან ცუდია.

— თქვენ, დავით ნარმანია და დავით კირვალიძე, საკმაოდ აქტიურად მუშაობდით. ამ ფონზე, ეკონომიკის მინისტრი არსად ჩანდა. გიორგი კვირიკაშვილის მიმართ პატივისცემის მიუხედავად, მისი უწყება ყველაზე სუსტი რგოლია მთავრობაში და ინვესტიციების სიმცირესთან დაკავშირებული შენიშვნებიც მას ეხება. შესაძლოა, ეს იმის ბრალიცაა, რომ ნაცმოძრაობამ სრულიად გამოშიგნა ეკონომიკის სამინისტრო, რომლის დეპარტამენტები ინფრასტრუქტურისა და ენერგეტიკის სამინისტროებს გადაულოცა. როგორ გგონიათ, რა არის ეკონომიკის სამინისტროს უმოქმედობის მიზეზი?

— გიორგის უწყებას რაც შეეხება, გეთანხმებით, ეკონომიკის სამინისტროს ფუნქცია მართლაც დაკარგული ჰქონდა, რადგან წინა ხელისუფლებამ დაანგრია და გაანადგურა. ამ სამინისტროს თავისი ფუნქციები უბრუნდება და გარწმუნებთ, ძალიან ბევრ ისეთ საკითხზე მუშაობს გიორგი, რაც სერიოზული მსჯელობის საგანია. ვგულისხმობ, სახელმწიფოს მიერ გაფორმებულ სხვადასხვა ხელშეკრულებებს. სრული პასუხისმგებლობით გეუბნებით, რომ გიორგი კვირიკაშვილი და მისი მოადგილეები, სწორედ ამ საკითხებზე მუშაობენ. ისეთი ხელშეკრულებებია გაფორმებული, სადაც ქვეყნის ინტერესები საერთოდ არ არის გათვალისწინებული. რაც შეეხება ინვესტიციების მოზიდვას, ამ მხრივ, მუშაობა უფრო მეტად უნდა გავაძლიეროთ. საპარტნიორო ფონდი და საინვესტიციო სააგენტოც უნდა გააქტიურდეს, რადგან ინვესტიციების მოზიდვა, მხოლოდ ეკონომიკის სამინისტროს მიზანი კი არა, ჩემი სამინისტროს მიზანიცაა. ყველა უნდა გავაქტიურდეთ, რომ უფრო მეტი ინვესტიცია შემოვიდეს ქვეყანაში. ისეთი გარემო უნდა შევქმნათ, რომ ინვესტორებს აქ ჩამოსვლის და ფულის ჩადების ინტერესი ჰქონდეთ.

P.S. კახი კალაძესთან ინტერვიუ უკვე ჩაწერილი იყო, როცა სოფლის მეურნეობის მინისტრი დავით კირვალიძე თანამდებობიდან გადადგა. ვიცე-პრემიერი ამ ფაქტს გამოეხმაურა და თანამდებობაზე კირვალიძის დაბრუნება არ გამორიცხა: „დავით კირვალიძემ აიღო პოლიტიკური პასუხისმგებლობა იმასთან დაკავშირებით, რაც მოხდა. მიმდინარეობს გამოძიება, ამ ეტაპზე დასკვნებისა და შეფასებების გაკეთება რთულია.

თუ სოფლის მეურნეობის სამინისტროს დაკავებული თანამშრომლები გამართლდებიან, დავით კირვალიძე თანამდებობას დაუბრუნდება“.

„ცოტა სხვაგვარად გამოვხატოთ ჯარისკაცის პატივისცემა... ვილაცის წინაშე ტანკების უმისამართო ლაყუნში მილიონები უნდა დავხარჯოთ?!“

ნინო კომახიძე
599-95-33-16

რატომ არ ტარდება დამოუკიდებლობის დღეს ქვეყანაში სამხედრო აღლუმი — ეს კითხვა ხშირად ისმის მას შემდეგ, რაც პრემიერმა ბიძინა ივანიშვილმა მიიღო გადაწყვეტილება, 26 მაისი საზოგადოებრივ დღესასწაულად იქცეს. „ვერსიისთვის“ გენერალი და ყოფილი პოლიტიკური პატიმარი კობა კობალაძე ახალი ხელისუფლების დამოკიდებულებას 26 მაისის აღლუმისადმი საინტერესო არგუმენტებით ხსნის და პოლიტპატიმართა მიერ ახალი პარტიის დაარსების ირგვლივ გავრცელებულ ჭორებს პასუხობს.

ქმნის თუ არა პარტიას და რატომ მიესალმება სამხედრო აღლუმის არჩატარებას გენერალი კობა კობალაძე

— გადადებულ თარიღებზე გკითხავთ — აქციას სპორტის სასახლეში ჯერ 19 აპრილამდე ველოდით, მერე შუალედურ არჩევნებამდე... ბოლო ბოლო, იცით, როდის ტარდება?

— ნანა კაკაბაძეს, უდავოდ, დიდ პატივს ვცემ, მაგრამ ჩვენ არ ვართ ჩართულები საორგანიზაციო საკითხებში, ამიტომ არაფერი ვიცი, თუმცა ახლაც მზად ვართ, საჭიროების შემთხვევაში, ამ ღონისძიებაში მონაწილეობა მივიღოთ, რადგან სიმართლის სამსახურში ყოველთვის ჩავდგებით.

— რამდენჯერმე კი განახეთ კაკაბაძის ოფისში...

— ჩვენ უცხო არ ვართ ერთმანეთისთვის, ამიტომ შეიძლება, იქ ხვალაც მნახოთ და ზეგაც, მაგრამ თარიღებს ჩვენ ნამდვილად არ ვადგენთ.

— შუალედური არჩევნების წინ დიდი აჟიოტაჟი ატყდა, რადგან პოლიტპატიმრები მხარს ხან სოსო მანჯავიძეს უჭერდნენ, ხან თამარ კორძაიას და ხანაც კახა კუკავას. თქვენ ვერ შეთანხმდით ერთ კანდიდატზე, თუ კანდიდატებმა თავად გადაწყვიტეს თქვენი სახელით მანიპულირება?

— ამ 9 წლის განმავლობაში, ზოგიერთი პოლიტიკოსი ადამიანის უფლებების დაცვისთვისა და თითოეული ჩვენგანის უფლებებისთვის იბრძოდა. ვადასტურებ ჩემს პატივისცემას კახა კუკავასა და სოსო მანჯავიძის მიმართ, უბრალოდ, მიუხედავად მათი უდიდესი დამსახურებისა, ჩემი აზრით, ნაციონალებან მათი ჭიდაობა დარჩებოდა „ხმად მღაღადებლისა უდაბნოსა შინა“, რომ არა ბიძინა ივანიშვილი... ამიტომ რამდენიმე ჩვენიანი გამოვიდა და მხარი „ოცნებას“ დაუჭირა, თუმცა ეს იმას არ ნიშნავს, რომ პოლიტპატიმრების ჯგუფი რომელიმე ძალის მიერაა პრივატიზებული! ღმერთმა ყველას თავის გზაზე გაუმარჯოს, მაგრამ რამდენიმე „ვალოდია ჯინჭარაძის“ გამოჩენა ნაძალადევის არჩევნებზე ჩემთვის ცოტა გაუგებარი იყო. მერე დაიწყო სპეკულირება, რომ თურმე, ვიღაც ომის ვეტერანიც ყოფილა... ალბათ, ოდესმე დაიდება ნორმატიული აქტი სახელმწიფოსგან, რაც დაარეგულირებს, ვინაა უმაღლესი წოდების მატარებელი და ვინ — თვითმარქვია. ჯამში, არჩევნები ნორმალურად ჩატარდა, ეს იყო და ეს!

— სხვათა შორის, პოლიტპატიმრებიც აანონსებდნენ პარტიის შექმნას და გაჟღერდა პარტიის სახელიც — „პოლიტპატიმრების ლიგა“. ეს მართლა იგეგმება?

— ეს აბსურდი ვიღაცამ აბსოლუტურად უმართებულოდ გააჟღერა — ასეთი რამ ბუნებაში არ არსებობს! არც არანაირი პარტია შექმნილა და რაც არ ვიცი, იმაზე ვერ გეჭორავებით. გარდა ამისა, ახლა გენერალთა კლუბში მობრძანდით, ეს არასამთავრობო ორგანიზაციაა და საკმაოდ დიდი შემადგენლობაც დაგხვდათ — ჩვენი საქმე გვაქვს და ჩვენი განხილვის საგანი პარტიის შექმნა არც არასოდეს ყოფილა. არც საჯარო რეესტრის წარმომადგენელი ვარ, მაგრამ ქართული ბუნებიდან გამომდინარე, მგონი, დღეში ორასი პარტია მაინც იქმნება და უქმდება საქართველოში. მეორე საკითხია ის, რომ თითოეულ პოლიტპატიმარს სიმართლის პოვნის სურვილი აქვს, რადგან ზოგისთვის პატიმრობა შეურაცხმყოფელი იყო, თუმცა ჩვენს გარშემო იმდენად დიდია პარტიების რაოდენობა და ისეთი ნაირფეროვანია მათი სპექტრი — იქაურები, აქაურები, ჩვენებურები, ზეციურები, მინიურები, მიწისქვეშეთელები, რომ ალბათ, ყველა ადგილი უკვე დაკავებულია!

— აბა, ვინ გივრცელებთ ამ ჭორებს ?

— წარმოდგენა არ მაქვს და ჩემთვის ის უფრო ძნელი წარმოსადგენია, რატომ უნდა დავიწყო პოლიტიკური აქტიურობა, შევქმნა რაღაც ბირთვი და ვიაქტიურო. სხვადასხვა პარტიიდან შემოთავაზებებიც მქონდა, მაგრამ ჩემი პოზიცია უცვლელია — სწორედ ამ პოზიციის გამო ვრჩები ჩემს მეგობრებთან და არ მივდივარ პოლიტიკაში.

მე მიყვარს ჩემი პროფესია, ახლაც ვსწავლობ ევროკავკასიურ ინსტიტუტში, დოქტორანტი ვარ, ცოდნას ვიღრმავებ, ვზრდი შვილებს და იმედით ვუყურებ მომავალს — ნაღდად არ მაქვს სურვილი, სადღაც გავიჭრა დროშების ფრიალით და მიკროფონში ვუკიჟინო ვიღაცას, როგორი კარგი ვარ! არ ვარ კარგი, ჩემზე კარგებიც არიან და ჩემზე წინაც იმათ იარონ!

— არსებობს კიდევ ერთი ბრალდება — ახალი მხედრიონის შექმნა გადაგიწყვეტიათ, ნანა კაკაბაძის ლიდერობით...

— აბა, როგორ წარმოგიდგენიათ, ცხენზე გადამჯდარი ნანა, ხმლით ხელში? აბსურდია! ნანაც არაა ის ტიპაჟი, ასეთი ამბიციური განაცხადები აკეთოს. ბევრი ღირსეული მეგობარი და თანამებრძოლი მყავს და მყავდა მხედრიონში. საერთოდ, ნებისმიერ ორგანიზაციაში არიან ღირსეულებიც და უღირსებიც. რატომღაც ვიღაცებს მხედრიონზე მხოლოდ ნეგატიურ კონტექსტში საუბარი უხარიათ და მოსწონთ. ამ დროს, სიბინძურეზე მეტი თავდადება და პატრიოტიზმი იყო მხედრიონშიც და გვარდიაშიც. ჩვენ კი, ისევ ქართული მენტალობიდან გამომდინარე, მხოლოდ სხვისი გაკილვა ვიცით და „ბოლის გამოშვების“ ტრადიცია დავამკვიდრეთ.

— ალბათ, ბოლს ჯერ კიდევ იმიტომ უშვებს ბევრი, რომ „ოცნების“ სამართალი მართლა ურმით მოდის!

— 9 წელი უნაგირი ედგა ჩვენს ქვეყანას და აღვირამოდებულები დავჭენაობდით ერთი მხედართმთავრის სურვილზე. ხან აქეთ გაგვაჭენებდნენ, ხან იქით გამოგვაჭენებდნენ, ხან ნატო-ს კარი იღებოდა და იქეთ მივექანებოდით, ხან უცებ, სინგაპური იხსნებოდა და აქეთ შემოვბზრიალდებოდით. ჰოდა, ამ უთავბოლო ბზრიალით, ყელამდე ორმოში ჩავცვივდით. დღეს კი მოველით, 6 თვეში ცა გაიხსნება, დიდი სხივი ჩამოვა, ვისაც ბინა უნდა, ბინები ჩამოურიგდება, ვისაც თაფლაკვერი უნდა, თაფლაკვერს მიიღებს და ვისაც მათრახი აქვს გადასაჭერი, უკვე გალახული უნდა ეგდოს კუთხეში?! ჩვენი ისტორიული მისია ისაა, ვიხუმროთ ყველასა და ყველაფერზე, თან, რაც მთავარია, ვალმოხდილი სახეებით და მეორე: სულ პომპეზურად აღვნიშნავდით და აღვნიშნავთ რაღაცას — თუნდაც 2008 წლის სამარცხვინო ომს! რომ არა თავგამოდებული ქართველი საჯიშე ბიჭები, ეს ომიც უაზროდ, გმირული ფაქტების გარეშე ჩაიწერებოდა ჩვენს ისტორიაში. სამაგიეროდ, ეს ყველაფერი აღვნიშნეთ დიდი პომპეზურობით. ახლაც რამხელა ისტერიკა გამოიწვია იმან, რომ 26 მაისს აღლუმი არ იმართება.

— სწორედ ეს მინდა გკითხოთ, როგორც გენერალს — სამხედრო აღლუმი არაა საჭირო ქვეყანაში?

— მოდი, ცოტა შორს გავიხედოთ — აღლუმის ჩატარება არასდროსაა ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის პროპორციული. დღეს 7 ნოემბერი არ არის და მოსკოვის მისადგომებთან ფაშისტური გერმანიის არმია არ გვიდგას. ქვეყანაში შენების პროცესია, რაც არც ისეთი ხანმოკლე იქნება და აი, ასეთ პერიოდში გადამხდელების გადასახადებიდან აკრეფილი მილიონები უნდა დაჯდეს ტანკების უმისამართო ლაყუნი ვიღაცის წინაშე, მისი ამბიციების დასაკმაყოფილებლად?!

— „ტანკების უმისამართო ლაყუნი ვიღაცის წინაშე“ — ესაა თქვენთვის აღლუმი?

— ახლა ასე მგონია. ჩვენ არ გვაქვს ფუფუნება, დავიწყოთ ჯარის კონცენტრირება, პირადი შემადგენლობის გადმოადგილება, ტექნიკის ატარება და ჩატარება... თან, ამ დროს გზის საფარიც ზიანდება. აღლუმი მარტო ის ხომ არაა, ერთმა ტანკმა გაიგრუხუნოს და კმაყოფილი სახით წავიდეს? ეს ღონისძიება ხარჯთანაცაა დაკავშირებული, არა მარტო სააღლუმო, არამედ სატრანსპორტოც და რას გვაძლევს ამდენი მილიონის გადაყრა ამ ყველაფერში?

— ანუ დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილი სამხედრო აღლუმი ხარჯების დაზოგვის მიზნით არ უნდა ჩავატაროთ?

— იცით, რა, ცოტა სხვაგვარად გამოვხატოთ ჯარისკაცის პატივისცემა. როცა აღლუმზე მიმავალი ახალგაზრდა ჯარისკაცი გადასასვლელ ხიდთან ვიღაც ორდენებით მკერდდახუნძლულ ხელგაწვდილ მათხოვარს უყურებს, შენ იმ ბავშვს დღეს ვერ აუხსნი, რომ მისი მომავალიც ესაა! და რა ყრია ახალი „დიდგორის“ გამოტარებაში, რომელსაც მუხრუჭი კარგად რომ დავარტყათ, შეიძლება, ლულა იქეთ ჩამოსძვრეს და მუხრუჭი აქეთ?! ამაში 10 მილიონი ლარი უნდა დავხარჯოთ და ისიც არ ვიცოდეთ, ვის ვუძღვნით ამ ზეიმს — სამხედროებს თუ მოქალაქეებს? აქ ამაზეა დავა, თორემ ვინ ამბობს, რომ დამოუკიდებლობის დღის აღნიშვნა ცუდია?!

ხომ შეიძლება, ამ დღეს ვისეირნოთ რუსთაველზე — ეს არ სჯობს, ვიდრე დაბღვერილი სახეებით ვიღაცის წინაშე გავლა? თანაც ვის წინაშე, სააკაშვილის? მასზე ჩემი შეხედულება მაქვს, რაც არ ცდება დიდ, სახელოებიან ხალათს, რომელიც ზურგსუკან იკვრება! დამისახელეთ ისეთი სახელმწიფო ძალოვანი სტრუქტურა, რომლის ხელმძღვანელიც დეზერტირი არ იყო და ასეთ ქვეყანაშია საუბარი სამხედრო აღლუმზე? მე არც იმას ვამართლებ, თავდაცვის მინისტრი ციხეში იჯდეს და გენშტაბის მაშინდელი უფროსი ზარ-ზეიმით გააცილონ ჯარიდან. არანაკლები პასუხისმგებლობა ენიჭება როგორც ერთს, ისე მეორეს! ვერც იმას ვიტყვი, მესმის ეს კოჰაბიტაცია-მეთქი, მაგრამ იმდენს კი ვხვდები ჩემი მოკლე ჭკუით, რომ ახლა გაცილებით აქტუალური საკითხებია ქვეყნის წინაშე. ასე რომ თუ აღლუმს არ ჩავატარებთ, ეს სახელმწიფოებრივი ტრაგედია არ იქნება — ბოლო ბოლო, ტრაგედიად ის არ მიგვიღია, გორიდან ჩვენმა ტანკებმა მსუბუქ ავტომანქანებს რომ გამოასწრეს!

ვერსიანიუსი

სოჭის ოლიმპიადაში საქართველო მონაწილეობა მიიღებს

Reuters

სოჭის ოლიმპიადაში საქართველოს მონაწილეობას ოლიმპიური კომიტეტის სესიამ მხარი ერთხმად დაუჭირა. კომიტეტის რიგგარეშე სესიას, რომელიც 2 მაისს ეროვნულ ოლიმპიურ კომიტეტში გაიმართა, 80-მდე მონაწილე ჰყავდა. მათ შორის იყვნენ ოლიმპიური ჩემპიონები, კომიტეტის აღმასრულებელი კომიტეტის წევრები და ზამთრის სახეობების ფედერაციების ხელმძღვანელები.

სესიის მიმდინარეობისას სოჭის ზამთრის ოლიმპიურ თამაშებში საქართველოს მონაწილეობის დადებით და უარყოფით მხარეებთან დაკავშირებით დისკუსია გაიმართა.

ძირითადი არგუმენტები, რის გამოც სესიის მონაწილეებმა დადებითი გადაწყვეტილება მიიღეს იყო ის, რომ საქართველოს ბოიკოტი იქნებოდა უშედეგო, რადგან მას არც ერთი სხვა ქვეყანა მხარს არ აუბამდა. მეორეს მხრივ კი, თამაშებში მონაწილეობაზე უარის თქმა იქნებოდა ბოიკოტი არა ოკუპანტი ქვეყნის, რუსეთის მიმართ, არამედ საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის მიმართ, რომელიც თავად წყვეტს, სად ჩატარდეს თამაშები.

სესიის მონაწილეების მხრიდან გამოითქვა ცალსახა პოზიცია, რომ სპორტი და პოლიტიკა ერთმანეთისგან უნდა გაიმიჯნოს, საბოლოოდ კი ღია კენჭისყრის შედეგად, სოჭის თამაშებში მონაწილეობა ერთხმად გადაწყდა.

ზამთრის ოლიმპიური თამაშები 7-23 თებერვალს გაიმართება. ქართველი სპორტსმენები ორ სახეობაში, ფიგურულ სრიალსა და სამთო-სათხილამურო სპორტში იასპარეზებენ.

ამ დროისთვის, საქართველოს ოლიმპიადის ოთხი ლიცენზია აქვს. არსებობს მოლოდინი, რომ ლიცენზიების რაოდენობა შვიდამდე გაიზრდება.

„ინტერპრესნიუსი“

რუსუდან შელია
557-100-768

ირაკლი ბათიაშვილი მაია ფანჯიკიძის წინააღმდეგ

„საგარეო საქმეთა სამინისტროს საქმეს ბიძინა ივანიშვილი და დავით უსუფაშვილი აკეთებენ“

ყოფილი სახელისუფლო პარტიის მიერ წამოწყებულ ახალ ეროვნულ მოძრაობას კომიკურს უწოდებს, თუმცა მიიჩნევს, რომ ნაციონალური მოძრაობის ამჟამინდელი სტრატეგია საზოგადოებისთვის შეურაცხმყოფელია. რატომ ახსენებს მიხეილ სააკაშვილს წარსულს და არის თუ არა ხელისუფლების სუსტი რგოლი მაია ფანჯიკიძის უწყება? — „ვერსიას“ ეროვნული მოძრაობის ერთ-ერთი ლიდერი, სახალხო კრების უზენაესი საბჭოს წევრი ირაკლი ბათიაშვილი ესაუბრება.

— სასაცილოა, სატირალი რომ არ იყოს — ასეთი განცდა მეუფლება, გოკა გაბაშვილი, გიგა ბოკერია და მიხეილ სააკაშვილი ახალი ეროვნული მოძრაობის დაწყებაზე რომ საუბრობენ. როგორც ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობის ერთ-ერთ ლიდერს, ნაციონალების მსგავსი განცხადებები შეურაცხყოფას მაყენებს. იცით, სად იყო მიხეილ სააკაშვილი, როცა მერაბ კოსტავას ინიციატივით, თბილისში საოკუპაციო ჯარების ბოიკოტი დაიწყო და ახალგაზრდები საბჭოთა არმიაში სამსახურზე უარს ვამბობდით? — უკრაინაში, კარიერას იკეთებდა! მანამდე კი უშიშროების კომიტეტის სასაზღვრო ნაწილში მსახურობდა, გიგი წერეთელი და მიხეილ მაჭავარიანი კი, გამოჩენილი კომკავშირელი აქტივისტები იყვნენ. არც აფხაზეთის ომის დროს, როცა წელიწადნახევრის განმავლობაში, უთანასწორო ბრძოლაში, რუსეთის შეიარაღებული ძალების, ჩრდილოკავკასიელი დაქირავებული კონფედერანტების, კაზაკებისა და ჩეჩენი ბოევიკების შემოტევებს ვიგერიებდით, მიხეილ სააკაშვილი საქართველოში არ იმყოფებოდა. აღმაშფოთებელია, როცა ასეთი ადამიანები ეროვნული მოძრაობის სახელის მიწერას ცდილობენ!

— თუმცა ეროვნული მოძრაობის ზოგი აქტიური მონაწილე ნაცმოძრაობაშიცაა. ნაციონალების მიერ კარგად გათვლილმა ტაქტიკამ არ შეიძლება საზოგადოებაზე გავლენა მოახდინოს?

— ნაციონალებს ეროვნულობისგან აბსოლუტურად განსხვავებული სულისკვეთება და იდეოლოგია აქვთ და ეს 9-წლიანმა მმართველობამაც დაადასტურა, შესაბამისად, არ მგონია, ჭკუათმყოფელმა მათი დაიჯეროს. ნაცმოძრაობის წარმომადგენლებმა გადაწყვიტეს, საზოგადოებაზე კიდევ ერთხელ იმოქმედონ და ყველაზე სუსტ წერტილში დაარტყან. მიუხედავად ამისა, 19 აპრილის აქციამ დაგვანახა, რომ მოსახლეობაში ნდობის მოპოვების იმედი არ უნდა ჰქონდეთ. შესაძლოა, მათ გვერდით ჯერ კიდევ არიან ადამიანები, რომლებიც ეროვნული მოძრაობის ლიდერებად ითვლებოდნენ, მაგრამ, სამწუხაროდ, დღეს მათი იდეოლოგია შეცვლილია.

მართლმადიდებლურ ინსტიტუტებთან ბრძოლით ეს ადამიანები, წლების განმავლობაში, ქართული ცნობიერების გადაგვარებას ემსახურებოდნენ. მიხეილ სააკაშვილი პოლიტიკაში პირველად მოგვევლინა, როგორც მოქალაქეთა კავშირის ერთ-ერთი ლიდერი და სწორედ იმ შევარდნაძის მომხრე იყო, რომელმაც დსთ-ში შეგვიყვანა. მე კი ამ პერიოდში, საინფორმაციო სადაზვერვო სამსახურის თავმჯდომარის თანამდებობა დავტოვე. საერთოდ, მიმაჩნდა, რომ სოხუმის დაცემის შემდეგ თანამდებობებზე ყოფნის უფლება არც ერთს არ გვქონდა, მაგრამ მოვალეობის შესრულებას იმის გამო ვაგრძელებდი, ვინმეს არ ჩაეთვალა, კრიტიკულ მომენტში განზე გადგაო. დსთ-ში შესვლის გადაწყვეტილება ჩემთვის ბოლო წერტილი აღმოჩნდა. ასე რომ, სააკაშვილი მაშინ იმ პოლიტიკის დამცველად მოგვევლინა, რომელმაც პრიორიტეტად რუსული საგარეო ორიენტირი გამოაცხადა და დსთ-ში შეგვიყვანა.

— ამ ეტაპზე, მათ მთავარ მიზანს დასავლური კურსის დაცვა წარმოადგენს. ექსპერტების ნაწილი იზიარებს აზრს, რომ ხელისუფლება შეფარვით რუსულ პოლიტიკას ატარებს, რაც კანონმდებლობებში ცვლილებებითა და დათმობებზე წასვლით გამოიხატება. რუსეთთან ურთიერთობების აღდგენის პროცესში ამ რისკებს ვერ ხედავთ?

— მსგავსი განცხადებები კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ ნაციონალები ბრიყვები არიან. ხელისუფლებამ თავიდანვე გამოკვეთა, რომ პრიორიტეტი დასავლეთთან ინტეგრაცია, პარალელურად კი, რუსეთთან ურთიერთობის დალაგებაა, რასაც მეც ვიზიარებ. რუსეთთან ურთიერთობის აღდგენას დასავლელი მოკავშირეები წლების განმავლობაში გვირჩევდნენ, უბრალოდ ახლა, ნაციონალური მოძრაობა ცდილობს, მორიგი შოუ ააგოროს და საზოგადოება შეცდომაში კიდევ ერთხელ შეიყვანოს. სამწუხაროდ, ვერ ხვდებიან, რომ მათი დრო დამთავრდა.

— კი, მაგრამ, გია ხუხაშვილმა ღიად განაცხადა, რუსეთისთვის მისაღები საპრეზიდენტო კანდიდატი უნდა ავირჩიოთ, ამასთან ნატო-სთან დაკავშირებით გამოკითხვა ხელახლა უნდა ჩავატაროთო. პრემიერის მრჩევლის განცხადებებიც ხომ ნაციონალების მიერ დადგმული შოუ ვერ იქნება?

— არ ვიცი, გია ხუხაშვილმა რა თქვა. რუსეთი საქართველოსთვის სერიოზულ რისკფაქტორს დიდი ხანია წარმოადგენს. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, 40 კილომეტრში რუსის ჯარი დგას და ქვეყნის ტერიტორიის ერთი მესამედი ოკუპირებული აქვს, მაგრამ მეორე მხრივ, გონიერმა პოლიტიკოსმა უნდა იცოდეს, რომ საქართველოს მომავალი ჩრდილოეთით სერიოზულ მუშაობასაც გულისხმობს. ვინც იტყვის, რუსეთისკენ არ უნდა გავიხედოთო, ავტომატურად გვეუბნება, აფხაზეთი და ცხინვალი დაივიწყეთო. სიმართლე გითხრათ, ამ მიმართულებით რეალურ შედეგს ან თუნდაც მცირე წარმატებებს, ვერ ვხედავ. ლაპარაკის გარდა, არაფერი ხდება ისევე, როგორც ნატო-სთან ინტეგრაციის მიმართულებით, რეალური ნაბიჯი არ გადადგმულა. 2003 წელს ითქვა, რომ ნატო-ს კარი საქართველოსთვის ღიაა. დღესაც იგივე მდგომარეობაში ვართ და ეფექტური საგარეო პოლიტიკის გატარებას ვერ ვახერხებთ. ვფიქრობ, ამ პროცესში უშუალო პასუხისმგებლობა საგარეო საქმეთა სამინისტროს უნდა დაეკისროს, რომელიც, ფაქტია, სათანადოდ ვერ მუშაობს. რეალურად, მაია ფანჯიკიძის უწყების საქმეს პრემიერი და დავით უსუფაშვილი აკეთებენ.

— თუ ასეა, პრემიერი სუსტ რგოლს სოფლის მეურნეობის სფეროში რატომ ეძებს?

— ამას ფაქტებიდან გამომდინარე ვამბობ! ევროსაბჭოს პარლამენტში ბიძინა ივანიშვილის ვიზიტი გავიხსენოთ. კარგად გამოჩნდა, რომ ევროპარლამენტის დეპუტატებს საქართველოში მიმდინარე პროცესებთან დაკავშირებით რეალური ინფორმაცია არ ჰქონდათ. პირიქით, აბსოლუტურად დეზინფორმირებულები იყვნენ მაშინ, როცა ნაციონალებმა ენერგიულად იმუშავეს, იყოჩაღეს და ევროპის სახალხო პარტიაში ივანიშვილის მიმართ ეჭვიც გააღვივეს.

წარმოიდგინეთ, საგარეო საქმეთა სამინისტრო იმდენად არაკვალიფიციურად მუშაობს, რომ ევროსაბჭოს რეზოლუციაში მითითებული იყო — ივანიშვილის ხელისუფლებამ ტელეკომპანია „იმედი“ კანონიერ მფლობელს წაართვაო. ეს ხომ საგარეო უწყების სერიოზულ ჩავარდნას ნიშნავს? სხვა მხრივაც, საერთაშორისო ასპარეზზე ხელისუფლება ვარსკვლავებს ვერ წყვეტს, არადა ამ მიმართულებით სერიოზული სამუშაოების ჩატარება აუცილებელია. რაც შეეხება სოფლის მეურნეობის სამინისტროს, ამ მიმართულებით საკმაოდ დადებითი ტენდენციები იკვეთება. საბჭოთა პერიოდის შემდეგ ასე აქტიურად, მიწები არ დამუშავებულა. სამწუხაროა, რომ ხელისუფლებამ ეს ფაქტი სათანადოდ არ გააპიარა. სააკაშვილს ამის მეათედი რომ გაეკეთებინა, ყოველდღე ტვინს შეგვიჭამდა.

— 2011 წლის სისხლიანი 26 მაისის დაზარალებულისთვის მისასალმებელია, რომ წელს, საქართველოს დამოუკიდებლობის დღეს, აღლუმის ნაცვლად, სახალხო ზეიმი ჩატარდება?

— 2011 წლის 26 მაისის შემდეგ, სამარცხვინო მთავარსარდალ მიხეილ სააკაშვილს აღლუმის ჩაბარების უფლება არ აქვს. სამწუხაროდ, აქციის დარბევის შემდეგ, მან აღლუმი ძალადობრივად ჩაიბარა. ახლა რეალობა შეცვლილია და საზოგადოება აღლუმზე სააკაშვილის ხილვას ვერ აიტანს. ჩვენც, 26 მაისის სპეცოპერაციის შედეგად დაზარალებულები, ალბათ, ამ სახალხო ზეიმში მონაწილეობას მივიღებთ და ამ ფორმით, ორი წლის წინ განვითარებულ მოვლენებს გავიხსენებთ. რა თქმა უნდა, მიმაჩნია, რომ როცა საქართველო ღირსეულ მთავარსარდალს აირჩევს, აღლუმი სწორედ ქვეყნის პირველმა პირმა უნდა ჩაიბაროს. მანამდე კი, სანამ პრეზიდენტის პოსტს მიხეილ სააკაშვილი იკავებს, ხელისუფლებამ 26 მაისის სახალხო ზეიმად გამოცხადებით, სწორი გამოსავალი იპოვა.

ვერსიანიუსი

მთავრობის ახალი სახლის შენობის ფუნქციური დანიშნულების გასარკვევად სამუშაო ჯგუფი შეიქმნება

ამ ინფორმაციას, რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრი დავით ნარმანია ავრცელებს.

მინისტრის განმარტებით, აღნიშნული სამუშაო ჯგუფი მოამზადებს დასკვნას, როგორც მთავრობის ახალი სახლის ამ ეტაპამდე შესრულებული სამუშაოების, ისე შენობის შემდგომი ფუნქციური დანიშნულებისა და მომდევნო პერიოდში განსახორციელებელ სამუშაოებთან დაკავშირებით: **„დედაქალაქში, აშშ-ს ყოფილი საელჩოს ტერიტორიაზე მთავრობის ახალ სახლთან დაკავშირებით მიღებულ იქნა გადაწყვეტილება, რომ მომზადდება ანალიტიკური მასალა, პროექტზე რა მოცულობის თანხები დაიხარჯა და რამდენია გადასახდელი კომპანიებთან ანგარიშსწორების თვალსაზრისით. შეიქმნება სამუშაო ჯგუფი, რომელიც ამ ყველაფერს გააკეთებს და ის კანცელარიის, ინფრასტრუქტურის, ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს წარმომადგენლებით დაკომპლექტდება, ასევე ჯგუფში წარმოდგენილი იქნება ექსპერტიზის ეროვნული ბიურო, დაიდება სრულყოფილი დასკვნა, როგორც ამ ეტაპამდე შესრულებული სამუშაოების, ისე შენობის შემდგომი ფუნქციური დანიშნულების და მომდევნო პერიოდში განსახორციელებელი სამუშაოების შესახებ“.**

„ინტერპრესნიუსი“

დეპუტატები საქართველოში დიდი ბრიტანეთის ელჩს შეხვდნენ

საქართველოს პარლამენტის საგარეო საქმეთა კომიტეტის წევრები დიდი ბრიტანეთის საგანგებო და სრულუფლებიან ელჩს დევიდ მორანს შეხვდნენ. შეხვედრაზე საუბარი შეეხო ბრიტანეთსა და საქართველოს შორის ურთიერთობებს, ახალი ტიპის ვიზებს, განათლების პროგრამას.

საქართველოში ბრიტანეთის საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა დევიდ მორანმა განაცხადა, რომ 2012 წელს არჩევნების გზით მოხდა მთავრობის დემოკრატიული გზით ჩანაცვლება: **„ჩვენ ვისაუბრეთ ყველაფერზე საქართველოსა და ბრიტანეთს შორის ურთიერთობაზე, ბრიტანეთის მხარდაჭერაზე კონფლიქტების მოგვარებაში, განათლებაზე, სამომავლო პერსპექტივებზე... აღვნიშნე, რომ ურთიერთობა პოლიტიკურ პარტიებთან, ეს მნიშვნელოვანია საქართველოს სტაბილურობისთვის“.**

როლანდ ახალაია: „საზოგადოება მოგვიანებით გაიგებს, დავრჩები თუ არა უმცირესობის რიგებში“

დეპუტატი როლანდ ახალაია პარლამენტში რამდენიმეთვიანი პაუზის შემდეგ გამოჩნდა. მისი განცხადებით, მოგვიანებით საზოგადოება გაიგებს, დარჩება თუ არა უმცირესობის რიგებში. როლანდ ახალაია ბაჩო ახალაიას სასამართლო პროცესსაც აფასებს და აცხადებს, რომ მისი შვილი უკანონო პატიმარია: **„სამართლიანი სასამართლოს პოზიციას ვერ ვხედავ, ბაჩო უკანონო პატიმარია და გარეთ უნდა იყოს“.** რაც შეეხება დათა ახალაიას სახელით „ფეისბუქის“ მეშვეობით გავრცელებულ განცხადებას, დეპუტატი ამ საკითხზე მცირე კომენტარს აკეთებს და ამბობს, რომ „რაც ეწერა, ეს ყველამ წაიკითხა“.

„ინტერპრესნიუსი“

„დამოუკიდებელმა გამოძიებამ, შესაძლოა, ბევრი მაღალჩინოსნის ბრალეულობა დაამტკიცოს და ამიტომ არ აწყობთ მისი ჩატარება“

ქრისტინე მალანია
5-93-608-508

სახალხო დამცველის საპარლამენტო გამოსვლას ოპოზიციის მხრიდან რადიკალური განცხადებები მოჰყვა. ომბუდსმენმა ლაფანყურის სპეცოპერაციის შესახებ აქამდე უცნობი დეტალები გამოაქვეყნა. ნანუაშვილი საგამოძიებო კომიტეტის შექმნას ითხოვს, რაზეც უმრავლესობა თანახმაა, ოპოზიცია კი — სასტიკი წინააღმდეგი. რატომ დაიწყო საქმის გამოძიება შსს-მ მაშინ, როცა ეს მთავარი პროკურატურის პრეროგატივაა და რა ალტერნატივას სთავაზობს ომბუდსმენი პარლამენტს სიმართლის დასადგენად?! ოპოზიციის პოზიციასა და ტრაგიკული სპეცოპერაციის აქამდე უცნობი დეტალების „ვერსიასთან“ სახალხო დამცველი ᲣᲩᲐ ᲜᲐᲜᲣᲐᲨᲕᲘᲚᲘ აფასებს.

რა დამატებითი კითხვები თუ ეჭვები უჩნდება ლაფანყურის სპეცოპერაციასთან დაკავშირებით, რა საკითხების განხილვას აპირებს მომდევნო მოსმენაზე და რისი პირობა მიიღო საპარლამენტო უმრავლესობისგან უჩა ნანუაშვილმა

— ოპოზიციის რეაქცია ჩემთვის მოულოდნელი არ ყოფილა. ამ რადიკალური გამოსვლებით უფრო მეტ კითხვისნიშანს აჩენენ და ობიექტური გამოძიების საჭიროებაც მეტად დგება. აუცილებელია, დამოუკიდებელი გამოძიების შედეგად დადგინდეს, რა მოხდა რეალურად. საკითხავია, რატომ ფიქრობს ოპოზიცია, რომ საგამოძიებო კომისიის შექმნა არ უნდა მოხდეს. თუ ვტყუით და ჩვენი ეჭვები მცდარია, დაადასტუროს ეს დამოუკიდებელმა გამოძიებამ და გავჩუმდებით. არ მესმის, რატომაა ასეთი წინააღმდეგობა ოპოზიციის მხრიდან.

— ფიქრობთ, ოპოზიციას არ აწყობს სიმართლის გარკვევა?

— რა თქმა უნდა. ამ გამოძიებამ, შესაძლოა, ბევრი მაღალჩინოსნის ბრალეულობა დაამტკიცოს და ეს არ აწყობთ. არაფერს ვამტკიცებთ, მაგრამ როდესაც ასეთ შესაძლო დანაშაულზეა საუბარი, გამოძიების ჩატარება აუცილებელია. ჩვენ გვაქვს ინფორმაცია, რომლის საფუძველზეც ,ლაფანყურის სპეცოპერაციის ირგვლივ ჩნდება სერიოზული კითხვები. გამოძიებამ შეიძლება, ბევრი ფაქტი სულ სხვა მხრიდან დაგვანახოს. დასადგენია ყველაფერი, რა ხდებოდა ბოლო წლების განმავლობაში, როგორ შეიქმნა უკანონო შეიარაღებული ფორმირებები ქვეყანაში, რომელიც პროდასავლური და ლიბერალური ღირებულებებით იწონებდა თავს?!

— კითხვები ლაფანყურის სპეცოპერაციის დროს გარდაცვლილი ასლან მარგოშვილის იარაღის მოწმობასთან დაკავშირებით ჩნდება?

— ასლან მარგოშვილის ოჯახის წევრებისა და ახლობლების გადმოცემით, მათთვის უცნობი იყო ინფორმაცია საქართველოში მისი ყოფნის შესახებ. მარგოშვილი წლების განმავლობაში ევროპაში ცხოვრობდა... საქმის მასალებიდან ჩანს, რომ სწორედ ევროპაში ყოფნის პერიოდში დარეგისტრირდა საქართველოში მის სახელზე იარაღი. მოწმობა გულისხმობს, რომ მოქალაქეს აქვს უფლება, იარაღი მხოლოდ რეგისტრაციის ადგილზე, სოფელ დუისში შეინახოს; დუისში კი, არანაირი იარაღი არ ინახებოდა, ოჯახის წევრების თქმით კი, ასლან მარგოშვილი იმ პერიოდში სოფელში კი არა, საზღვარგარეთ იმყოფებოდა. არადა, აღმოჩნდა, რომ ამ წლების განმავლობაში, მარგოშვილი თბილისში ცხოვრობდა. ამბობდნენ, რომ იმ ჯგუფის წევრები, რომლებმაც დაღესტნის მხრიდან საზღვარი პირველად გადაკვეთეს, საქართველოს მოქალაქეები არ იყვნენ და პირიქით აღმოჩნდა. მეტიც, ისინი რეგისტრაციაში ატარებენ ერთ-ერთ ყველაზე სერიოზულ საბრძოლო იარაღს, ამ ფაქტების გახმაურებიდან გარკვეული პერიოდის მერე კი, მონაცემთა ბაზიდან ინფორმაცია ამ იარაღის რეგისტრაციის და მისი გამოყენების შესახებ ქრება ისევე, როგორც ინფორმაცია ასლან მარგოშვილთან დაკავშირებით. მონაცემი გაქრა ტექნიკური უნივერსიტეტიდანაც, სადაც მარგოშვილი სწავლობდა. ოფიციალური ინფორმაციით, მას აკადემიური ჰქონდა და საქართველოში არ იმყოფებოდა. იყო თუ არა მარგოშვილი ამ უნივერსიტეტის სტუდენტი, ამას ვერ დაადგენთ... რატომ იკარგება ასლან მარგოშვილის შესახებ ყველა კვალი და ინფორმაცია, ესაა გამოსაძიებელი!

— საბრძოლო იარაღის შეძენა საქართველოში მხოლოდ ერთ მაღაზიაშია შესაძლებელი. რამდენად ხელმისაწვდომია მისი ყიდვა?

— საბრძოლო იარაღის შეძენას ყველა ვერ შეძლებს, ამისთვის ექსპერტიზის დასკვნა და სამედიცინო ცნობებია საჭირო. თუ მარგოშვილმა ყველა პროცედურის დაცვით შეიძინა ეს იარაღი, დამატებითი ეჭვი ჩნდება — როგორ მოახერხა ეს ყველაფერი?!

საქმის გამოძიება თავიდანვე არასწორად, მთელი რიგი პროცედურების დარღვევით, დაიწყო — საქმის მასალებს არაუფლებამოსილი ორგანო, შინაგან საქმეთა სამინისტრო სწავლობდა, კანონის მიხედვით კი, გამოძიება, საქართველოს მთავარ პროკურატურას ევალებოდა. ჩვენი კანონმდებლობის, სახალხო დამცველისა და საერთაშორისო ორგანიზაციების მოთხოვნაა, დარღვევა გამოსწორდეს, თუმცა ეს იმდენად დაგვიანებულია, ვფიქრობ, საქმის გამოძიება პროკურატურას რომც გადაეცეს, შედეგს მაინც ვერ მივიღებთ, ამიტომ ვთავაზობთ ალტერნატივას — ჩატარდეს სხვა ტიპის გამოძიება, რომელთანაც ყველა ადამიანი ითანამშრომლებს, ვისაც ამ საქმესთან დაკავშირებით რაიმე სახის ინფორმაცია აქვს.

— მომდევნო სასესიო კვირაში თქვენი კიდევ ერთი, შემაჯამებელი მოსმენა უნდა შედგეს, შემდეგ კი პარლამენტი საგამოძიებო კომისიის შექმნაზე იმსჯელებს. კიდევ რა თემებზე აპირებთ ყურადღების გამახვილებას?

— იმ დარჩენილ საკითხებზე, რომლებზე საუბრის საშუალებაც არ მოგვეცა წინა ორ შეხვედრაზე — სოციალურ-ეკონომიკური, ჯანდაცვის თემები, ჯანმრთელობის უფლებასა და სოციალურ უზრუნველყოფასთან დაკავშირებით. საზოგადოებისა და პარლამენტის ყურადღებას ეკომიგრანტებისა და უმცირესობების მდგომარეობაზე გავამახვილებ. ვეცდები, უფრო დეტალურად წარმოვადგინო, რა ძირითადი ტენდენციები და პრობლემები იყო შერშან ამ საკითხებთან დაკავშირებით. შენიშვნები იქნება სოციალური დაცვის სააგენტოსთან.

— ფიქრობთ, ხელისუფლების წარმომადგენლები გაითვალისწინებენ თქვენს ანგარიშში წარმოდგენილ რეკომენდაციებს?

— ვნახოთ, ყოველ შემთხვევაში.

საპარლამენტო უმრავლესობა დაგვპირდა, რომ მომზადდება სპეციალური დადგენილება — პარლამენტი სახალხო დამცველის ანგარიშს კი არ მოისმენს მხოლოდ, როგორც ეს წინამორბედების შემთხვევაში ხდებოდა, არამედ ჩვენი რეკომენდაციები დადგენილების წესით ჩამოყალიბდება და პარლამენტი აიღებს მისი შესრულების ვალდებულებას. დადგენილების მიხედვით, კონკრეტული რეკომენდაციების შესრულება აღმასრულებელ სტრუქტურებს დაევალება.

ოსურმა მხარემ კიდევ ერთი დაკავებული ქართველი გაათავისუფლა

საქართველოს შსს-მ ოკუპირებული ცხინვალის რეგიონის დე ფაქტო ხელისუფლების წარმომადგენლების მიერ დაკავებული მოქალაქე გაათავისუფლა.

სამინისტროს ინფორმაციით, ანალიტიკური დეპარტამენტისა და შიდა ქართლის სამხარეო მთავარი სამმართველოს მიერ ოკუპირებული ცხინვალის რეგიონის დე ფაქტო ხელისუფლების წარმომადგენლებთან ინტენსიური მოლაპარაკების შედეგად, უკანონოდ დაკავებული გიორგი დოთიაშვილი გათავისუფლდა.

22 აპრილს რუსმა სამხედროებმა, ოკუპირებული ცხინვალის რეგიონის ე.წ. ადმინისტრაციული საზღვრის „უკანონო კვეთის“ ბრალდებით, 1938 წელს დაბადებული მწყემსი, გიორგი (ჟორა) დოთიაშვილი გორის რაიონის სოფელ კირბალში დააკავეს. ოსური მილიციის თანამშრომლებმა დოთიაშვილი ჯერ ღრომში გადაიყვანეს, ხოლო შემდეგ ცხინვალის იზოლატორში მოათავსეს.

უკანონოდ დაკავებული გიორგი დოთიაშვილი, ინტენსიური მოლაპარაკებების შედეგად, ცხინვალის რეგიონის დე ფაქტო წარმომადგენლებმა გაათავისუფლეს.

თუმცა, განსხვავებული ინფორმაცია გავრცელდა მოსახლეობაში — სოფელ მეჯვრისხევის მკვიდრების ცნობით, ოსური მხარე დაკავებულ ქართველებს ჯარიმის სანაცვლოდ ათავისუფლებს. ფულად ჯარიმებს დაკავებული ქართველების ოჯახის წევრები ან ცხინვალში მცხოვრები მათი ნათესავები იხდიან. ჯარიმის რაოდენობა დაახლოებით 2 000 რუსულ რუბლს შეადგენს.

თანხა კი, წყაროს ცნობით, ცხინვალის რეგიონის დე ფაქტო ხელისუფლების ბიუჯეტში ირიცხება. მხოლოდ აპრილის თვეში, ოკუპირებული ცხინვალის რეგიონის დე ფაქტო ხელისუფლებამ 10-მდე მოქალაქე გაათავისუფლა. ყველას წაყენებული ჰქონდა ბრალდება — „საზღვრის უკანონო გადაკვეთა“.

მეჯვრისხეველების მიერ მოწოდებული ინფორმაცია, შიდა ქართლის გუბერნატორმა ზურაბ ჩხეიძემ დაადასტურა. მისი თქმით, ჯარიმა ყველა დაკავებული ქართველის ოჯახმა გადაიხადა და აღნიშნულის შესახებ ინფორმაციას გუბერნატორის ადმინისტრაციას მოსახლეობა აწვდის: **„ბოლო რამდენიმე თვეში, ასეთმა ფაქტებმა ძალიან ინტენსიური სახე მიიღო. ადამიანების გატაცება ხდება იმ ადგილებიდან, საიდანაც ადრე მსგავს ფაქტს ადგილი არ ჰქონია. ისინი მიჰყავთ ცხინვალში, ასამართლებენ საზღვრის უკანონო გადაკვეთისთვის, ახდევინებენ ჯარიმას და შემდეგ გადმოსცემენ ქართულ მხარეს. ეს ცნობილია ყველასთვის, პირველ რიგში იმ ოჯახებისთვის, რომლის წევრებიც დააკავეს. სამწუხაროდ, გუბერნატორის ადმინისტრაცია ამაში არ არის ჩართული. ჩვენ ინფორმაციას უშუალოდ ამ ოჯახებიდან ვიღებთ. რამდენიმე ოჯახმა, რომელთაც ვესაუბრე, დაადასტურა, რომ ცხინვალის სასამართლოს გამოაქვს გადაწყვეტილება, რის საფუძველზეც ახდევინებენ თანხას. ვის სად უხდიან ფულს, ამის თქმა გამიჭირდება. ყველას სხვადასხვა თანხას ახდევინებენ. დღე არ გავა, მოსაზღვრე სოფლებიდან ადამიანები არ გაიტაცონ“.**

დაკავებული ქართველების ჯარიმის სანაცვლოდ გათავისუფლების შესახებ ინფორმაცია საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროშიც აქვთ. სამინისტროში აცხადებენ, რომ ცხინვალის რეგიონის წარმომადგენლების მიერ თანხის გამოძალვის ფაქტები არსებობს. **„ბოლო პერიოდში თანხის გამოძალვის ფაქტებს ადგილი აქვს, 2000 რუბლზეა საუბარი. ამ თემასთან დაკავშირებით შსს-ს საინფორმაციო ანალიტიკური დეპარტამენტი აქტიურად მუშაობს. ამ საკითხზე მეტს ვერაფერს გეტყვით“,** — აცხადებს შსს-ს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის ხელმძღვანელი ნინო გიორგობიანი.

ამასთან, შს სამინისტროში არ აკეთებენ კომენტარს, გადაიხადეს თუ არა თანხა იმ პირებმა, რომელთა გათავისუფლების შესახებაც ინფორმაციასაც შინაგან საქმეთა სამინისტრო ავრცელებს.

„ვერსიანიუსი“

„ნუგეში“ მოსახლეობას სააღდგომოდ დიდ სიურპრიზს უმზადებს!

„5 მაისამდე, ქათამი, ზეთი, პასკა, კვერცხი... ფასდაკლებით გაიყიდება“

დავით დევიძე, 593-219-042

აღდგომის დღესასწაულთან დაკავშირებით, ფასების მატება საკვებ პროდუქტებზე ქართული ბაზრის ტრადიციაა. სოციალურად ისედაც გაჭირვებული მოსახლეობის უმრავლესობას, ეს მძიმე ტვირთად აწვება. არადა, ლამაზი, მრავალფეროვანი სუფრის გარეშე, აღდგომა, ჩვენი ქვეყნის მოქალაქეებისთვის, თითქმის წარმოუდგენელია. გამონაკლისი არც წლევანდელი აღდგომაა და რომ იტყვიან, ბაზარს „ცეცხლი უკიდია“. ნებისმიერ პროდუქტზე, 20-30%-ით მაინცაა ფასი გაზრდილი. ამ ფონზე, ძალიან გამიკვირდა, როცა მითხრეს, მაღაზიათა ქსელმა „ნუგეშმა“ სააღდგომოდ საკვები პროდუქტი გააიაფაო. ყველაზე ახლომდებარე „ნუგეშის“ ჯიხურს მივაკითხე და გამყიდველს გამოველაპარაკე. მან დამიდასტურა, რომ პროდუქტი მართლაც გაიაფდა. უკვე ხსენებული ქართული ბაზრის წესების ფონზე, „ნუგეშის“ ეს გადაწყვეტილება ნამდვილად სასიამოვნო ნოვაციაა. ჩანს, საქართველოშიც მიხვდნენ, რომ სჯობს, ბევრი გაყიდო და იაფად, ვიდრე ცოტა და მამასისხლად. ვაჭრობას თავისი კანონები აქვს — პირველი ვარიანტი კი, გაცილებით მომგებიანია გამყიდველისთვისაც და მყიდველისთვისაც. იმის გასარკვევად, რატომ გადაწყვიტა „ნუგეშმა“ მოსახლეობისთვის ასეთი სიურპრიზის გაკეთება, „ნუგეშის“ ცენტრალურ ოფისს ვესტუმრეთ და შპს-ს დირექტორს, შოთა ბასილაშვილს გავესაუბრეთ.

— 2010 წლიდან ფუნქციონირებს ჩვენი ქსელი, რომელიც თავიდანვე შემოვიდა დაბალი ფასებით და ტრადიციას დღემდე არ ვღალატობთ. კონკურენტებისგან განსხვავებით, დაბალი სეგმენტი გვაქვს.

— სანამ უშუალოდ ფასებზე ვისაუბრებთ, მაინტერესებს, თქვენთან როგორი ხარისხის პროდუქციის შეძენას შეძლებს მომხმარებელი. უხარისხო პროდუქტის გაყიდვა, დღეს ქვეყანაში ერთ-ერთი გადაუჭრელი პრობლემაა.

— ჩვენ სავაჭრო ქსელში იყიდება ის პროდუქტი, რაც საერთოდ ყველა მაღაზიაშია. ჩვენ არ ვართ მწარმოებლები, ვახდენთ მხოლოდ რამდენიმე პროდუქციის იმპორტირებას, რომლის მაღალ ხარისხზე სრული პასუხისმგებლები ვართ. როცა ჩვენს საწყობში შემოდის საქონელი, მკაცრად კონტროლდება როგორც ხარისხი, ასევე მისი მოხმარების ვადები, ასე რომ, ამ მხრივ ყველაფერი მოწესრიგებულია — პროდუქტი სავაჭრო ქსელში მხოლოდ მას შემდეგ ხვდება, რაც მეწარმე წარმოადგენს შესაბამის სერტიფიკატს და ყველა იმ მახასიათებელს, რასაც ქართული კანონმდებლობა მოითხოვს.

— ანუ „ნუგეშში“ ნაყიდი პროდუქტი საღი და ჯანსაღია?

— ცხადია. კიდევ ერთხელ მინდა ხაზი გავუსვა, რომ „ნუგეში“ არ ყიდის რამე განსხვავებულ პროდუქტს, რომელიც არ იყიდება „ნუგეშის“ გვერდით არსებულ მაღაზიებში. როგორც ჩვენთან მოაქვს დისტრიბუტორს, ისევე მიაქვს იმ მაღაზიაშიც. განსხვავება ისაა, რომ ჩვენ არ ვამატებთ დიდ პროცენტს. ვამატებთ მხოლოდ იმდენს, რაც ქსელის შენახვისთვისაა საჭირო.

— როგორც შევიტყვე, ამ კარგ პრეცედენტს კიდევ ერთი სიახლე დაემატა — სააღდგომოდ მოსახლეობას სიურპრიზს უმზადებთ და პროდუქციას აიაფებთ. ასეა?

— სადღესასწაულოდ ბევრ სიახლეს ვთავაზობთ მომხმარებელს. პირველადი მოხმარების ათამდე პროდუქტი, როგორიცაა ქათამი, ზეთი, მარილი, პასკა, კვერცხი... ფაქტობრივად, თვითღირებულების ფასში იყიდება. ეს აქცია 29 აპრილს დაიწყო და 5 მაისამდე გაგრძელდება. ესაა სააღდგომო კვირეული და ვფიქრობ, ნამდვილი შეღავათი იქნება მყიდველისთვის.

— ადრე ქველმოქმედებასაც აქტიურად ეწეოდით. ამ საქმიანობას დღესაც აგრძელებთ?

— სააღდგომოდ ამგვარი აქცია უკვე ჩავატარეთ. დაკონკრეტებისგან თავს შევიკავებ, ასეთ ქმედებას ბევრი ლაპარაკი არ უხდება — სხვა კომპანიებისგან განსხვავებით, ქველმოქმედებას არ ვაპიარებთ. ჰუმანიტარული დახმარება იმისთვის არ კეთდება, ვიღაცამ ქულები ჩაიწეროს და კარგი რეკლამა გაიკეთოს. ჩვენ ამ პრინციპს მივდევთ! რაც მთავარია, ქსელი ფართოვდება და ვცდილობთ მყიდველის ყველა მოთხოვნა გავითვალისწინოთ. ნებისმიერი წერილი, რომელიც საჩივრის სახით შემოდის კომპანიაში, საფუძვლიან განხილვას ექვემდებარება. დღეს ძნელია სამსახურიდან ვინმეს გათავისუფლება, მაგრამ გამყიდველი დაგვითხოვია იმის გამო, რომ არაკორექტულად მოქცეულა მყიდველთან. ასე რომ, ყოველთვის მომხმარებლის ინტერესზე ვართ ორიენტირებულნი, დაბალი ფასები და მომსახურების მაღალი დონე კი, ჩვენი სტრატეგიაა. მომავალშიც ასე გავაგრძელებთ. მთელ საქართველოს მინდა მივულოცო აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაული, წარმატება და ბარაქა არ მოკლებოდეს ჩვენი ქვეყნის ოჯახებს. ამ ბრწყინვალე დღესასწაულს „ნუგეში“ მოსახლეობას სააღდგომო აქციით, ხარისხიანი პროდუქტითა და ფასდაკლებით ულოცავს!

„არ დაუშვათ ეს ბარბაროსობა!“

ნინო ხარშილაძე
599-55-63-56

ზაქარიაძის, ასათიანის, ვაჟა-ფშაველასა და ნუცუბიძის ქუჩების მაცხოვრებლები დედაქალაქში ასათიანის №10-ში, ყოფილი ფსიქიატრიული საავადმყოფოს ტერიტორიაზე, არსებული ნარგავების გაჩეხვასა და ახალი მშენებლობის დაწყებას აპროტესტებენ. მათ დახმარების თხოვნით საკრებულოს ოპოზიციურ ფრაქციას მიმართეს.

საბურთალოს მოსახლეობა ფსიქიატრიული საავადმყოფოს ყოფილ ტერიტორიაზე ნარგავების გაჩეხვას აპროტესტებს და „საბურთალოს პარკის“ გაშენებას ითხოვს!

მარიკა ჩიქოვანი, ზაქარიაძის №8-ის მცხოვრები: „ვაპროტესტებთ ყოფილი ფსიქიატრიული საავადმყოფოს ტერიტორიაზე მშენებლობას. ახლა ესაა თავისუფალი ზონა, მაგრამ თურმე მინიჭებული ჰქონია საცხოვრებელი ფართის სტატუსი — 2010 წელს „ბი-დი პროპერტისა“ და ეკონომიკის სამინისტროს შორის ხელშეკრულება გაფორმებულა. სხვადასხვა ინსტანციიდან მიღებული პასუხების მიხედვით, ეს ტერიტორია გასხვისებულია, მაგრამ ნარგავების ჭრის უფლება თითქოს ჯერ გაცემული არ არის, რაც ნიშნავს, რომ მშენებლობა ვერ დაიწყება. მოვითხოვთ, ამ ადგილს რეკრეაციული ზონის სტატუსი მიენიჭოს — ესაა უნიკალური წიწვოვანი ნარგავებით დაფარული 4 ჰექტრამდე ფართობი, რომელიც „საბურთალოს ფილტვებია“. გარდა ამისა, ილახება მოსახლეობის ინტერესი, სამხრეთიდან კორპუსებს მზე ადგება და როცა ახალი კორპუსები აშენდება, აღარც მზე იქნება. გვინდა, აქ „საბურთალოს პარკი“ გაშენდეს, არადა პროექტის მიხედვით, მრვალსართულიანი 8 კორპუსი უნდა აშენდეს, ახალი მასივი კი საბურთალოზე არ გვჭირდება. სარჩელიც გვაქვს შეტანილი სასამართლოში და მოვითხოვთ, აღნიშნული ტერიტორია რეკრეაციულ ზონად გამოცხადდეს, ხოლო ხელისუფლებამ ინვესტორს კომპენსაცია გადაუხადოს“.

ციური ლაბაძე, ზაქარიაძის №8-ის მცხოვრები: „ამ ტერიტორიის გასხვისება დანაშაულია, რადგან იქაა მრავალწლიანი წიწვოვანი, ფოთლოვანი ხეები, რომელსაც მშენებლობის დაწყებისას აუცილებლად მოჭრიან“.

თბილისის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება — თბილისელების“ თავმჯდომარე გულიკო ზუმბაძე მოსახლეობას საკითხის სწორ გადაწყვეტას პირდება: „2010 წლის დეკემბერში „ბი-დი პროპერტიმ“ შეიძინა ასათიანის 10-შიმდებარე ფსიქიატრიული საავადმყოფოს ტერიტორია — 37 000 კვ/მ ფართობი, სადაც უნიკალური ნარგავებია, ასევე ვაჟა-ფშაველას 37-39-ს შორისაა სკვერი. ფრაქციის სხდომაზე უნდა გავარკვიოთ, როგორ აღმოჩნდა ეს სკვერი კერძო კომპანია „ბი-დი პროპერტის“ ხელში. არის საეჭვოება, რომ ამ სკვერის ხარჯზე გზას გაიყვანენ და ჩვენი ვალია, ამის გამო არც მოსახლეობა დაზარალდეს და არც ინვესტორი“.

„ბი-დი პროპერტის არქიტექტორი ვლადიმერ აბრამიშვილი აცხადებს: „ასათიანის 10-ში, ჯერჯერობით, ერთი შენობა შენდება, რომელიც საკმაოდ მცირე ფართობის მიწას იკავებს. მხოლოდ 37 ნარგავი იჭრება, რომელიც ჯანსაღი არ არის. სახლს იმ ტერიტორიაზე ვაშენებთ, რომელზეც შენობა იდგა. დანარჩენი ხეები 50-წლიანია და გაჩეხვას კი არა, ჩანაცვლება-გაუმჯობესებას ვგეგმავთ — ამ ტერიტორიაზე 1 500 ნარგავი უნდა დავამატოთ. ვაჟა-ფშაველას 37-39-ს შორის არსებულ სკვერზე საერთოდ აღარაა საუბარი. სკვერზე არც გზა გაკეთდება“.

სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს წარმომადგენლის, მარიამ კუკავას თქმით, „კომპანიასთან ხელშეკრულება 2010 წლის 14 დეკემბერს გაფორმდა, თავის მხრივ, კომპანიის დირექტორმა აიღო ვალდებულება, რომ აქ აშენდებოდა საცხოვრებელი და ბიზნესფართები, ჩაიდებოდა 13 მილიონი ამერიკული დოლარის ინვესტიცია, ხოლო იმ შემთხვევაში, თუ ტერიტორიაზე ხეებს მოჭრიდნენ, ვალდებული იყო, ამ ტერიტორიაზე შესაბამისი პარკი აეშენებინა“.

თბილისის მერიის ეკოლოგიისა და გამწვანების სამსახურის ხელმძღვანელი გიორგი ქორქაშვილი მიიჩნევს, რომ აღნიშნული საკითხი დამატებით შესწავლას მოითხოვს, რათა „არ დაზარალდეს არც ინვესტორების და არც მოსახლეობის ინტერესები... პროექტი კარგადაა გაკეთებული, ასე რომ, არსებული მდგომარეობის შესწავლის შემდეგ, ნარგავების შენარჩუნება შესაძლებელია“.

არქიტექტურის სამსახურის უფროსი მალხაზ კუმელაური: „აქ საქმე გვაქვს კერძო საკუთრებასთან. როცა ქალაქის გენერალური გეგმა გაკეთდა, კერძო საკუთრების ნაწილი სარეკრეაციო და კულტურულ ზონაში აღმოჩნდა, ამიტომ ყველა ინდივიდუალური შემთხვევა განვიხილეთ და შევეცადეთ, შუალედური გამოსავალი მოგვეძებნა. პროექტირებისას, მაქსიმალურად უნდა შენარჩუნებულიყო არსებული ხეები, ხოლო თუ ზოგი ნარგავის გადარგვა ვერ მოხერხდებოდა, ჩვენს სამსახურთან უნდა ეწარმოებინათ მოლაპარაკება. არსებობს სპეციალისტების დასკვნა, რომ 200 ხიდან, ჯანსაღი მხოლოდ 97-ია“.

საკრებულოს წევრებმა, მოსახლეობამ, დედაქალაქის ხელმძღვანელობამ და „ბი-დი პროპერტის“ წარმომადგენლებმა სხდომაზე შეთანხმებას ვერ მიაღწიეს, ამიტომ საკრებულოს უმცირესობა კონსულტაციებსა და შეხვედრებს გააგრძელებს.

„სახელის მოხვეჭაზე არ მიფიქრია, ექსპერიმენტებზე პროფესიული ინტერესის გამო მივდიოდი“

ნათია ვასაძე
555-98-61-65

მოქანდაკე ლევან ვარდოსანიძე ბრინჯაოსა და მარმარილოს სინთეზით შექმნილი ქანდაკებების ნოვატორია საქართველოში. ჩვენს ქვეყანას ოლიმპიური თამაშების კონკურსზეც არაერთხელ მოუტანა წარმატება. მიუხედავად ამისა, საზღვარგარეთ უფრო მეტად იცნობენ და აფასებენ, ვიდრე საკუთარ ქვეყანაში. აღნიშნული კონკურსი 2000 წელს ხუან ანტონიო სამარანჩიმ აღადგინა და მას შემდეგ, ოთხ წელიწადში ერთხელ, ყოველთვის ოლიმპიური ჩემპიონატის წინ იმართება. ამ კონკურსში ლევან ვარდოსანიძემ სამჯერ მიიღო მონაწილეობა და მისმა ნამუშევრებმა, სამივე შემთხვევაში, პრიზი დაიმსახურა. „ვერსიას“ ლევან ვარდოსანიძე ესაუბრება.

რატომ „ადანაშაულებენ“ ეროტიკული ქანდაკებების შექმნაში საერთაშორისო ოლიმპიური თამაშების სამგზის გამარჯვებულ ლევან ვარდოსანიძეს

— ექსპერიმენტები ჯერ კიდევ სამხატვრო აკადემიაში სწავლისას დავიწყე. ამ პერიოდში, ქანდაკებებს თაბაშირში ვაკეთებდი. ლითონის ჩამოსხმა და ქვის დამუშავება კი მოგვიანებით დავიწყე, რადგან ეს ტექნოლოგია დიდ ხარჯთანაა დაკავშირებული და სტუდენტს ამის საშუალება არ მქონდა, თაბაშირს საღებავებით ვაძლევდი ბრინჯაოსა და ქვის ეფექტს; მხოლოდ აკადემიის დასრულების შემდეგ შევძელი კერამიკის შევსება ბრინჯაოს დეტალებით. პირველად, ქვასა და ლითონში საქსოფონისტი გამოვაქანდაკე 90-იან წლებში...

— რატომ მაინცდამაინც საქსოფონისტი?

— მუსიკა, განსაკუთრებით ჯაზი, ბავშვობიდან მიყვარს. ეს რომ არა, ბევრი რამის გაკეთებას ალბათ ვერც შევძლებდი. საქსოფონისტი ჩემი უსაყვარლესი ფიგურაა.

მუსიკის თემაზე უამრავი ქანდაკება მაქვს შექმნილი. ხშირად ვქმნი სკულპტურებს ლეგენდარული მუსიკოსებისთვის: მაგალითად, რამდენიმე წლის წინ, ბობ დილანის 70 წლის იუბილესთან დაკავშირებით, მისი პატარა ფიგურა გამოვაქანდაკე და გავუგზავნე. ლეგენდარული მუსიკოსების — ჯონ ლენონისა და ფრენკ ზაპპას იუბილესთან დაკავშირებითაც შევქმენი მათი ქანდაკებები.

— საქართველოში პირველმა შექმენით ქანდაკება შერეული მასალის გამოყენებით...

— მსგავსი ტექნიკა ძველად ევროპის სხვადასხვა ქვეყანაში არსებობდა, მაგრამ საქართველოში ნამდვილად ნოვატორი ვარ. ჩემი ნამუშევრების პრინციპიც განსხვავებულია — ძველად მსგავსი ტექნოლოგიით მხოლოდ პატარა ბიუსტები კეთდებოდა, მე კი ეს ყველაფერი მთლიან ფიგურაზე გავთვალე.

— თქვენთვის ეს პედაგოგს არ უსწავლებია?

— რა თქმა უნდა, არა, ამის სწავლა შეუძლებელია. ტექნიკური მხარე შეიძლება ასწავლო ადამიანს, მაგრამ პლასტიკას ვერ ასწავლი. ყველა მოქანდაკე ინდივიდუალურია, ამიტომ სხვამ, შეიძლება, ისეთი რამ მოიფიქროს და გააკეთოს, მე რომ ვერც წარმომიდგენია. არც გამარჯვებებსა და სახელზე მიფიქრია, ექსპერიმენტებზე მხოლოდ პროფესიული ინტერესის გამო მივდიოდი.

— საზღვარგარეთ მოღვაწეობის გაგრძელება რატომ გადაწყვიტეთ?

— საბჭოთა კავშირის დაშლა ჩემი თაობის დიდი ნაწილის ოცნება იყო. ხელოვანები ყოველთვის ვაპროტესტებდით იმას, რომ საზღვარგარეთ წასვლის საშუალება არ გვეძლეოდა. პრაქტიკებზე რუსეთში გვაგზავნიდნენ, უცხოური კი ყველაფერი შეზღუდული იყო — გრამფირფიტა, ფოტო...

— შემოქმედებაშიც თუ გქონდათ შეზღუდვები?

— რა თქმა უნდა, ცენზურა აქაც ვრცელდებოდა. ჩემს ნამუშევრებს გამოფენაზე არ იღებდნენ — ამბობდნენ, საბჭოთა თემატიკაზე არ არისო... ერთხელ ისიც დაწერეს, ლევან ვარდოსანიძის ნამუშევრები „ეროვნული“ არ არისო. საქართველოს, ქანდაკებაში, დიდი ტრადიცია არ აქვს და ამ ფონზე, გაუგებარია, რას ნიშნავდა 80-იანი წლების შუა პერიოდში ტერმინი „ეროვნული ქანდაკება“... მერე საქართველოში არეულობა დაიწყო და სამუშაო სივრცე აღარ არსებობდა — დაიხურა თითქმის ყველა გალერეა და მუზეუმი. 1989 წელს მე და ჩემი მხატვარი მეუღლე გერმანიაში წავედით, სადაც კონტრაქტი გავაფორმეთ ერთ-ერთ იქაურ გალერისტთან და მას შემდეგ ის უზრუნველყოფს ჩემი ნამუშევრების სხვადასხვა ქვეყანაში გატანა-გამოფენას.

— საზღვარგარეთ სამუდამოდ დარჩენაზე გიფიქრიათ?

— ნათესავები საქართველოში მყავს და სამუდამოდ ვერსად დავრჩები. სწორედ ამიტომ ჩემი ქანდაკებები თბილისში იქმნება და უკვე დასრულებული სახით გამაქვს საზღვარგარეთ.

— საშუალოდ, რა დრო სჭირდება ერთი ქანდაკების დამზადებას?

— ზოგადად, არ მიყვარს სწრაფად გაკეთებული საქმე. 6 თვე ან ერთი წელი მაინც მჭირდება ერთი ქანდაკების გასაკეთებლად — განსაკუთრებით დიდი დრო მიაქვს ლითონის ჩამოსხმა-დამუშავებას. საქართველოში ისიც არ იციან, ჩამომსხმელს თავისი დამღა რომ უნდა ჰქონდეს. კიდევ ერთი პრობლემა, მასალების უკმარისობაა. მაღალი ხარისხის მასალა ფიზიკურად აღარ შემოდის, ამიტომ სხვადასხვა კომბინაციაზე მიწევს მუშაობა, რათა მეორეხარისხოვანი მასალა უმაღლეს ხარისხამდე ავიყვანო.

— თქვენს ნამუშევრებს საქართველოში ჰყავს მყიდველი?

— ჩემი ქანდაკებები 2004 წლიდან გალერეა „არტ-ლაინსა“ და თბილისის აეროპორტის პრაიმკლასის დარბაზში იფინება, როგორც წესი, მყიდველი ყოველთვის უცხოელია. თუ ქართველმა იყიდა, აღმოჩნდება, რომ მასაც უცხოელი სტუმრისთვის უნდა მისართმევად.

— ამბობენ, რომ თქვენს ნამუშევრებში ეროტიკა ჭარბობს, რის გამოც, ერთ თქვენს ქანდაკებას ადგილმდებარეობაც კი შეუცვალეს.

— ეროტიკა არის ყველგან, სადაც პლასტიკაა!.. ალბათ კლუბ „სენატეს“ წინ დადგმულ „დიჯეის“ გულისხმობთ. ამ ქანდაკებამ ლამის ეროვნული მოძრაობა გამოიწვია მაშინ. დღემდე ვერ ვხდები, რა იყო მასში მიუღებელი — არც ხე მოჭრილა ამ ქანდაკების გამო და არც რომელიმე შენობა დანგრეულა, თემატურადაც შეესაბამება იმ ადგილს, სადაც დაიდგა... მაგრამ რამ აღაშფოთა, იცით, ქართველი საზოგადოება? შავკანიანი გოგონას ქანდაკებას მკერდი მოუჩანდა და ამიტომ კლუბის დირექციამ ქანდაკება სასწრაფოდ მოხსნა, რამდენიმე მეტრის მოშორებით, შედარებით შეუმჩნეველ ადგილზე გადაიტანა... იცით, რა არის საოცარი?! ეს ყველაფერი 2011 წელს, XXI საუკუნეში ხდება!

— მესამედ გახდით ოლიმპიური თამაშების პრიზიორი. გვიამბეთ ამ ჯილდოების შესახებ.

— ოლიმპიური თამაშებისწინა გამოფენა-კონკურსის ჩატარების ტრადიცია 2000 წლიდან აღადგინეს. კონკურსში სამჯერ მივიღე მონაწილეობა და სამჯერვე პრიზიორი გავხდი: 2000 წელს სიდნეიში, ბეისბოლისტის ქანდაკებამ ვერცხლის, 2008 წელს, პეკინში ქანდაკებამ „ჩემპიონი“ ბრინჯაოს, ხოლო 2012 წელს ქანდაკებამ „ოლიმპიური ჰიმნი“ ვერცხლის მედალი დაიმსახურა. ეს ნამუშევრები ქალაქ ლოზანას საერთაშორისო ოლიმპიურ მუზეუმშია დაცული.

— თქვენამდე არავინ გამხდარა სამგზის პრიზიორი?

— მესამედ კი არა, მეორედაც არ გაუმარჯვია ერთი და იგივე მხატვარს ამ კონკურსზე, ამიტომ ბევრს ჩემი წარმატება წარმოუდგენლად ეჩვენებოდა. გარდა იმისა, რომ პირველი სამი საპრიზო ქანდაკება ლოზანას მუზეუმში იფინება, მომდევნო ხუთი ნამუშევარი ჯილდოვდება განსაკუთრებული სიგელით და ამის გამო, სიმართლე გითხრათ, მონაწილეობაზე უფრო ვფიქრობდი — ჩემი ნამუშევარი საპრიზო კატეგორიაში თუ ვერ მოხვდებოდა, სიგელს მაინც დავიმსახურებდი.

— საქართველოს სპორტის ან კულტურის სამინისტროს მხრიდან გაქვთ ხელშეწყობა?

— მათი მხრიდან, დიდ დაინტერესებას არც ველოდი.

ხელშეწყობა კი არა, იმ დელეგაციაშიც არ ჩამსვეს, საქართველოდან ამსტერდამში ოლიმპიურ თამაშებზე დასასწრებად რომ წავიდა. ჩემს გარდა, ყველა ქვეყნის გამარჯვებული მხატვარი იქ იყო. მერე მკითხეს, რატომ არ იყავიო; შემრცხვა და არ მეცალა-მეთქი, ვუპასუხე. ამსტერდამში, დაჯილდოების ცერემონიალზეც მარტო ვიყავი. დანარჩენ მხატვრებს კი ახლდა უზარმაზარი დელეგაციები. სხვა გამარჯვებულებს ეხვევიან, ულოცავენ... მხოლოდ მე არ მახლავს არავინ. ვზივარ და ჩემი გვარის გამოცხადებას ველოდები. უხერხული სიტუაციიდან რუსეთის დელეგაციამ გამომიყვანა — გულით მილოცავდნენ გამარჯვებას.

— მეგობრობთ რუს კოლეგებთან?

— კურიოზია, რომ რუსეთთან კავშირი ლონდონის გავლით მაქვს. ლონდონში ერთი ცნობილი გალერისტი ალა ბულიანსკაია მოღვაწეობს, ვისაც რუსეთის გალერეებში ჩემი ნამუშევრები ჩააქვს. რუსეთში ბევრი მეგობარი მყავს და მათ, ძირითადად, საზღვარგარეთ ვხვდები. სხვათა შორის, გული სწყდებათ დღევანდელ ვითარებაზე.

— თქვენ რატომ არ ჩადიხართ რუსეთში?

— რას ამბობთ, ქვეყნის მოღალატედ გამომაცხადებენ, იტყვიან, ვარდოსანიძემ ვაკის პარკთან „შიშველი“ „დიჯეის“ ქანდაკების დადგმა არ გვაკმარა და ახლა რუსეთშიც ჩავიდაო.

— თუ იპოვეთ თქვენი ის ქანდაკება, სამი წლის წინ, თბილისის ერთ-ერთი გალერეიდან რომ გაუჩინარდა?

— ქანდაკება „ქალი აბაზანაში“ საეჭვო ვითარებაში გაუჩინარდა. გალერეის მეპატრონეები ამბობენ, არც კარის საკეტია გატეხილი და არც ფანჯრიდან გადამძვრალა ვინმეო. ვერ გეტყვით, მოიპარა ვინმემ თუ შეგნებულად გაასხვისა, მაგრამ უამრავი ეჭვი არსებობს. საქმე მესამე წელია აღძრულია, დამნაშავე კი არ ჩანს. რა თქმა უნდა, გალერეის მეპატრონეებმა ზარალი უნდა ამინაზღაურონ და ქანდაკების გასაყიდი ფასის ნახევარი გადამიხადონ, მაგრამ ჩანს, ამას არ აპირებენ. ერთხელ მითხრეს, ფული თუ გინდა, მეგობარმა მხატვრებმა თავიანთი ნამუშევრების გაყიდვა და შენი გასტუმრება შემოგვთავაზესო. უკეთესი რეკლამა რა უნდა იყოს — 20-მდე მხატვარი გაყიდის ნამუშევრებს, ჩემი ერთი ქანდაკების ასანაზღაურებლად.

— მომდევნო ოლიმპიურ კონკურსში აპირებთ მონაწილეობას?

— აუცილებლად... ვეცდები, მომდევნო კონკურსზე პირველი პრემია დავიმსახურო. იმედია, კულტურის სამინისტროც დაინტერესდება. მინისტრის მოადგილის, მარინე მიზანდარის გულისხმიერების მჯერა — ამ ქალბატონს პირადად არ ვიცნობ, მაგრამ მისი მამა, ბატონი გივი ჩემ დროს სამხატვრო აკადემიის დეკანი იყო. მწამს, ქალბატონი მარინე ყველაფერს გააკეთებს არაჩვეულებრივი მამის საყვარელი საქმის ხელშესაწყობად.

ვერსიანიუსი

კულტურის სამინისტრომ კულტურული მემკვიდრეობის ძეგლთა მართვის უფლება აღიდგინა

კულტურის მინისტრ, გურამ ოდიშარიას ინფორმაციით, ეს გადაწყვეტილება მთავრობის სხდომაზე მიიღეს.

როგორც კულტურის მინისტრის მოადგილემ, მარინე მიზანდარმა განმარტა, კულტურის სამინისტრომ ამით წართმეული უფლება დაიბრუნა: **„აღვიდგინეთ კულტურული მემკვიდრეობის ძეგლთა მართვის უფლება თბილისის ტერიტორიაზე. ეს საკითხი თავიდან აგვარიდებს გაუმართლებელი ნაგებობების მშენებლობას და კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების დამახინჯებას“.**

მინისტრის მოადგილემ მაგალითებად დაასახელა ციხისუბანი და კლდისუბანი, სადაც მისი შეფასებით, აბსოლუტურად გაუმართლებელი მშენებლობები მიმდინარეობს.

რაც შეეხება რიყის ტერიტორიაზე მუსკომედიის თეატრის შენობის მშენებლობას, მარინე მიზანდარის ინფორმაციით, ამ საკითხზე, ამ ეტაპზე, მსჯელობა მიმდინარეობს და გადაწყვეტილება მიღებული არ არის.

„ინტერპრესნიუსი“

საინგილო გუშინ, დღეს... მაგრამ ხვალ?!

გუბაზ მეგრელიძე
551-11-06-21

საქართველოს მოურჩენელ სატკივრად რჩება საინგილოში არსებული ვითარება. მართალია, ორი ქვეყნის პრეზიდენტები, ბაქო-ჯეიჰანის ნავთობსადენის ხათრით, ერთმანეთს „ძმობას“ ეფიცებიან, მაგრამ ეს მხოლოდ პოლიტიკური ფარსია, რომლის უკან ეროვნული ინტერესების დაცვა არ იკვეთება.
ფერშალ შევარდნაძეს ამ საკითხის წამოჭრა მეზობელი ქვეყნის შინაურ საქმეში ჩარევად მიაჩნდა, და თავისი „კოლეგას“, ფერშალ ორჯონიკიძის ეროვნული ღალატის გამოსწორება არც უცდია. სააკაშვილმა კი, ჯერჯერობით, ვერ მოიცალა... ან რა პატრიოტიზმზე შეიძლება ლაპარაკი, როცა განათლების მინისტრის ყოფილმა მოადგილემ, ალექსანდრე დიდებულიძემ დაიწუნა ივანე ჯავახიშვილის მიერ შედგენილი რუკა და აკრძალა მისი საინგილოში გავრცელება. მდგომარეობა კი თანდათან მძიმდება. განუკითხავად ითელება საინგილოს ქართული მოსახლეობის უფლებები. გაგრძელება. დასაწყისი იხ. „ვერსია“ №49(805).

დამწვარი კულტურის სახლი კახში

ავტორის ფოტოები

განათლების პრობლემები

განათლების სისტემაშიც რთული ვითარებაა; უფრო მეტიც — საქართველოდან ჩამოტანილი წიგნების გაზრდილ რაოდენობაზე სკოლის დირექტორებს მოაწერინეს ხელი. საამისოდ კი, ინგილოთა მოსამზადებელ განყოფილებაზე მათი ხალხის მოწყობას დაპირდნენ. მოსახლეობა ზოგიერთ სახელმწიფო მოხელეს თბილისის უნივერსიტეტის მოსამზადებელ ფაკულტეტზე აბიტურიენტთა მოწყობისთვის მექრთამეობაშიც ამხელდა.

დამაფიქრებელია, რომ საქართველოს ხელისუფლება ათეული წლების მანძილზე არ ზრუნავს საინგილოში საინფორმაციო საშუალებების კორესპონდენტთა ყოლაზეც, თუმცა ქვემო ქართლში აზერბაიჯანელი ჟურნალისტები ჯერ კიდევ კომუნისტური პერიოდიდან შეუფერხებლად მუშაობენ.

საინგილოს ქართულ სკოლებში 1995 წლიდან, აზერბაიჯანის განათლების სამინისტრომ საქართველოს ისტორიის საგანი შეამცირა. 2001 წლის ოქტომბრიდან საქართველოს ისტორიის, გეოგრაფიისა და ბუნების სწავლება ფაკულტატური საათების ხარჯზეც კი აიკრძალა. აზერბაიჯანის ხელისუფლებას მშობლიური საგნების სწავლება არამიზანშეწონილად მიაჩნია. ეს მაშინ, როდესაც ქვემო ქართლში მცხოვრებ აზერბაიჯანულ მოსახლეობას საქართველოს ხელისუფლება კი არ ავიწროებს, პირიქით, მათი უფლებების დაცვის გარანტიებს ქმნის.

ახალი სახელმძღვანელოების შემუშავებისთვის ფიქტიურად შეიქმნა ქართველი და აზერბაიჯანელი სპეციალისტებით დაკომპლექტებული შერეული კომისია, რომელსაც არ უმუშავია. ქართული ინტერესების საზიანოდ, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში ასეთი პროექტი მზადდებოდა — ორივე ქვეყნის ისტორია გვერდიგვერდ დაბეჭდილიყო. ასევე არსებობდა პროექტი „კავკასიის ისტორიის“ სახელმძღვანელოს შემუშავებაზეც, რომელიც საბედნიეროდ, არ განხორციელდა.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ 2004 წლის ივლისში, საინგილოში 53.000 ლარის ღირებულების სახელმძღვანელოები (ალგებრა, გეომეტრია, ფიზიკა) გაგზავნა. სამწუხაროდ, ამ ჩამონათვალში არ იყო საქართველოს ისტორია, გეოგრაფია, ვინაიდან, აზერბაიჯანის ხელისუფლებას ეროვნული ცნობიერების გამაღვივებელი ლიტერატურის გავრცელების ეშინია, თუმცა თანამოძმეთათვის მეზობელი სახელმწიფოდან ანალოგიური ლიტერატურა დაუბრკოლებლად შემოდის. საინგილოში ქართული ჟურნალ-გაზეთები არ იყიდება. 2007 წელს აიკრძალა გაზეთ „სარკმლის“ საქართველოდან შეტანა (რედაქტორი ლ. ლაწუნაშვილი), რომელიც საზღვარგარეთ მცხოვრებ ქართველთა მოღვაწეობას აშუქებდა. მათ შორის საინგილოსიც. ამ დროს თბილისში გამომავალი აზერბაიჯანულ გაზეთ „გურჯისტანს“ კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო აფინანსებს. ქართულ-აზერბაიჯანული გაზეთი გამოდის მარნეულში. საზღვარზე ყველაფერი მოწმდება. განსაკუთრებული ყურადღება ექცევა ისტორიის წიგნებსა და რუკებს. იყო ასეთი შემთხვევა — საინგილოში საქართველოს ისტორიის 100 ცალი სახელმძღვანელოს შეტანა მებაჟეებმა არ დაუშვეს, ხოლო კახა ლომაიას მინისტრობისას ქართული წიგნების საზღვარზე გადატანის შემდეგ, საბაჟოს თანამშრომლები ტვირთს კახში გამოყვნენ და ჟურნალ-გაზეთებში ჩადებული ჯვრები და ხატები ამოიღეს.

2007 წელს მინისტრმა გია ნოდიამ მცირე რაოდენობის კლასგარეშე საკითხავი წიგნები ჩაიტანა. სკოლებში პოლიტიკური მოსაზრებებით, შეგნებულად, არ ისწავლება საქართველოს ისტორია და გეოგრაფია. 2009 წლის იანვრიდან კი ქართულ სკოლებში საქმის წარმოება აზერბაიჯანულ ენაზე მიმდინარეობს. ასეთ პირობებში საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ 2004 წელს, ორჯერ გაგზავნა მასწავლებლები: ლ. შაიშმელაშვილი, ნ. ბალანჩივაძე, ლ. სალაყაია, ლ. მწარიაშვილი, ქ. ბოტკოველი. მათ პედაგოგიურ პრაქტიკაში არსებული სიახლეები და გაკვეთილის წაყვანის ზოგადი მეთოდები უნდა დაენერგათ. ადგილობრივი უშიშროების სამსახურის მუშაკებმა მათ განუცხადეს, რომ თქვენგან ეროვნული ბაცილის შემოტანის საშიშროება არსებობსო და მუშაობაში ხელის შეშლის მიუხედავად 150, ხოლო 2005 წელს 230 მასწავლებლის გადამზადება მაინც მოხერხდა. სტატისტიკური მონაცემებით, 12 ქართულ სკოლაში 388 მასწავლებელი 2.400-მდე მოსწავლეს ასწავლის. 2006 წელს ფონდ „ღია საზოგადოება — საქართველოს“ ხელშეწყობით, ამ სკოლების ბიბლიოთეკებს 14.000 ლარის საბავშვო და პედაგოგიური პერიოდიკის ლიტერატურა გადაეცა. 2004-08 წლებში სკოლებისთვის მიწოდებულია 25. 500-მდე სახელმძღვანელო, თვალსაჩინოებები, საკანცელარიო ნივთები და 10 კომპიუტერი. მხოლოდ 2008 წელს გადაეცათ 5600-ზე მეტი დასახელების სახელმძღვანელო და მხატვრული ლიტერატურა, რამაც 45.000 ლარამდე შეადგინა.

აზერბაიჯანის მხარის ინიციატივით, ორმხრივი შეთანხმების საფუძველზე, აზერბაიჯანელებმა ქართულ ენაზე სახელმძღვანელოების მომზადება საკუთარი სასწავლო პროგრამების მიხედვით დაიწყეს. 1-4 დაწყებითი კლასების წიგნები ბაქოში იბეჭდება. ქართულისა და მათემატიკის წიგნებში ქართული სახელები აზერბაიჯანულითაა შეცვლილი. ეს იმას ნიშნავს, რომ მომავალ თაობას მშობლიური საგნები დამახინჯებულად მიეწოდება, რასაც სინამდვილესთან არავითარი კავშირი არ ექნება. აზერბაიჯანის ხელისუფლებამ შერეული სკოლები გაარემონტა და კეთილმოაწყო. ქართულ სოფლებში კი ახალ სკოლებს შეგნებულად არ აშენებს. მაგალითად, ალიბეგლოში, სადაც 600 კომლი ცხოვრობს, 1936 წელს აშენებულ სკოლას რემონტი არ ეღირსა, იატაკი ჩანგრეულია და კაპიტალურ შეკეთებას საჭიროებს. მეზობელ აზერბაიჯანულ სოფელ ალმალუში კი თანამედროვე სტანდარტების სკოლა ააშენეს. აზერბაიჯანის განათლების სამინისტროს ხელმძღვანელობა სკოლების რემონტს ქართველ კოლეგებს ყოველწლიურად პირდება, მაგრამ რეალური ძვრები არ ჩანს. ასევე, რამდენიმე წელია, ქართული მოსახლეობა ითხოვს ქართული სკოლების ცალკე გამოყოფას. ამის თაობაზე, აზერბაიჯანის განათლების მინისტრმა უპასუხა — საკითხის მოსაგვარებლად საჭირო იყო მისთვის მოსახლეობას წერილობით მიემართა, მაგრამ პასუხი არ ჩანს. ამავე სამინისტრომ ქართველ კოლეგებს უარი უთხრა ეროვნული სასწავლო გეგმების ჩატანაზეც, თუმცა საკითხი შეთანხმებული იყო, მაგრამ გასაგზავნი ლიტერატურის სიიდან რამდენიმე დღით ადრე ამოაღებინა.

2008 წელს, ზაქათალის რაიონის სოფელ ალიაბადის სკოლაში დაფიქსირდა ადგილობრივი ხელისუფლების მხრიდან ქართული მოსახლეობის შეზღუდვა. რაიონის გამგებელი ასით ასკეროვი არ მოერიდა განათლების მინისტრ გ. ნოდიას ვიზიტსაც. მან ბავშვებს შეხვედრაზე მისვლა აუკრძალა და სკოლიდან გარიცხვით დაემუქრა, რის შესახებაც ბავშვებმა ქართულ დელეგაციას გზაზე დახვედრისას უთხრეს. ამ შეხვედრაზე ინციდენტიც მოხდა, ვინაიდან დამსწრე უცხო პირები არაკეთილმოსურნეობით გამოირჩეოდნენ და შეეცადნენ ქართული დელეგაციის მიერ პედაგოგებისა და ბავშვებისთვის გადაცემული წიგნების წართმევას. ქართველი მასწავლებლის კითხვას, თუ რატომ ვერ ხერხდება სრული საშუალო ქართულენოვანი სკოლის დაფუძნება, უცხო დამსწრეთაგან აგრესიული შეფასებები მოჰყვა. შეხვედრის ჩაშლის მიზნით, ორმა პირმა განაცხადა, რომ ისინი ინგილოები იყვნენ და არა ქართველები. აქვე, ქართულმა დელეგაციამ მკვეთრი განცხადებები გააკეთა ჩატანილი „მსოფლიო ისტორიის ენციკლოპედიის“ ჩამორთმევის ფაქტთან დაკავშირებით. შეხვედრის დამთავრების შემდეგ, მინისტრი გ. ნოდია გაესაუბრა შემოპარულ ორ მოსწავლე გოგონას, რომლებმაც ეროვნულ გამოცდებზე გასვლის სურვილი გამოთქვეს. მათ მინისტრი, ჩაბარების შემთხვევაში, სახელმწიფო დაფინანსებას დაპირდა. ამან ადგილობრივი საკრებულოს წევრის უარყოფითი დამოკიდებულება გამოიწვია და უპასუხა: „ნუ აძალებთ თქვენთან ჩაბარებას“. მასწავლებლებიც დაშინებულნი არიან, რადგან მათ ქართულად ლაპარაკს უშლიან და სკოლის დაკეტვით ემუქრებიან; ამიტომ ჟურნალისტებთან გასაუბრებასაც ერიდებიან.

ალიაბადის პირველი საშუალო სკოლის ფიზიკა-მათემატიკის მასწავლებელი მზია იმერლიშვილი ამბობს: **„ჩვენთან ყველაზე გამოკვეთილი პრობლემა ქართული ენის შენარჩუნებაა. ადგილობრივ ადმინისტრაციაში ზოგიერთი ადამიანი ძალაუფლებას თავის სასარგებლოდ იყენებს და ჩვენ გვზღუდავს. მიზეზად კი ასახელებს ალიაბადში ქართული ენის გაძლიერების საშიშროებას. მე კი, როგორც პედაგოგს, სურვილი მაქვს, ჩემმა მოწაფეებმა ქართული კულტურა, მეცნიერება ისწავლონ და შეიმეცნონ. კახის რაიონში ზაქათალასთან შედარებით, ქართული ენისა და კულტურის შესანარჩუნებლად უკეთესი პირობებია. ვფიქრობ, ეს იქ მცხოვრებთა გამბედაობის შედეგია. ვისურვებდი, რომ ალიაბადშიც შიში ერთხელ და სამუდამოდ დაეძლიათ“.**

ეროვნულმა გამოცდებმა საინგილოს ქართველების მდგომარეობა კიდევ უფრო დაამძიმა. 2009 წელს გაუქმდა არსებული მოსამზადებელი განყოფილება, რომელიც აბიტურიენტებს კვალიფიციურ დახმარებას უწევდა. ამჟამად საინგილოში ნასწავლი პროგრამით, საქართველოში ეროვნული გამოცდების ჩაბარება შეუძლებელი გახდა და ქართულ უმაღლეს სასწავლებლებში მხოლოდ რამდენიმე ათეული ახალგაზრდა ძლივს ჩაირიცხა. სამაგიეროდ, ბაქოში უმაღლესდამთავრებულებისთვის სამსახური გარანტირებულია.

დასასრული მე-14 გვერდზე

საინგილო გუშინ, დღეს... მაგრამ ხვალ?!

თეატრის დამაარსებელი ანზორ დოლენჯაშვილი

მე-13 გვერდიდან

კულტურის სფეროშიც პრობლემებია

ათიოდე წლის წინ, საქართველოს სახელმწიფო კანცელარიის ეროვნებათაშორისი ურთიერთობის განყოფილება იტყობინებოდა, რომ კახში ქართველთა სათვისტომოს ფილიალი ფუნქციონირებდა. ლაპარაკი იყო კულტურის ცენტრის გახსნაზე, რასაც ადგილობრივი მმართველობა ეწინააღმდეგებოდა, ვინაიდან ქართული კულტურის პროპაგანდის კერის გადაქცევის საშიშროებად მიიჩნევდა. ამიტომ მოსახლეობას მუსიკალური სკოლის გახსნას სთავაზობდნენ, თუმცა საინტერესოა, ორივე დაწესებულების ერთდროულად არსებობა რატომ იყო შეუძლებელი? 2001 წელს კულტურის ცენტრი ამოქმედდა, მუსიკალური სკოლა კი არ გახსნილა.

საინგილოს ქართველობას მხოლოდ კულტურული თვითმყოფადობის შენარჩუნება უნდა. ათი წლის წინ, საქართველოს ხელისუფლებამ, კერძოდ, კულტურის სამინისტრომ საინგილოს თეატრი გაწირა. მისთვის განკუთვნილი თანხები სხვა მიმართულებით დახარჯა და თეატრი დასაღუპად გაიმეტა. მისი ხელმძღვანელი ანზორ დოლენჯაშვილი კი პასუხისგებაში მისცა.

ჩემთვის ეს ამბავი განსაკუთრებით მტკივნეულია, ვინაიდან სახალხო თეატრის გახსნას ვესწრებოდი და ის დიდი სიხარულიც განვიცადე, რომლითაც ამ ფაქტს მოსახლეობა შეხვდა. მაშინ სცენაზე ქართული ენის ამეტყველებას განსაკუთრებული პოლიტიკური და ეროვნული მნიშვნელობა ჰქონდა. ამაში დიდი წვლილი საქართველოს თეატრალურ საზოგადოებას მიუძღვის, რომელიც თეატრის ხელმძღვანელს ხელფასს უხდიდა. საქართველოს კულტურის სამინისტრო თეატრს ყოველწლიურად 40-45 ათასი ლარით აფინანსებდა, რაც სახელმწიფო თეატრის სტატუსის მინიჭების შემდეგ შეწყდა. სამწუხაროდ, საქართველოს კულტურის სამინისტროს 1999 წლის ბიუჯეტით გამოყოფილი 32.000 ლარი საინგილოს თეატრისთვის ვერ გაიცა, თუმცა უამრავი თანხა სხვა მიზნებისთვის დაიხარჯა.

საინგილოს ქართული თეატრი, მისი დამაარსებლის, ანზორ დოლენჯაშვილის წამოსვლის შემდეგ, დახურვის პირას მივიდა. საქართველოდან წარგზავნილ რეჟისორებს: იგორ საბოს, დათო მაცხონაშვილს, იმჟამინდელი კულტურის სახლის დირექტორი ოფელია ანდრიაშვილი დარბაზში არ უშვებდა. 1999 წლის ბოლოს თეატრის დირექტორად და სამხატვრო ხელმძღვანელად ადგილობრივი კადრი ლეონტი შიოშვილი დაინიშნა, რომელსაც ადგილობრივი ხელისუფლება ავიწროებდა საქართველოს მოქალაქეობისა და ადგილზე ჩაუწერლობის გამო. ერთი წლის შემდეგ ამ თანამდებობაზე დომენტი ბარიხაშვილი დაინიშნა, რომელმაც ერთი წელი გაძლო. მის შემდეგ თეატრის მუშაობა შეჩერდა. 2005 წლის იანვარში კახის რაიონის სოფელ ალიბეგლოს ი. ჭავჭავაძის სახელობის ქართულ სახალხო თეატრს სახელმწიფო სტატუსი მხოლოდ იმ პირობით მიენიჭა, რომ თბილისში აზერბაიჯანული სახელმწიფო დრამატული თეატრი უნდა შექმნილიყო. თანაც ი. ჭავჭავაძის სახელი მოიხსნა და თეატრს ოფიციალურად ეწოდა — კახის რაიონის სოფელ ალიბეგლოს ქართული სახელმწიფო დრამატული თეატრი. შტატით განსაზღვრულ 37 თანამშრომლიდან მსახიობი მხოლოდ 12-ია. წლიური ბიუჯეტი 56.000 მანათს შეადგენს, მსახიობის ხელფასი 100 აზერბაიჯანული მანათით განისაზღვრება, რაც 200 ლარის ეკვივალენტია. ეს მხოლოდ სახელფასო ფონდია და სადადგმო ხარჯები გათვალისწინებული არ არის. სპექტაკლის დადგმა კი საშუალოდ, 250-300 მანათი ჯდება. ამასთანავე, თეატრმა ხაზინაში წლიურად 7000 მანათი უნდა შეიტანოს, რაც გაჭირვებით გროვდება. სეზონში თეატრმა 2 პრემიერა უნდა დადგას. წარმოდგენები ალიბეგლოსა და სხვა სოფლებში თვეში ორჯერ იმართება. ამასთანავე, ქართულ სოფლებში კულტურის სახლები დანგრეულია და იქ სპექტაკლების გამართვა პრაქტიკულად შეუძლებელია. თანაც, თეატრს ავტობუსი არ ჰყავს და მსახიობებს საკუთარი მანქანებით უხდებათ მგზავრობაცა და დეკორაციების გადატანაც. სამწუხაროდ, ბალანსი აქაც დაირღვა. წესით, იგი აზერბაიჯანული მოსახლეობით დასახლებულ მარნეულში უნდა გაეხსნათ. თბილისის თეატრისა და კინოს უნივერსიტეტში სპეციალურად 13-კაციანი აზერბაიჯანული ჯგუფი გაიხსნა. 2002 წელს ჯგუფმა უმაღლესი განათლება მიიღო, ხოლო 2004 წლის 11 ივლისს პირველი სეზონი გაიხსნა. თეატრს ცნობილი რეჟისორი, გოჩა კაპანაძე ჩაუდგა სათავეში. თეატრის წლიური ბიუჯეტი 130.000 ლარია, მსახიობთა ხელფასი 200 ლარს შეადგენს. გასულ სეზონში თეატრმა 5 პრემიერა გამართა. სამწუხაროდ, არავინ ფიქრობს საინგილოს თეატრისთვის პროფესიონალ მსახიობთა აღზრდას.

სახელმწიფო თეატრის შექმნის შემდეგ, ადგილობრივმა კულტურის განყოფილებამ ახალი ხელმძღვანელობა დასის მოთხოვნათა გაუთვალისწინებლად დანიშნა. რეპერტუარის სისუსტის გამო, თეატრმა მაყურებელი დაკარგა. პროტესტის ნიშნად, მსახიობებმა 2005 წლის ივლისში თეატრის ხელმძღვანელის, ოფელია ანდრიაშვილის კაბინეტის კარი აჭედეს, აქციები გამართეს. მოგვიანებით კი თეატრიდან წავიდნენ. მოთხოვნა ასეთი იყო: საქართველოს კულტურის სამინისტროს წარმომადგენლებმა, აზერბაიჯანელ კოლეგებთან ერთად, ჯეროვანი ყურადღება მიაქციონ ქართული კულტურის კერებს; მომზადდეს პროფესიონალ მსახიობთა და რეჟისორთა ჯგუფი.

თეატრში შექმნილი კონფლიქტური ვითარების გამო, დასის 14-მა წევრმა, ქართული პრესით, საქართველოს პრეზიდენტს მიხეილ სააკაშვილს მიმართა. კონფლიქტის განსამუხტად მსახიობებმა აქციები შეწყვიტეს. სამართლის საძებნად თბილისში ჩამოსული დასის წევრები საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროს მაღალჩინოსნებმა დააიმედეს, რომ 2005 წლის სექტემბერში საკითხის

სცენა სპექტაკლიდან „ალაზანს აქეთ“

დეტალურად შესასწავლად სპეციალისტებს გამოგზავნიდნენ. სამწუხაროდ, ეს დაპირებაც ფუჭი აღმოჩნდა... ო. ანდრიაშვილი დირექტორად 2008 წლის ზაფხულამდე დარჩა. ამჟამად, თეატრის დირექტორია ზიტა ხალილოვა, მთავარი რეჟისორი კი, თეატრის ყოფილი მსახიობი, ვალიკო მალუმაშვილი. დასში ძველ მსახიობთაგან მხოლოდ ოთხია, დანარჩენი გამოუცდელი სცენისმოყვარენი არიან, ამიტომ ყოფილ გამოცდილ მსახიობთათვის შტატები აღარ არის. კახის ადმინისტრაცია 2009 წლის გაზაფხულზე მსახიობებს ხელშეკრულებებს არ უფორმებდა, ვიდრე ბაქოდან ნებართვა არ მოვიდა. რეპერტუარში ორი სპექტაკლია: ნ. ნაკაშიძის „ვინ არის დამნაშავე?“ (რეჟ. ლ. შიოშვილი) და აღდგენილ იქნა ლ. თაბუკაშვილის „მაგრამ უფლება არ მოუცია“ (რეჟ. ა. დოლენჯაშვილი). თეატრში სერიოზული პრობლემებია. საჭიროა კოსტუმები, სცენის ჩაცმულობა, შესაცვლელია განათების სისტემა, დარბაზის სკამები, მუსიკალური გაფორმებისთვის მუსიკალურ ცენტრს იყენებენ. თეატრი კულტურის სახლშია განთავსებული და კაპიტალურ რემონტს საჭიროებს. ქართულ თეატრს აიძულებდნენ სპექტაკლის აზერბაიჯანულ ენაზე დადგმას. ზეწოლა შეწყდა 2009 წლის მარტში დიასპორის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის, იულონ გაგოშიძის ალიბეგლოში ჩასვლის შემდეგ.

საინტერესოა ისიც, რომ კახში 1985-90 წლებში ისაკო ზეინალაშვილის მიერ დაარსებული თოჯინების სახალხო თეატრში წარმოდგენები ქართულ და აზერბაიჯანულ ენებზე იდგმებოდა. გასული საუკუნის 90-იან წლებში სახელმწიფო სტატუსის მიღების შემდეგ თეატრი აზერბაიჯანულენოვანი გახდა.

2001 წლის 7 მასის ორივე ქვეყნის კულტურის მინისტრებმა ს. გოგიბერიძემ და ფ. ბულ-ბულ ოღლიმ საზეიმოდ გახსნეს ქართული კულტურის ცენტი, რაც ფიქცია აღმოჩნდა. შტატები დღემდე დამტკიცებული არ არის, არც დირექტორის ბეჭედი და შტამპია რეგისტრაციაში გატარებული. ეს პოლიტიკური წინაღობა ვერც პირველმა დირექტორმა შენგელი ქიტიაშვილმა და ვერც მისმა შემცვლელმა გივი ნადირაშვილმა ვერ გადალახა. ეს შენობა კომუნისტურ ეპოქაში კოლმეურნეობას ეკუთვნოდა, რომლის დაშლის შემდეგ, მოსახლეობამ 2000 წელს კულტურის ცენტრის გახსნა გადაწყვიტა. ჩანს, მისი საქმიანობა ადგილობრივ ხელისუფლებას არ აწყობდა და 2009 წლის 5 ოქტომბერს, დილის ოთხის ნახევარზე, შენობა გაურკვეველი მიზეზებით დაიწვა.

აზერბაიჯანში პოპულარობით არსებობდა ფოლკლორული ანსამბლი „შვიდკაცა“, რომელიც, სამწუხაროდ, ანსამბლის წევრთა უთანხმოებასა და მავანთა ამბიციურობას შეეწირა. ამჟამად ქართული ხალხური სიმღერის ერთადერთი ანსამბლი „ლაზარე“, ძირითადად, კახის წმ. გიორგის სახელობის ეკლესიის მგალობელთა გუნდს წარმოადგენს, რომელიც მოსახლეობას ეროვნულ სულისკვეთებას უნარჩუნებს, თუმცა ოფიციალურ სტატუსს მას არც საქართველო და არც აზერბაიჯანი არ აძლევს, რის გამოც ანსამბლი არაერთი დილემის წინაშე დგება. სახელმწიფოს მხრიდან ზრუნვამოკლებულ ანსამბლს, ყურადღება გამომცემლობა „არტანუჯის“ ხელმძღვანელმა ბუბა კუდავამ, აგრეთვე გიორგი კალანდიამ, დათო შალამბერიძემ, ბესო გაფრინდაშვილმა მიაქციეს და „ლაზარეს“ მომღერლები ქართულ ჩოხებში გამოაწყვეს.

აზერბაიჯანის ხელისუფლების ასეთი დამოკიდებულების მიუხედავად, თბილისში გაიხსნა აზერბაიჯანული კულტურის ცენტრი, სახელმწიფო თეატრი, დიდი ხანია მოქმედებს მირზა-ფათალი ახუნდოვის სახლ-მუზეუმი. ეს, რა თქმა უნდა, მისასალმებელია, ოღონდაც თვისტომთა დავიწყებაც არ ვარგა. სამწუხაროდ, ორივე სახელმწიფომ ვერ მოახერხა მთაწმინდაზე დაკრძალული ამ კუთხის შვილის, ცნობილი მწერლის, მეცნიერისა და საზოგადო მოღვაწის, მოსე ჯანაშვილის სახელის კახის საშუალო სკოლისთვის მინიჭება. უფრო მეტიც, მის აბრაზე არ ფიგურირებს ქართული სკოლის სტატუსი და კახ-ინგილოს საშუალო სკოლად იწოდება. საინგილოს არავითარ ყურადღებას არ აქცევს ბაქოში არსებული ქართული სათვისტომო, რომელიც ერთხელაც არ დაინტერესებულა არსებული პრობლემებით.

გაგრძელება შემდეგ ნომერში

სპექტაკლ „ბერბიჭების“ პრემიერის შემდეგ

თეატრის დასი

მედპერსონალი „ადითის“ წინააღმდეგ

1 მაისს, ჩოხატაურის საავადმყოფო, მედპერსონალის გაფიცვის გამო, პარალიზებული იყო. ექიმებმა „ქართული ოცნების“ ოფისთან აქცია გამართეს და „ადითთან“ ურთიერთობაზე უარი თქვეს. მათ 5 თვის აუღებელი ხელფასის გადახდა, სახელმწიფოს მხრიდან შპს „ადითთან“ დადებული ხელშეკრულების გაუქმება და იმ პირების დასჯა მოითხოვეს, ვინც მუნიციპალიტეტში არსებული ერთადერთი საავადმყოფო ერთ ლარად გაყიდა და პერსონალს სამი წელია მონურ პირობებში ამუშავებს. აქციას მოსახლეობაც შეუერთდა. მოქალაქეები ამბობენ, რომ ხელისუფლებამ სასწრაფოდ უნდა მოახდინოს რეაგირება, რათა პრობლემა დაუყოვნებლივ მოგვარდეს.

გაფიცული პერსონალის მოთხოვნების გასაცნობად, ადგილზე მივიდა პოლიტიკური პარტია „ქართული ოცნების“ ჩოხატაურის ორგანიზაციის ხელმძღვანელი ირაკლი კუჭავა, რომელმაც აღნიშნა, რომ პრობლემის მოსაგვარებლად, ერთი კვირაა, ცენტრალურ ოფისთან აქტიური მოლაპარაკებები მიმდინარეობს.

აქცია ლანჩხუთის მედპერსონალმაც დაგეგმა, მაგრამ შემდეგ გაფიცვა გადაიფიქრეს, რადგან მათ ხელფასის ჩარიცხვის პირობა მიიღეს. **„აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულზე ინტელიგენცია ცუდ დღეში აღმოვჩნდით. დღემდე ხელფასები არ დაგვერიცხა. მიუხედავად იმისა, რომ დაპირება ყველა ინსტანციიდან მივიღეთ. ჩვენ წინასწარ გავაფრთხილეთ ყველა, რომ ვაპირებდით გაფიცვას, რაც მოქალაქეების კონსტიტუციური უფლებაა, მაგრამ მივიღეთ სამინისტროდან ცნობა, თუ წახვალთ, გაგათავისუფლებთ სამსახურიდანო. უშუალოდ, მინისტრისგან არ მოდის ეს ინფორმაცია“,** — აცხადებს საავადმყოფოს მედპერსონალი.

ვითარებაში გასარკვევად, ჯანდაცვის მინისტრის მრჩეველს სადაზღვევო საკითხებში, **ლაშა ნიკოლაძეს** დავუკავშირდით.

— ეს არასწორი ინფორმაციაა. ჯანდაცვის სამინისტრო როგორ გაათავისუფლებს კერძო კლინიკის მედპერსონალს სამსახურიდან? „ადითის“ ინვესტორი ორი დღის წინ შეხვდა მინისტრს. დავით სერგეენკოს მოთხოვნა იყო — სახელფასო დავალიანება ბოლომდე გაესტუმრებინათ. ველოდებოდით, რომ აღდგომამდე, სრულად თუ არა, დავალიანების ნაწილს მაინც დაფარავდნენ. სწორედ ამას დაგვპირდნენ. გავიგე, რომ ლანჩხუთში გაფიცვა შეწყდა და ჩავთვალე, პრობლემა მოაგვარეს. გარკვეულწილად, სამინისტროს, როგორც მედიატორის როლი გამოიხატა იმაში, რომ კონკრეტულმა სადაზღვევოებმა გარკვეული თანხა ჩაურიცხეს „ადითს“, რისთვისაც კლინიკის უცხოელმა დამფუძნებელმა მადლობაც კი გადაუხადა სამინისტროს.

— დავით სერგეენკო „აიჰოპის“ წარმომადგენლებს შეხვდა?

— დიახ, ისინი მოსულები იყვნენ ეკონომიკის სამინისტროს წარმომადგენლებთან ერთად და პირველი და უპირობო მოთხოვნა იყო, სახელფასო დავალიანება გაესტუმრებინათ.

— ამ კომპანიას ხელშეკრულება გაუგრძელდა? ექიმები ამ ფაქტსაც აპროტესტებდნენ.

— არა, არ გაუგრძელდა. გიმეორებთ, მინისტრის პირველი და უპირობო მოთხოვნა იყო: ჯერ დაფარეთ სახელფასო დავალიანება.

1 მაისსვე ცნობილი გახდა, რომ მედპერსონალს ხელფასის მცირე ნაწილი დაერიცხა — ზოგმა 3 ლარი აიღო, ზოგმა — 5.

„ვაცნობიერებთ, რომ პასუხისმგებელნი ვართ პაციენტების წინაშე და ყველა გაფიცვას მაინც არ ვაპირებდით — აქციაზე მხოლოდ მედპერსონალის ნაწილი გავიდოდა, პარალელურ რეჟიმში კი აქ იმუშავებდა ბრიგადა, რომელიც შეძლებდა პაციენტების მიღებასა და გადაყვანას სხვა სტაციონარში. მივიღეთ ინფორმაცია, რომ მომდევნო ორ დღეში დაიწყება 2 თვის დავალიანების დაფარვა. არ ვაპირებთ მუშაობის შეწყვეტას, მაგრამ თუ პირობას არ შეასრულებენ, ვიბრძოლებთ ბოლომდე, რათა სამართლებრივი გზით მივაღწიოთ შედეგს“, — აცხადებს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის „ადითის“ მედპერსონალი.

„გურიანიუსი“

ოზურგეთში ქურდობა გახშირდა

აპრილში ოზურგეთში გახშირდა ძარცვის, ოჯახებში შეპარვისა და სხვადასხვა ნივთების გატანის ფაქტები.

სოფელ ცხემლისხიდში ერთ-ერთი ოჯახიდან არყის სახდელი ქვაბი და სხვა საოჯახო ნივთები მოიპარეს, სოფელ ხვარბეთში კი ჯორბენაძის ოჯახიდან მოიპარეს ოქროს ნივთები;

წულაძის ქუჩაზე მდებარე აფთიაქ „კარიბჭის“ მეორე სართულიდან, სადაც სამუშაო ოთახია, მოიპარეს 700 ლარი და პირადი ნივთები.

გაბრიელ ეპისკოპოსის ქუჩაზე მდებარე სტუდენტურ-ახალგაზრდული ოფისიდან მოიპარეს ოფისის კუთვნილი ველოსიპედი.

აპრილში დაფიქსირდა ოზურგეთის ერთ-ერთ ქუჩაზე მოხუცი ცოლ-ქმრის გაქურდვის ფაქტიც და აღნიშნული საქმეები გაუხსნელია.

ოზურგეთის მკვიდრები აცხადებენ, რომ პოლიცია ხშირად ამოწმებს პატიმრობიდან გათავისუფლებულ მოქალაქეებს, პარალელურად ახალგაზრდებს ნარკოლოგიურ შემოწმებას უტარებენ.

ინფორმაცია შსს ოზურგეთის რაიონული სამმართველოს უფროსთან, ირაკლი შავიშვილთან გადავამოწმეთ.

— ბატონო ირაკლი, ქალაქის ცენტრში ერთ-ერთი ოფისიდან გატანილია 700 ლარი, სტუდენ-სათათბირო ორგანიზაციიდან ველოსიპედი. სოფლებში გახშირდა ქურდობა...

— ვერ ვიტყვი, რომ ქურდობა მასობრივად ხდება, მაგრამ ვმუშაობთ, რომ გავხსნათ დანაშაული.

— როგორც ვიცით, ქალაქის ერთ-ერთ ქუჩაზე მოხუცი ცოლ-ქმრის ძარცვის ფაქტიც გაუხსნელია...

— რაიმე თუ გაიხსნება, ამას აუცილებლად გაიგებს ყველა..

— იმაზე რას გვეტყვით, რომ ახალგაზრდების ნარკოტიკებზე შემოწმება ხდება მასშტაბურად?

— კი ბატონო. უნდა ვაკონტროლოთ აუცილებლად!

„გურიანიუსი“

„თქვენ ხალხი კი არა, „მეცოცხე ნაციონალები ხართ“

დაპირისპირება აქციის მონაწილეებსა და კობა დავითაშვილს შორის

ქუთაისში, პარლამენტის შენობასთან, 1 მაისს ადგილობრივმა მკვიდრმა ფირუზ ბერაძემ „ქართული ოცნების“ მაისური დაწვა. ბერაძე ამბობს, რომ „ქართული ოცნების“ მხარდამჭერი იყო, მაგრამ მიიღო გადაწყვეტილება, პარტიიდან გავიდეს და, შესაბამისად, „ქართული ოცნების“ ატრიბუტიკა დაწვას.

მისივე თქმით, პროტესტის ეს ფორმა იმიტომ აირჩია, რომ სამართლიანობის აღდგენას ვერ მიაღწია.

ბერაძე აცხადებს, რომ 2012 წელს, კერძო კომპანია „კავკასუს პროჯექტიდან“ უსამართლოდ გაათავისუფლეს. არაერთხელ მიმართა პარტიის მხარდამჭერებს, მაგრამ ყურადღებას არავინ აქცევს და მისი ოცნებები არ გამართლდა.

1 მაისს, პარლამენტის შენობასთან, აქცია იმ ადამიანებმაც მოაწყვეს, ვინც საკანონმდებლო ორგანოს თბილისში გადმოტანას ეწინააღმდეგება. აქცია სოციალურ ქსელში დაიგეგმა და მონაწილეები პარლამენტის ქუთაისში დატოვებას მოითხოვდნენ, წინააღმდეგ შემთხვევაში კი, პერმანენტული აქციების გამართვით იმუქრებოდნენ: **„ხშირად გავმართავთ აქციებს, რათა პარლამენტი დარჩეს ქუთაისში და ქუთაისს მიეცეს განვითარების საშუალება“.**

აქციის მსვლელობისას მონაწილეებსა და საპარლამენტო უმრავლესობის ერთ-ერთ ლიდერს, კობა დავითაშვილს შორის სიტყვიერი დაპირისპირებაც მოხდა. ინციდენტი მოჰყვა აქციის მონაწილეების მიმართ კობა დავითაშვილის რეპლიკას – „ვაი, თქვენს პატრონს, თქვე „ნაციონალებო“. აქციის მონაწილეებმა დავითაშვილის რეპლიკა გააპროტესტეს და მას პრორუსული პოლიტიკოსი უწოდეს. ამის შემდეგ კობა დავითაშვილმა განაცხადა, რომ მართლმსაჯულება აღსრულდება ყველას და, მით უმეტეს, ნაციონალური მოძრაობის მიმართ.

„სამარცხვინო ხალხი ხართ, გრცხვენოდეთ! ეს აქცია არა უბრალო მოქალაქეების, არამედ ნაციონალური მოძრაობის მიერაა დაგეგმილი. თქვენ ხალხი კი არა, ნაციონალური მოძრაობის აქტივისტები ხართ. ნაციონალური მოძრაობა 8 წელი ტანჯავდა საქართველოს. თქვენი დრო დასრულდა“, — აღნიშნა დავითაშვილმა და პარლამენტის წინ შეკრებილთ, „ბაჩო ახალაიები“, „არაადამიანები“ და „მეცოცხეები“ უწოდა.

აქციის მონაწილეების ნაწილმა დაადასტურა, რომ ისინი ნაციონალური მოძრაობის წევრები არიან: „მერე რა, რომ ნაციონალი ვარ, უნდა გამრიყოთ?“— ეს კითხვა დეპუტატს პარლამენტის შენობასთან შეკრებილებმა არაერთხელ დაუსვეს.

სიტყვიერი შეურაცხყოფისა და მცირე შეხლა-შემოხლის შემდეგ, აქცია დასრულდა. ორგანიზატორები პარლამენტის ქუთაისში დატოვების მოთხოვნით მიტინგებს მომავალშიც გამართავენ.

„გურიანიუსი“

ვერსიანიუსი

გურჯაანში სტიქიის შედეგების დამთვლელი კომისიის თავმჯდომარე და სამუშაო ჯგუფის წევრები დააკავეს

შინაგან საქმეთა სამინისტროს ცნობით, გურჯაანის რაიონული სამმართველოს თანამშრომლებმა, დანაშაულებრივი ჯგუფის წევრები: იორამ ო, ბესიკ ბ, და გიორგი დ. სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენების ბრალდებით დააკავეს.

სამინისტროს ინფორმაციით, გამოძიებამ დაადგინა, რომ გურჯაანის რაიონის სოფელ ჩუმლაყში, სტიქიის შედეგად მიყენებული ზარალის დამთვლელი კომისიის თავმჯდომარემ და სამუშაო ჯგუფის ორმა წევრმა კეთილსინდისიერად არ შეასრულეს მათზე დაკისრებული ვალდებულება, კერძოდ, არ შეისწავლეს კონკრეტული ნაკვეთების ოდენობა და დაზიანების ხარისხი: **„ისინი, პირადი გამორჩენის მიზნით, თავის ახლობლებსა და ასევე სხვა დაზარალებულ მოქალაქეებს გაურიგდნენ და ზარალის კომპენსაციის თანხები არამიზნობრივად განკარგეს. დანაშაულებრივი ჯგუფის სხვა წევრების დადგენა-დაკავების მიზნით მიმდინარეობს საგამოძიებო ღონისძიებები“.**

შს სამინისტროს ინფორმაციით, გამოძიება სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენების ფაქტზე მიმდინარეობს, რაც სსკ-ს 332-ე მუხლის 1 ნაწილით არის გათვალისწინებული და 3 წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

გამოძიებას შსს-ს კახეთის სამხარეო მთავარი სამმართველოს გურჯაანის რაიონული სამმართველო აწარმოებს.

„ინტერპრესნიუსი“

ჰოროსკოპი
3 მაისი

ვერძი — დღეს ერთ-ერთი მეგობრის საქციელი სასიამოვნოდ გაგაოცებთ. თქვენს ქცევაში კი ბევრი სიმსუბუქე და სპონტანურობა იგრძნობა, თუმცა მაინც ახერხებთ, ნებისმიერ წვრილმანს მიაქციოთ ყურადღება. შესაძლოა, კარგი ამბები შეიტყოთ ნათესავისგან, რაც თქვენს მომავალსა და ფინანსურ მდგომარეობაზე დადებით გავლენას იქონიებს.

კურო — დღეს შეგიძლიათ თანხა გააპროცენტოთ, თუკი საამისო დანაზოგი მოგეპოვებათ. თამამად წარმოაჩინეთ თქვენი ინიციატივა და იდეები კოლეგებსა და უფროსობასთან, საღამოს კი შეეცადეთ, კარგად დაისვენოთ, ძილის წინ ცხელი აბაზანა მიიღეთ და დაძაბულობა მოიხსენით.

ტყუპები — სერიოზული სამუშაოსა და გაბედული ჩანაფიქრების ასრულებისთვის ეს დღე საუკეთესოა. ტყუილის თქმა და თავის დაძვრენა არ გიშველით, ამით მხოლოდ საკუთარ თავს დააზარალებთ. გამოიჩინეთ თავშეკავება და აუცილებლად მოგეცემათ შესაძლებლობა, დასახულ მიზანს მიაღწიოთ. დღეს დიდია ალბათობა ახალი რომანტიკული კავშირისა.

კირჩხიბი — დღეს უფროსობასთან ურთიერთობაში სიბრძნე და გამძლეობა გამოავლინეთ. გულღია საუბარი დაგიბრუნებთ საკუთარი ძალების რწმენას. ფინანსისტებისთვის კი საკმაოდ კარგი დღეა.

ლომი — დღეს, შესაძლოა, გაუგებრობაში აღმოჩნდეთ, რაც თქვენგან ტაქტის გამოჩენასა და გამძლეობას მოითხოვს. ვერ მოახერხებთ უსიამოვნო, სერიოზული საუბრის თავიდან აცილებას, მაგრამ საღამო მეტ იდილიას გპირდებათ.

ქალწული — დღეს, შესაძლოა, ვალი დაგიბრუნონ ან ძვირფასი საჩუქარი მიიღოთ. ყურადღებით იყავით პარტნიორის არჩევისას. ურთიერთობა შეიძლება ხანმოკლე აღმოჩნდეს, მაგრამ მოვლენებს ნუ დააჩქარებთ — არ არის მაინცდამაინც სასიკეთო პერიოდი კარდინალური ცვლილებებისთვის, თუმცა წარმატებული დღეა შემოქმედებითი პროფესიის მქონე ადამიანებისთვის.

სასწორი — დღეს შესაძლოა ცვლილებები სამსახურში. არ არის გამორიცხული, ვიღაცამ არასწორად შეაფასოს თქვენი საქმიანი აქტიურობა და ზედმეტად თავდაჯერებულად ჩაგთვალოთ. მოსალოდნელია მატერიალური სირთულეები, თუმცა ამ მცირე უსიამოვნებას, გავლენიან ადამიანებთან შეხვედრა გადაფარავს.

ღრიანკალი — დღეს განსაკუთრებით ორგანიზებული და ყურადღებიანი უნდა იყოთ, რათა მნიშვნელოვანი სამუშაო შეასრულოთ. შესაძლოა, თქვენს პარტნიორებზე გახდეთ დამოკიდებული. ხანმოკლე სამსახურებრივმა რომანმა კი, შესაძლოა, დღეს კოლეგებისა და უფროსობის მხრიდან თქვენს მიმართ ზიზღი გამოიწვიოს. ფრთხილად იყავით ავტომობილის მართვისას.

მშვილდოსანი — სავარაუდოა, რომ მშვილდოსნებისთვის დღე კონფლიქტით დაიწყოს, ამიტომ ემოციები მოთოკეთ და სამსახურში განსაკუთრებით თავაზიანი იყავით კოლეგების მიმართ. დღეს თუ სამკურნალო პრეპარატები დაგჭირდათ, ყურადღება მიაქციეთ ვადას და თავი შეიკავეთ მძიმე საკვებისგანაც.

თხის რქა — ამ ნიშნის წარმომადგენლები დღეს ისარგებლებენ სიტუაციით და საქმეში წარმატებასაც მიაღწევენ. პირად ცხოვრებაში შესანიშნავი პერსპექტივა გეხსნებათ, თუკი ურთიერთობის ინტელექტუალური მეთოდები მოგწონთ. შესაძლოა, ასევე, პატარა პრობლემები საქმიან პარტნიორებთან ურთიერთობაში.

მერწყული — კარგი დღეა ფინანსური ოპერაციებისა და კარიერაში წინ წაწევისთვის. დიდია ალბათობა გავლენიან ადამიანებთან შეხვედრისა. დღის მეორე ნახევარში ცოტა მოეშვით და თავს დასვენების უფლება მიეცით. შეგიძლიათ, თეატრში ან კინოში წახვიდეთ ან დრო მყუდროდ, ოჯახურ წრეში გაატაროთ.

თევზები — თევზებისთვის აქტიური, შემოქმედებითი დღეა. კარგად წავა საქმეები ბირჟაზე, მაგრამ ყოველი შემთხვევისთვის, თავი აარიდეთ მემკვიდრეობის საკითხებს. დღე საკუთარ თავს კი არა, საყვარელ ადამიანს მიუძღვენით, მშვიდ გარემოში დროის გატარება ძალიან სასარგებლო იქნება.

ერის ნათელი მომავალი ეკლესია-მონასტრების მშენებლობაშია, მიიღეთ მონაწილეობა წმიდა ანდრია პირველწოდებულის მონასტრის მშენებლობაში. უფალი შეგეწევათ. ბედნიერი ადამიანი - მორწმუნე ადამიანია.

რომ გწამდეს - უნდა დაიჯერო, რომ გჯეროდეს - უნდა გინდოდეს, მადლი რომ მოიპოვო - უნდა გსურდეს. ქართველნო ერთად ღვთისაკენ.

ღმერთმა დაგლოცოთ და გაგაძლიეროთ

შენდემა ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის „ყოველთა დედოფლის – პანტანასას“ სახელობის დედათა მონასტერი „ყოველთა დედოფლის სავანე“

„ყოველთა დედოფალი პანტანასას“ ღვთისმშობელი ცნობილია, როგორც ონკოლოგიურ ავადმყოფთა შემწე. სამწუხაროდ, საქართველოში გაიზარდა ამ სენით დაავადებულ ავადმყოფთა რაოდენობა. მრევლისა და ონკოლოგიურ დაავადებათა რესპუბლიკური ცენტრის ექიმებისა და პაციენტების თხოვნით, ათონის წმ. მთაზე, ვატობედის მონასტერში, სადაც დაბრძანებულია ხატის ორიგინალი, შეიქმნა მისი ასლი, რომელიც 2003 წელს ჩამობრძანდა ავჭალის წმ. ქეთევან წამებულის ეკლესიაში. კვირაში 2-ჯერ: ოთხშაბათს და პარასკევს, დღის 2 საათზე, აღევლინება ჯანმრთელობის პარაკლისი და უსასყიდლოდ გაიცემა საკურნებელი ზეთი ღვთისმშობლის კანდელიდან. ხატთან დღემდე აღესრულება სასწაულები. მრავალი ადამიანი განიკურნა, მრავალთა ავადმყოფობამ პროგრესირება შეწყვიტა.

გთხოვთ, თქვენი წვლილი შეიტანოთ მონასტრის მშენებლობაში და დარეკოთ: დერეკეთ: ჯეოსელის აბონენტებმა — 700311; მაგთის აბონენტებმა — 200351; ბილაინის აბონენტებმა — 700311

ზარის ღირებულება 1 ლარი

ავჭალის წმ. ქეთევან წამებულის ეკლესია. სს „საქართველოს ბანკი“ ცენტრ. ფილ. ბანკის კოდი 220101502 ეროვნულ ვალუტაში ა/ა 000700205 . გიორგი რაზმაძე (წინამძღვარი) . სს „სტანდარტ ბანკი“ კოდი: 220101945 ეროვნულ ვალუტაში ა/ნ 1123598

უფალმა შეგიწიროთ. პანტანასას ღვთისმშობელმა დაგლოცოთ!

ჰოროსკოპი
4 მაისი

ვერძი — დღეს ნათქვამ თითოეულ სიტყვას დიდი მნიშვნელობა ენიჭება, ამიტომ მიაქციეთ ყურადღება, რას ლაპარაკობთ. სატელეფონო საუბრებს გადამწყვეტი მნიშვნელობა ექნება. კვლავ წამოიჭრება უძრავ ქონებასთან დაკავშირებული საკითხები. საცხოვრებელი ადგილის შეცვლის თემა კი ძალიან აქტუალური გახდება.

კურო — არ არის გამორიცხული, დღეს კოლეგებმა და ხელმძღვანელობამ არასწორად გაგიგონ. ამიტომ სჯობს, თავშეკავება გამოიჩინოთ ყველა საკამათო საკითხში და თქვენი სწორი შეხედულებები კოლეგებს სხვა დროს გაუზიაროთ. ამ ნიშნის წარმომადგენლებს ეს დღე პარტნიორებთან თანხმობის მიღწევასა და სულიერი სიმშვიდის მოპოვებას ჰპირდება.

ტყუპები — ტყუპებისთვის დღე, შესაძლოა, უსიამოვნებებით დაიწყოს, ამიტომ მოთმინება გამოიჩინეთ, რათა თავი აარიდოთ კონფლიქტებს ახლობლებსა და ხელქვეითებთან. დღეს შეგიძლიათ ბევრი იფანტაზიოროთ, ეს ხელს ვერ შეგიშლით, დაწყებული საქმის ბოლომდე მიყვანაში. არის ალბათობა, მოულოდნელად პრემია ან რაიმე დაუგეგმავი შემოსავალიც მიიღოთ.

კირჩხიბი — ამ ნიშნის წარმომადგენლებისთვის დღე, მთლიანობაში, სასიკეთოა. თუ კარგად იშრომებთ, შედეგსაც სასურველს მოიმკით. დაწყებული საქმეების მოგვარებაში აუცილებლად დაგეხმარებათ ახლობლების ან მეგობრების რეკომენდაციები თუ რჩევები. ნუ მოეშვებით. მთელი დღის განმავლობაში, ყურადღებით იყავით, რადგან გახსნილი გონება და თავისუფალი აზროვნება დაგჭირდებათ.

ლომი — დღე წარმატებას გიქადით სიყვარულში. კარგი დროა ასევე კულტურულ ღონისძიებებზე, წვეულებებზე წასასვლელად. ბევრმა ლომმა, შესაძლოა, პრემია ან ჰონორარი მიიღოს. დღეს განსაკუთრებით რომანტიკულ განწყობაზე ხართ და მოსაწყენი სამუშაოს შესრულება ძალიან გეზარებათ. დიდია ალბათობა რომანტიკული ნაცნობობისა შორიდან ჩამოსულ ადამიანთან.

ქალწული — დღე უფროსებთან კამათს გიქადით, მაგრამ მთლიანობაში, საკმაოდ ეფექტურად ჩაივლის, თუკი თქვენს პოტენციალს სწორად მიმართავთ და არც ფიზიკურ დატვირთვაზე იტყვით უარს. მიმდინარე საქმეები არც ისე რთული, მაგრამ შემოსავლიანი აღმოჩნდება. დღის მეორე ნახევარში ფრთხილად იყავით საყოფაცხოვრებო ტექნიკის მოხმარებისას, დიდია ტრავმების მიღების ალბათობა.

სასწორი — ამ ნიშნის წარმომადგენლებს დღეს ფინანსური დანაკარგების დღე აქვთ— ეს ყველაფერი კი ისევ თქვენი ზედმეტი თავდაჯერებულობის ბრალი იქნება. არ არის გამორიცხული, დღის მეორე ნახევარში სასიხარულო შეხვედრა შედგეს. ვარსკვლავები კი შეგახსენებენ, რომ ცალკე მცხოვრები ოჯახის წევრების მონახულებაც საჭიროა. საღამოს შესაძლოა, სტუმრებიც მიიღოთ.

ღრიანკალი — სამსახურში დღეს განსაკუთრებით ფრთხილი და ყურადღებიანი იყავით, ასევე თავაზიანობა და მომხიბვლელობა მოგეთხოვებათ. ნიშნის წარმომადგენლებს ვარსკვლავები აფრთხილებენ, ჯანმრთელობასაც უნდა მიაქციოთ დიდი ყურადღება, შეზღუდეთ დღევანდელ მენიუში მარილიანი და ცხიმიანი საკვები. დღის პირველ ნახევარში, შესაძლოა, დაგეგმილი შეხვედრები ჩაგეშალოთ.

მშვილდოსანი — მშვილდოსნებს დღეს მშვიდად და წყნარად ყოფნა მოეთხოვებათ. დიდია საკვებით მოწამვლის ალბათობა. სასიამოვნო და სასიხარულო კი უფროს ნათესავებთან ურთიერთობა აღმოჩნდება დღის მეორე ნახევარში მეგობრების სტუმრობას უნდა ელოდეთ. რაც შეეხება საქმეს, მეტი გამბედაობა გამოიჩინეთ ფინანსურ ოპერაციებში და სასურველი შედეგიც არ დააყოვნებს.

თხის რქა — დღეს დაგეგმილი მგზავრობა, შესაძლოა, არ შედგეს ობიექტური მიზეზების გამო. ფინანსურ ოპერაციებში მეტი სიფრთხილე გამოიჩინეთ. დღის მეორე ნახევარში შეეცადეთ, დრო ოჯახის პატარა წევრებისთვისაც გამონახოთ, ამით მათ ძალიან გაახარებთ.

მერწყული — დღეს განსაკუთრებით დაკავებული ხართ და არ გყოფნით დრო ურთიერთობებისთვის. მამაკაცები განსაკუთრებულ ნოვატორობასა და ორიგინალურობას გამოიჩენენ მშვენიერ სქესთან ურთიერთობაში. წარმატებული დღეა შემოქმედებითი მერწყულებისთვის. ფინანსების მხრივაც დღე საკმაოდ კარგად ჩაივლის. საღამოს კი შეეცადეთ, ახლო მეგობრებს შეეხმიანოთ ან ცოტა ხნით მაინც შეხვდეთ.

თევზები — შესანიშნავი დღეა შეხვედრებისა და პაემნებისთვის. სახლის საქმეებიც კარგად მიდის. რაც შეხება სამუშაოს, თავი შეიკავეთ ხელშეკრულებების გაფორმებისგან. კარგი დღეა შოპინგისთვის. გაიარეთ მაღაზიებში და მოულოდნელი საჩუქრით საყვარელი ადამიანი გაახარეთ. საღამო ოჯახურ კამპანიაში გაატარეთ, თუ გართობა გსურთ, მეგობრებთან ერთად, დისკოთეკაზე წადით.

სუდოკუ

ადვილი

	5	9		4		8	7	
2	8		9	1	6			
4								
3					1		9	
				5				
	4		3					8
								5
			4	9	5		6	1
	7	4		6		9	3	

სტანდარტი

							2	
4	7					3		8
3		9		4				
			4	3		9		
	5		1	9	8		3	
		3		5	6			
				7		2		3
7		2					8	6
	1							

რთული

		5	2			7		
	7			9			3	
3		1			5	4		
			5					
5	4						8	7
					8			
		4	3			6		9
	9			1			5	
		2			4	3		

ექსპერტი

	6	3			4	2		7
	2	4		1				
		7					1	
								6
	1	2	6		3	7	9	
7								
	8					5		
				9		8	3	
3		9	5			6	2	

1. როსტეანის ასული „ვეფხისტყაოსანში“
2. „წყალსადენი“ ხიდი
3. დიდი სათავსი ფქვილის შესანახად
4. ნაგვის ასაღები ნიჩაბი
5. აშშ-ის კონგრესის შენობა
6. ხელოვნების დარგი
7. შიშველი სხეულის კულტის თაყვანისმცემელი
8. მართლმსაჯულების ქალღმერთი
9. გამოუწყვავი აგური
10. ზუთხის ლორად გამოყვანილი გვერდი
11. ბანდერასის ნილბიანი კინოგმირი
12. ცხვირის ლორწოვანი გარსის ანთება
13. „ახალი“ ქალაქი იტალიაში
14. რამაზ ჩხიკვაძის ცნობილი როლი
15. დიდი ხვლიკი
16. მოხალული ფქვილის გულიანი ნამცხვარი
17. ზურგის ტვინის ანთება
18. იგივეა, რაც საჩუქარი
19. კოსოვოს დედაქალაქი
20. ვერდის ოპერა
21. ქვეყანა ევროპაში
22. კრემის ასათქვეფი ხელსაწყო
23. დამატებითი ტონი მუსიკაში
24. ბარონ მიუნჰაუზენის ლიტერატ. „ძაძა“
25. შემდგომში გადასახდ. დანახარჯი
26. ძველებური თოფი
27. მოავირის ფიგურული სვეტი
28. სუხიშვილების ანსამბლის ცეკვა
29. მონარქიულ სახელმწიფოთა კავშირი
30. კათოლიკეთა მღვდელი
31. მაიმუნი მულტფილმ „ალადინში“
32. ამერიკული თოვგინა
33. სადღესასწაულო ნამცხვარი
34. ძალიან იშვიათი ნივთი
35. სამოას დედაქალ.
36. ქიმ. ელემენტი
37. ტყავის ჭურჭელი ღვინისათვის
38. იგივეა, რაც მთამსვლელი
39. „ბითლზის“ წევრი ... მაკარტნი
40. სართულებზე ასასვლელი-ჩამოსასვლელი
41. პატარა ცხვირფართო მაიმუნი
42. დინჯი ტემპი მუსიკაში
43. მამალი ცხენი
44. ინდური კობრა
45. დამუხტული ატომი
46. ცხოველთა მეფე
47. იტალ. მომღერალი ტოტო ...
48. ბარსელონას ოპერის თეატრი
49. რუს. როკჯგუფი
50. თურქეთის ადმინისტრაციული ერთეული
51. თევზის ძვალი
52. არანამდვილი, მოჩვენებითი
53. წერილის მოძველებ. სახელწოდ.
54. ჭაობის მცენარე
55. საკონდიტრო ფხვნილი
56. რისამე მიღების უფლების საბუთი
57. ბტკიცეპირობა, აღთქმა
58. ბიბლ. იაკობის ტყუპისცალი
59. უნგრეთის ადმინისტრ. ერთეული
60. ფეხბ. ... კანტონა
61. ...-ვრეკო
62. მაგარმერქნიან მცენარეთა ზოგადი სახელწოდ.
63. ალუდას მიერ მოკლული ქისტი
64. მზის ღმერთი ინკების მითოლოგიაში
65. მასრჩობელა გველი
66. მატყლის ქსოვილი
67. ტბა ჩრდილო ამერიკაში
68. ძვ.ფრან. სიგრძის საზომი ერთეული

ადვილი

1	9	2	8	7	3	6	5	4
8	6	5	4	1	2	7	3	9
7	3	4	9	5	6	2	1	8
4	2	1	7	6	9	5	8	3
6	8	3	5	4	1	9	2	7
5	7	9	3	2	8	4	6	1
3	5	8	2	9	4	1	7	6
2	4	6	1	3	7	8	9	5
9	1	7	6	8	5	3	4	2

სტანდარტი

6	8	5	9	1	7	4	3	2
4	3	2	6	5	8	1	9	7
1	9	7	2	4	3	8	6	5
9	7	6	8	3	5	2	4	1
5	2	1	7	6	4	3	8	9
3	4	8	1	2	9	7	5	6
8	1	4	5	7	6	9	2	3
2	6	3	4	9	1	5	7	8
7	5	9	3	8	2	6	1	4

რთული

2	3	7	1	6	5	9	8	4
1	9	8	4	7	3	6	2	5
5	6	4	2	9	8	1	7	3
8	7	3	6	2	4	5	1	9
6	5	2	3	1	9	8	4	7
4	1	9	5	8	7	3	6	2
7	2	6	9	5	1	4	3	8
3	8	5	7	4	6	2	9	1
9	4	1	8	3	2	7	5	6

ექსპერტი

3	6	8	7	1	9	5	4	2
2	7	5	8	4	3	6	1	9
1	4	9	2	5	6	3	8	7
6	3	1	9	8	2	4	7	5
7	5	2	3	6	4	1	9	8
9	8	4	5	7	1	2	6	3
8	1	7	6	3	5	9	2	4
5	9	6	4	2	8	7	3	1
4	2	3	1	9	7	8	5	6

წინა ნომერში გასული სკანვორდისა და სუდოკუს პასუხები

მე-15 გვერდი: 1. „პროკრედიტბანკი“; 2. ილორი; 3. ჰააგა; 4. პეპინო; 5. ონიქსი; 6. როიალი; 7. კარდინალი; 8. ორი; 9. მარლა; 10. იპრიტი; 11. ომანი; 12. ლუსონი; 13. დროგი; 14. ზმნა; 15. სტევი; 16. „ტიიდა“; 17. ლოთობა; 18. მაკლაი; 19. ლომი; 20. ეზოპე; 21. ირი; 22. იოლი; 23. რენეტი; 24. კრეზი; 25. კითარა; 26. არული; 27. ოვიედო; 28. კაი; 29. ინთრონიზაცია; 30. კიი; 31. „ამსტელი“; 32. აიკიდო; 33. რეტუში; 34. იპონი; 35. სუთი; 36. აბატი; 37. ელია; 38. კარაიანი; 39. ამარუ; 40. უშუ; 41. ინა; 42. არტო; 43. არ; 44. მზია; 45. სიროკო; 46. აიზეკ; 47. სტეპი; 48. დინგო; 49. ამფორა; 50. ტროპარი; 51. ნანი; 52. „ავეო“; 53. სურათი; 54. ტლუ; 55. სლაიდი; 56. ასტრო; 57. სტაფილო; 58. სტატია; 59. ზავი; 60. სოსია; 61. ავე; 62. გოჯი; 63. კარავაი; 64. ბოი; 65. ივა; 66. ცაიტლუპა; 67. ირა; 68. არუე; 69. ნიორი; 70. ჯაიაპურა; 71. მნე; 72. ავარა; 73. ლოიალური; 74. ანი; 75. იო; 76. ტელეტაიპი; 77. ალაზანი; 78. მკათათვე; 79. ათა; 80. იდა; 81. ტონა; 82. ალური; 83. იზეო. სურათზე: კოსმონავტი.

მე-17 გვერდი: 1.მოკასინი; 2. ოკრიბა; 3. ანემია; 4. ილუმინატორი; 5. ოქტაგონი; 6. ქინძი; 7. აბატი; 8. ობამა; 9. არკეზუზა; 10. ერბო; 11. ძოწი; 12. ნირი; 13. ანდამატი; 14. ზურაბი; 15. ლომი; 16. ანალიზი; 17. ბეიძინი; 18. ატლანტა; 19. იგავი; 20. ინტუიცია; 21. ალმასი; 22. ანა; 23. ნაზიბროლა; 24. ალიზი; 25. ფარაონი; 26. ბამბუკი; 27. წარბი; 28. სუმო; 29. აბუ; 30. რამაზი; 31. ისააკ; 32. მოდილიანი; 33. „აელიტა“; 34. ყბა; 35. ებონიტი; 36. ნატურა; 37. ერიდა; 38. ტორი; 39. ასორტი; 40. აბრა; 41. სასა; 42. ამინდი; 43. ავა; 44. რეი; 45. ამატერასუ; 46. ურა; 47. მაცა; 48. მადამ; 49. „ოტო“; 50. ოდა; 51. მისია; 52. ოდრი; 53. ფლორა; 54. კუპრი; 55. სიო; 56. გო; 57. ლაბა; 58. ჰობოი; 59. ლიოვი; 60. აგა; 61. კისტა; 62. „კალმასობა“; 63. ჰერა; 64. ასი; 65. ლორი; 66. ატლასი.

ჰოროსკოპი
5 მაისი

ვერძი — დღეს ისეთი აკურატული და მოწესრიგებული იქნებით, როგორც არასდროს. დისციპლინას ისე არაფერი აჯალიბებს, როგორც იმის შემეცნება, რომ საკუთარ თავს ეკუთვნით და არავის წინაშე არ ხართ ვალდებული.

კურო — დღეს ისეთი ენერგიული იქნებით, რომ მათაც გააოცებთ, ვინც დიდი ხანია გიცნობთ. ეს კი უფრო მეტ სტიმულს მოგცემთ აქტიურობისთვის. გაუფრთხილდით ჯანმრთელობას, შესაძლოა, სასიცოცხლო ენერგია დაქვეითდეს და გადაიღალოთ.

ტყუპები — ამ ნიშნის წარმომადგენლებს ვარსკვლავები ურჩევენ, დღეს ფიზიკურ შრომას მიუძღვნან თავი. გონებრივი სამუშაოსგან ზოგჯერ დასვენება აუცილებელია. სადამოს კარგად დაისვენეთ, წუნარ მუსიკას მოუსმინეთ ან დრო ოჯახის წევრებთან, სასიამოვნო საუბარში გაატარეთ.

კირჩხიბი — დღეს იმის გაკეთება მოგიწევთ, რაც არასდროს გაგიკეთებიათ. ეს ნერვებსა და ენერგიას წაგართმევთ, სამაგიეროდ, დღეს აზრიანად გაატარებთ. სადამოს სჯობს, მეგობრებს ესტუმროთ და ერთად თეატრში ან კინოში წახვიდეთ.

ლომი — ლომებისთვის დღე მშვიდი და აუჩქარებელი იქნება. თავისუფლად შეგიძლიათ, რეალობას დროებით გამოეთიშოთ და თავს საკუთარ წარმოდგენებში გასეირნების ნება მისცეთ, იოცნებოთ. დღის მეორე ნახევარში კარგია იქნება, თუ სილამაზის სალონს ესტუმრებით ან მაღაზიებში გაივლით და ახალ კოსმეტიკას შეიძენთ.

ქალწული — ნიშნის წარმომადგენლებისთვის დღეს დიდია ალბათობა ოჯახის წევრებთან კამათისა. შეეცადეთ, თავი აარიდოთ ორმხრივ ბრალდებებს და, რაც მთავარია, კამათს ჭირველი ნუ დაიწყებთ.

სასწორი — ვიდრე სამსახურის შეცვლას გადაწყვეტთ, ჯერ კარგად დაფიქრდით ამ ნაბიჯის მართებულობაზე. შესაძლოა, ამან იქ არ მიგიყვანოთ, სადაც თქვენ გსურთ მისვლა.

ღრიანკალი — დღე შესაძლოა, ძალიან „ცხელი“ მოგეჩვენოთ. ბევრი საინტერესო რამ მოხდება და თანაც ერთდროულად. დიდი ძალისხმევის დახარჯვა დაგჭირდებათ, სადამოსთვის მაინც რომ გაერიდოთ მოვლენების ეპიცენტრს.

მშვილდოსანი — არ ღირს, დღეს საზოგადოების ყურადღების მიპყრობა, რადგან არის რეალური რისკი, რომ ამ საზოგადოებაში ბევრი ისეთი ადამიანი აღმოჩნდება, ვისი ნახვაც მაინცდამაინც არ გაგახარებთ.

თხის რქა — ნიშნის წარმომადგენლებისთვის დღე საკმაოდ გრძელი და დამღლელი იქნება. შეიძლება, მხოლოდ ის ისურვოთ, რომ ეს დღე რაც შეიძლება მალე დასრულდეს.

მერწყული — მერწყულებს დღეს წელის სტიქია თავშეუკავებლად გაიტაცებს. ეს კი, შესაძლოა, საშიშიც აღმოჩნდეს. შეეცადეთ, მორევში არ აღმოჩნდეთ და არ ჩაიძიროთ.

თევზები — დღეს აუცილებლად დაგჭირდებათ ამაღლებული განწყობა და ემოციები. ამის მიღწევას კი დიდი „რაოდენობით“ კლასიკური მუსიკითა და ლიტერატურის მიღებით შეძლებთ.

ქვრივ ქალებს არ სწყალობენ

ვიღაცას გატეხილი სარკის ან შავი კატის დანახვაც კი ზარავს, ინდოელებს კი მტკიცედ სწამთ, რომ ქვრივ ქალს უიღბლობა მოაქვს — ტრადიციულ ინდურ ოჯახებში ფიქრობენ, რომ ქალი, რომელსაც მეუღლე გარდაეცვალა, უბედურების მომტანია და ამიტომ ხშირად ქვრივები მშობლიურ სახლს სამუდამოდ ტოვებენ. საკუთარი ოჯახების მიერ უარყოფილი ქალები სიცოცხლის ბოლომდე თავს მათხოვრობით ირჩენენ. ზოგი ქუჩაში, ნაგვის ურნებში ეძებს საკვებს. ისინი საზოგადოებისგანაც გარიყულები არიან და რელიგიურ ფესტივალებსა თუ სხვა ღონისძიებებზე დასწრება ეკრძალებათ.

Appraisal.llc

შპს „აპპრაისალი“ გთავაზობთ,

უძრავი და მოძრავი ქონების შეფასებას

ალექსანდრე ფურცელაძე
მისამართი: ნუცუბიძის №16ა
ტელ.: (5)99 22 98 33
ელ-ფოსტა: a.purtseladze@gmail.com

„ქორწინების ჩვევა“ ბრიტანულად

ნისლიანი ალბიონის მცხოვრებ წყვილს — ლიზა განტსა და ალექს პელინგს იმდენად მოეწონათ ქორწინების ცერემონია, რომ მათ მთელი ქონება გაყიდეს, რათა ყველა ქვეყანაში ჯვარი დაიწერონ. ლიზა და ალექსი უკვე 20-ჯერ დაქორწინდნენ. როგორც ამბობენ, ეს მოგზაურობა დაეხმარა, სხვადასხვა კულტურის საიდუმლოს ზიარებოდნენ. ბრიტანელი წყვილის განცხადებით, ამ უცნაური ტურნესთვის ორი წელიწადი გამოყვეს, თუმცა ახლა ფიქრობენ, რომ ეს დრო მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში სამოგზაუროდ საკმარისი არ არის და სამშობლოდან შორს ყოფნა კიდევ დიდხანს მოუწევთ.

მწეველ ქალებს კიბო აცლებს ხშირად უჩნდებათ

სკანდინავიელი მკვლევარების დასკვნებით, სიგარეტის მოწევა გაცილებით მეტ საფრთხეს უქმნის სუსტი სქესის წარმომადგენლების ჯანმრთელობას, ვიდრე მამაკაცისას. ნორვეგიელმა სწავლულებმა აღმოაჩინეს, რომ მწეველი ქალები სიმსივნური დაავადების განვითარების მაღალი რისკის ქვეშ არიან. მეცნიერებმა 600 ათასი პაციენტის სამედიცინო ისტორია შეისწავლეს და აღმოაჩინეს, რომ თამბაქოს მოწევით გამოწვეული ნაწლავის კიბოს განვითარების რისკი ქალ მწეველებში ორჯერ აღემატებოდა იმავე რისკის ქვეშ მყოფ მამაკაცთა რაოდენობას. სიმსივნის ეპიდემიოლოგიის, ბიომარკერისა და პრევენციის ცენტრის მონაცემებით, მწეველი მანდილოსნების 19%-ს და მამაკაცების 9%-ს ნაწლავის კიბოს განვითარების დიდი ალბათობა აქვს.

ნებისმიერ კამათს სპრეი მოაგვარებს

ახალი სპრეის შემადგენლობაში შედის „ჩახუტების ჰორმონი“ ოქსიტოცინი, რომელიც მამაკაცში გრძნობებს აღვივებს და ქალებს აწყნარებს. ოქსიტოცინს ორგანიზმი დამოუკიდებლად გამოიმუშავებს და ზრდის პარტნიორისადმი ნდობას. სწორედ ეს ჰორმონია პასუხისმგებელი დედა-შვილს შორის ემოციურ კავშირზე. სპრეის დადებითი ზემოქმედება კლინიკურმა ექსპერიმენტებმა დაადასტურა, რომელშიც 17 ოჯახური წყვილი მონაწილეობდა 20-დან 50 წლამდე. ტესტირებისას, ყოველ წყვილს, 45 წუთის განმავლობაში უნდა გაეხსენებინა ოჯახში კონფლიქტური სიტუაცია, რის შემდეგაც, მონაწილეთა ნახევარს ოქსიტოცინიანი სპრეი შეასხურეს, მეორე ნახევარს კი — პლაცებო. შედეგმა აჩვენა, რომ ოქსიტოცინიანმა სპრეიმ მეუღლეები, კამათის შემდეგ უფრო მეგობრულები გახადა და სწრაფად შეარიგა, კამათმა ქალების ნერვულ სისტემაში, აღგზნების არავითარი კვალი არ დატოვა, კაცები კი მეორე ნახევრისადმი უფრო მეგობრულები გახადა. სპეციალისტების განცხადებით, დღეში ორჯერ ამ სპრეის შესხურება წყვილს შორის სექსუალურ აქტივობას ზრდის.



სუდოკუ

ადვილი

9						6		
	3				6		8	
1			2	8	5			9
8			9	6		2		
		9		5	7			6
7			6	4	2			3
	6		7				1	
		3						4

სტანდარტი

	3		4					6
4		8				9		
	6		5				4	
8	9		3		7			4
7				5				8
3			8		4		7	1
	4				5		8	
		9				2		7
2					3		6	

რთული

	6			8	2	1		
		1		5				
8	5		7					
			3		9		1	6
				7				
1	9		4		8			
					1		6	5
				4		8		
		4	5	3			2	

ექსპერტი

2	1			8			5	4
8					3	2		
						9	8	
3			1				4	
				7				
	9				8			5
	3	7						
		1	5					6
4	8			1			9	7

ხმა გარეგნობაზე მნიშვნელოვანია

ბრიტანელი სწავლულები ირწმუნებიან, რომ პარტნიორის არჩევისას ქალისთვის გადამწყვეტი მნიშვნელობა მამაკაცის ხმის ტემბრს აქვს. ლონდონის უნივერსიტეტის მეცნიერთა კვლევების შედეგების თანახმად, მშვენიერი სქესის წარმომადგენლებს მოსწონთ, როცა კაცს ხმის დაბალი ტემბრი აქვს, ამასთან, გამოკითხული ქალბატონების თითქმის 50% აცხადებს, რომ საკმაოდ მიმზიდველია კაცის ჩახლეჩილი ხმაც... რაც შეეხება მამაკაცებს, მათ მოსწონთ, როცა ქალს ხმის მაღალი ტონი აქვს, ხოლო ხმოვან ვიბრაციებს შორის დიდი ინტერვალია. კაცების განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს მანდილოსანი, როცა იმგვარად საუბრობს, თითქოს ჰაერი არ ჰყოფნის — სწორედ ასე საუბრობდა ლეგენდარული მერლინ მონროს.

ბენ აფლეკი საკუთარ თავს ეამოცდის უწყობს

ცნობილი ჰოლივუდელი მსახიობი და რეჟისორი, წლევანდელი ოსკაროსანი ბენ აფლეკი, რომლის ქონებაც მილიონობით დოლარს შეადგენს, აპირებს, საკუთარ თავზე გამოსცადოს, როგორია სიღარიბის ზღვარს მიღმა ცხოვრება. მსახიობმა გადაწყვიტა, მხარდაჭერა გამოუცხადოს მთელი მსოფლიოს უღარიბეს ადამიანებს და მონაწილეობა მიიღოს საქველმოქმედო აქციაში, რომლის დროსაც, დღეში 1,5 დოლარად ცხოვრება უნდა შეძლოს. მასთან ერთად, ფულის ხარჯვაზე უარს ამბობენ მსახიობი ჯონ ჰილი და მომღერალი ჯოშ გრობანი. ღონისძიება ხუთ დღეს გაგრძელდება. აქციის ორგანიზატორები ყველა მონაწილეს სთავაზობენ, ექსპერიმენტის მიმდინარეობისას სულ 7,5 დოლარი დახარჯონ. მათ ეკრძალებათ მეგობრებისა და ოჯახის წევრებისგან საკვების მიღება, მხოლოდ ონკანიდან წყლის დალევა შეუძლიათ. აღსანიშნავია, რომ ფილმ „არგოს“ რეჟისორი პირველად არ მონაწილეობს საქველმოქმედო ღონისძიებაში: მაგალითად, 2010 წელს აფლეკმა თავად შექმნა დახმარების პროგრამა აღმოსავლეთ კონგოდან იძულებით გადაადგილებული ადამიანებისთვის.

უჩვეულო სამეცნიერო კვლევები

ცოტა ხნის წინ აშშ-ს საგადასახადო ინსპექციამ სამეცნიერო გამოკვლევებში დახარჯული თანხების შესწავლა დაიწყო. გამოძიების დასრულების შემდეგ საგადასახადოს თანამშრომლები ერთხანს დუმდნენ, მერე კი სიცილი აუტყდათ. აღმოჩნდა, რომ რამდენიმე დაწესებულებას მეცნიერებისთვის მილიონობით დოლარი ისეთი გამოკვლევების ჩასატარებლად გადაუხდია, რომელთა შედეგები, მხოლოდ ცნობისმოყვარე ბავშვს თუ დააინტერესებდა:

1. 1975 წელს აშშ-ს ნაციონალურმა სამეცნიერო ფონდმა 84 ათასი დოლარი დახარჯა იმის დასადგენად, საიდან ჩნდება ადამიანში სიყვარული.

2. სოფლის მეურნეობის სამინისტრომ 46 ათასი დოლარი გამოყო იმის გასაგებად, რა დროა საჭირო საუზმის მოსამზადებლად.

3. ნაციონალურმა სამეცნიერო ფონდმა და ფსიქიკური ჯანმრთელობის ინსტიტუტმა 107 ათასი დოლარი დახარჯეს იაპონური მწყერების სექსუალური ქცევის გამოკვლევაზე.

4. იმავე ფსიქიკური ჯანმრთელობის ნაციონალურმა ინსტიტუტმა საკმაოდ სოლიდური თანხა გამოყო ინფორმაციის მოსაპოვებლად, თემაზე: რატომ იღიმიან ბოულინგის მოთამაშეები და ჰოკეის გულშემატკივრები.

5. 1977 წელს აშშ-ს ჰუმანიზმის ეროვნულმა ფონდმა 25 ათასი დოლარი გაიმეტა იმის დასადგენად, რატომ იტყუებიან და უხეშობენ მოთამაშეები ვირჯინიის შტატის ჩოგბურთის კორტებზე.

6. ამერიკის ფედერაციულმა საავიაციო ადმინისტრაციამ სტიუარდესას სხეულის პარამეტრების დასადგენად, გამოკვლევებში 57 ათასი დოლარი დახარჯა.

7. ამერიკის ალკოჰოლიზმის კვლევის ნაციონალურმა ინსტიტუტმა მილიონობით დოლარი გამოყო იმის გამოსაკვლევად, აქვთ თუ არა ალკოჰოლური სასმელის ზემოქმედების ქვეშ მყოფ თევზებს აგრესიულობისკენ, ვირთხებს კი — მტაცებლობისკენ მიდრეკილება.

8. წესრიგის დაცვის სამსახურმა მათთვის ყველაზე მნიშვნელოვანი პასუხის საპოვნელად მეცნიერებს 27 ათასი დოლარი გამოუყო. კითხვა კი ასეთი იყო: რატომ უჩნდებათ პატიმრებს ციხიდან გაქცევის სურვილი?

მანქანის რეცხვას საჩუქარი მოჰყვება

მალაიზიის დედაქალაქ კუალა-ლუმპურში, ერთ-ერთი ავტოსამრეცხაო კლიენტებს „ორიგინალური“ მარკეტინგით იზიდავს: მათთან მანქანის ყოველ მეათე გარეცხვაზე კლიენტს უფასო სექსი ეკუთვნის — ასეთი წინადადება საკმაოდ მიმზიდველი აღმოჩნდა მალაიზიელი მამაკაცებისთვის, რადგან სამრეცხაო დიდი პოპულარობით სარგებლობს, თუმცა ამ ფაქტმა სამართალდამცავების ყურადღებაც მიიქცია, საქმე აღიძრა და გაირკვა, რომ ყველაფერი კანონის ჩარჩოებს სცილდებოდა. საროსკიპოებში ჩატარებული რეიდის შემდეგ პოლიციამ ავტოსამრეცხაოს 5 კლიენტი დააკავა.

1. ერთგვარი ბრტყელი თევზი
2. მელ გიბსონის ფილმი ინდიელებზე
3. ცხელი ალკოჰოლური სასმელი
4. ბურატინოს მამილო
5. ფედერიკო ფელინის მეუღლე
6. ნებისყოფის პათოლოგიური სისუსტე
7. სახის მიმიკის მოშლა
8. ველური ცხვარი
9. კალათბურთის მეფე
10. დიდი ხვლიკი
11. ნოდარ დუმბაძის საბავშვო ქალაქი
12. დიდი, ფართო გზა
13. წესიერი წილადის ქვედა ნაწილი
14. დღეის მომდევნო დღეს
15.ქართული ხალხური ცეკვა
16.შენობაში ამოყვანილი ღია აივანი
17. ჰონდურასის ფულის ერთეული
18.სიახლოვე, გულითადობა, გულწრფელობა
19. ზღაპრული შინაარსის იგავი
20.ინდოელი კინოვარსკვლავი ... რაი
21. რეზო ესაძის კინოქალაქი
22. ნამდვილად არსებული ნივთი
23. ბეკინას ვაჟი ... სამანიშვილი
24. იგივეა, რაც ბურუსი
25. თეთრი ტკბილი ფხვნილი
26. „ნისანის“ მოდელი
27. იგივეა, რაც გაზი
28. აღმოსავლური ტკბილეული
29. საფეხბ. კლუბი „... ჯორჯია“
30.რასობრივი დისკრიმინაციის ფორმა
31. განახლებული ძველი ჰიტი
32. ერთ-ერთი ღმერთი ინდუიზმში
33. იტალიის უდიდესი მდინარე
34.ორნაწილიანი მხატვრული ნაწარმოები
35. მსახიობი ... კილმერი
36.უჯრედის შემსწავლელი მეცნიერება
37.პატარა მოძრავი რადიო-სადგური
38. ქართველი ფეხბურთელი
39. ფრ. ფილმი „... და მისი ძმები“
40.ბურთის გასვლა სათამაშო მოედნიდან
41. რაიმე მოვლენის ბუნებრივი გაგრძელების ზონა
42. პატარა კენგურუ
43.ყვითელი მინერალ. საღებავი
44. ცივი საბრძოლო იარაღი
45.ჰოლივუდის ლეგენ-და ... ჰეპბერნი
46. ქართული ხალხური სიმღერა
47. ორი კვადრატში
48. მიმართვა ფრანგი მეფისადმი
49. ადამიანის პარაზიტი მწერი
50.მთიანი მხარე რუსეთში
51. მთავარი საწყობი
52. ინგლ. ფეხბურთელი ... ოუენი
53. ისრაელის სახელწმიფოენა
54. ჩეჩნეთის ეროვნული სახელწოდება
55.ჩოგბურთ. ... ფედერერი
56.ფრანგი კომიკოსი
57. ინგლისელი მომღერალი
58. გაგარინის სახელი
59.საახალწლ. გამომცხვარი პური კაცის სახისა
60.სოფელი ზუგდიდის რაიონში
61. ქონებრივი დანაკარგი, დანაკლისი
62. გოჩას მეგობარი „ძამლუქში“
63.თუთიყუშის ჯიში
64.ჰომეროსის პოემა
65.საწერი ქაღალდის რაოდენობის ერთეული
66.კულტის მსახური წარმართებში
67. შექსპირის მეფე
68. ბიბლიური პერსონაჟი
69. მომღერალი ... მატიე
70. ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაცია (აბრევიატ.)
71. ხუთი და ორი წერტილი კამათელზე
72. კვირის ერთ-ერთი დღე
73. გაბედული, მოურიდებელი
74. მუსიკალ. გამის II ნოტი
75. მდინარე ციმბირში
76. ნაპოლეონის მარშალი
77.„ჩემი ცოლის დაქალები“ - პერსონაჟი
78. ბალახის ჩრდილი
79. კვერნების ოჯახის ცხოველი
80.მბრუნავი დოლი ლატარიის ბილეთების გასათამაშებლად
81. ტექნიკური ზეთი
82.იაპონელი მწერალი ქენძაბურო ...
83. უუფლებო ადამიანი
84. სურვილი, უფლება
85. გერმანული კოსმეტიკური ფირმა

ᲕᲔᲠᲡᲘᲐ

ᲛᲘᲡᲐᲛᲐᲠᲗᲘ: ქ.თბილისი, სანკტ-პეტერბურგის ქ. 7.
e-mail: versiaprinti@yahoo.com www.versia.ge
UDC(უაკ)070.48:32(479.22)3-387

ᲓᲐᲛᲤᲣᲫᲜᲔᲑᲔᲚᲘ ᲓᲐ ᲛᲗᲐᲕᲐᲠᲘ ᲠᲔᲓᲐᲥᲢᲝᲠᲘ
მაია ფურცელაძე (599) 62-88-77
ᲞᲐᲡᲣᲮᲘᲡᲛᲒᲔᲑᲔᲚᲘ ᲠᲔᲓᲐᲥᲢᲝᲠᲘ: ნინო ლურსმანაშვილი
ᲛᲔᲓᲘᲐᲯᲒᲣᲤᲘ: მაია მიშელაძე, ნინო კომახიძე,
ნინო ხარშილაძე, რუსუდან შელია,
დავით დევიძე, ნათია ვასაძე.
ᲡᲢᲘᲚᲘᲡᲢᲘ: თამარ არათანაშვილი, ნინო ებანოიძე
ᲓᲘᲖᲐᲘᲜᲔᲠᲘ – გიორგი ლომსაძე
ტელ: 590 740999; 2942399

ISSN 1987-8699

დაცულია საავტორო უფლებები. რედაქციაში შემოსული მასალები უკან არ ბრუნდება. სტატიაში მოყვანილ ფაქტებსა და ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. პრეტენზიის შემთხვევაში დაგვიკავშირდით 14 დღის განმავლობაში.